# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 21 აპრილი 1999 №71 (844) ფასი 1 ლარი


## საქართველოს თასი იმერულ სუფრაზე

ტორპედო 3 (2)
არსენალი 0 (1)

სამგურალი 1 (0)
ლოკომოტივი 0 (0)

## 15 ჩვენი გრეცკი

თბილისურად მოთხრობილი ამბავი დიადსა და განუმეორებელზე

## ნილს სემბმა აზრი იცვალა: ქართველებთან სათამაშოდ მთელი ნორვეგია შეჰყარა

წუხელ ნორვეგიის ნაკრების მწვრთნელმა ნილს სემბმა ის 17 ფეხბურთელი ჩამოგვითვალა, რომლებსაც თბილისში საქართველოს ეროვნული გუნდის წინაალმდეგ სათამაშოდ წამოიყვანს.

ვერ ვიტყვით, ნორვეგიელები შესუსტებული შემადგენლობით გვეწვევიანო, მაგრამ ფაქტი კია — სემბს რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელის გვარი არ უთქვამს, მათ შორის იმათიც, ამასწინანდელ ინტერვიუში რომ გვიხსენა. სავარაუდოდ, სტუმრები ლივერპულელი ოივინდ ლეონარდსენისა და გერმანული „ჰერტას" ნახევარმცველის კეტილ რეკდალის გარეშე ჩამოვლენ. თუმცა უამათოდაც სემბს საკმაოდ შთამბეჭდავი ჩვიდმეტეული შეურჩევია.

მეკარეები: *ტომას მირე* („ევერტონი", ინგლისი), *ფროდე ოლსენი* („სტაბეკი", ნორვეგია);

მცველები: *რონი იონსენი* („მანჩესტერ იუნაიტედი", ინგლისი), *ტორე პედერსენი*, *ჰენინგ ბერგი* (ორივე „ბლექბერნი", ინგლისი), *ერიკ ჰოფტუნი* („რუსენბორგი", ნორვეგია);

ნახევარმცველები: *დან ეგენი* („სელტა", ესპანეთი), *არიან ბერგი* („ბოდო გლიმტი", ნორვეგია), *ვიდარ რისეტი* („სელტიკი", შოტლანდია), *ვეგარდ ჰეგემი* („ლივერპული", ინგლისი), *პეტერ რუდი* („შეფილდი", ინგლისი), *ერიკ მიუკლანდი* („პანათინაიკოსი", საბერძნეთი), *სტეფენ ივერსენი* („ტოტენჰემი", ინგლისი);

თავდამსხმელები: *ტორე ანდრე ფლო* („ჩელსი", ინგლისი), *ოლე გუნარ სოლსკიაერი* („მანჩესტერი"), *ფრანკ სტრანდლი*, *სტალე სოლბაკენი* (ორივე „ოლბორგი", დანია).

ნორვეგიელთა მწვრთნელის თქმით, საეჭვოა ლივერპულელი ნახევარმცველის ვეგარდ ჰეგემის თბილისში თამაში. მას, თურმე, ფეხის ტრავმა აქვს და ახლა სიტყვა ექიმებზე ყოფილა. სემბიც მათ ელის.

როგორც ხედავთ, მწვრთნელმა აზრი იცვალა, რომ გვითხრა, თბილისში მხოლოდ ლეგიონერებს წამოვიყვანო, ასე არ ყოფილა: ნაკრების შემადგენლობაში მხოლოდ სამია ნორვეგიაში მოთამაშე.

**კობა ინასარიძე**

# თვრამეტი წელი გასულა...




თემურ ბარბაქაძის ფოტო

საუკუნის ყველაზე ძვირფასი გოლი ქართველებისთვის. წამიც და ვიტალი დარასელია „კარლ ცაისის" კარში მეორე ბურთს გაიტანს. „დინამო" ევროთასს მოიგებს, ხოლო საქართველო უსაზღვროდ გაიხარებს.

## ამბავი ქართველთა დიდი გამარჯვებისა იხილეთ 7-10 გვერდებზე



REUTERS მონიტორიდან

ბოლონია — მარსელი 1:1. ლორან ბლანს (№5) „მარსელი" ფინალში გაჰყავს

UEFA CUP

იტალიური ფინალი არ შედგა. უეფას თასის ბედს, მოსკოვის „ლუჟნიკებზე", „მარსელი" და „პარმა" გაარკვევენ. თუ პარმელებს მადრიდის „ატლეტიკოსთან", ორი კვირის წინ, სტუმრად მოგებული 3:1-ის შემდეგ სანერვიულო მაინც და მაინც არ ჰქონდათ, მარსელელებს ბოლონიაში თავს დიდი ბრძოლა გადახდათ. მათი შეხვედრა საცქერად ლამაზი და მოვლენებით დატვირთული გამოდგა. მის დაძაბულობაზე ექვსი ყვითელი ბარათი და ერთი გაძევებაც მეტყველებს.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

# საქართველოს თასი

## ნახევარფინალი საპასუხო მატჩები

# ჯოჯოხეთი კურორტზე

## ლოკომოტივი სამგურალს შეასკდა

წყალტუბო
20 აპრილი
16 საათი
26 მაისი
8 000 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 1:0 ლოკომოტივი**

პირველი მატჩი 0:0

1:0 აფციაური (67)
სამგურალი: ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ლ. ქობულაძე, ვოსკანოვი, ძაგნიძე, აფციაური, გ. კილასონია (ფრანგიშვილი 90), გიორგობიანი, სუხიაშვილი (ზ. ქუთათელაძე 84), გ. შენგელია (დარსაძე 80)
*სათადარიგონი:* ბობოხიძე; ჯავახაძე, ლონლაძე, მ. ჯინჭარაძე
ლოკომოტივი: დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი, ზ. არჩვაძე (დ. გოდერძიშვილი 69), ვ. კილასონია, კაციაშვილი (დაუშვილი 38), შ. ხუჯაძე, დ. მუჯირი (ხორგუაშვილი 75), გოგობერიშვილი, წივწივაძე
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე; კ. მელქაძე, ბაქრაძე
გაფრთხილება: გოგობერიშვილი (4), წივწივაძე (52), ბალაშვილი (56), არჩვაძე (62)
მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. ელიკაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
სფფ-ის დელეგატი: დ. ქლიბაძე

**ვახტანგ ბზიკაძე წყალტუბოდან**

ფეხბურთში ფრეც კი ზოგს ახარებს და ზოგს ამწუხრებს, მითუმეტეს — მოგება-წაგება.

სერგო კვარაცხელიამ რომ წამატებული ორწუთნახევრის მერე სასტვენს ბოლოჯერ ჩაბერა, სიხარული და მწუხარება აირია, ღიმილი და ცრემლი აიზილა.

წყალტუბოს „26 მაისის" სტადიონს ამდენი და ასეთი ქომაგობა, კარგა ხანია, არ უნახავს. თითქმის ყველამ გაიხარა, ცხადია, „ლოკომოტივის" გარდა.

თბილისელთა თავკაცი თემურ მახარაძე და რამდენიმე სამარქაფო ფეხბურთელი სათადარიგო სკამიდან მანამდე არ წამომდგარან, სანამ სხვისმა წილმა ალფრთოვანებამ მოედნიდან გასახდელში, იქიდან კი სტადიონის გარეთ არ გადაინაცვლა.

პატარა წყალტუბომ, პატარა „სამგურალმა" დიდად ისახელა თავი — პირველად საქართველოს ეროვნული თასის გათამაშების ისტორიაში ფინალში გავიდა.



მამუკა დარჩიას ფოტო წყალტუბოდან

გაიოზ დარსაძე აფციაურს (შუაში) ენდო და მამუკამაც გაუმართლა: „სამგურალი" ფინალში გაიყვანა

საწყის ხუთ წუთში მასპინძლებმა ბევრი ვერაფერი მოიგეს, მაგრამ მათმა აქტიურობამ მსაჯს ალექსანდრე გოგობერიშვილი გააფრთხილებინა. ნელნელა სტუმრებიც შეფხიზლდნენ და მეტოქის კარისკენ გაიწიეს.

მეცამეტე წუთი თარსი ვისთვის გამოდგა თავად განსაჯეთ: არჩვაძემ თავისუფალი დარტყმა საკუთარი საჯარიმოდან „სამგურალისას" უწია, იქ მახვილაძის და წივწივაძის საჰაერო ბრძოლაში თავდამსხმელმა იმარჯვა, ბურთი ვარლამ კილასონიას მიუვიდა, საზიფათოდაც დაარტყა აბრაგანი, მაგრამ ხარიხას ააცილა.

ხუთ წუთში ჰამლეტ წივწივაძე ისევ დაუსხლტა მეურვეს, ამჯერად დავით ასლანაძემ აიცილა გოლის საშიშროება — თავდამსხმელს ფეხებში ჩაუწვა.

ყველაზე მეტად მასპინძლები სტუმართა მესამე შანსმა ანერვიულა: 21-ე წუთზე დავით მუჯირმა მარცხენა ფლანგიდან საჯარიმო დაარტყა. ბურთი უცნაურად აიჭრია, ყველაზე წინწამხტარ შალვა ხუჯაძესაც გადაცდა და მიწიდან ასხლეტილი, კარსაც. ამ ეპიზოდში „სამგურალის" დაცვა და მეკარე დავით ასლანაძეც შეცდა, მაგრამ, მათდა იღბლად, გადარჩნენ.

ერთ წუთში მუჯირმა მარჯვენიდან ჩააწოდა, ამჯერად წივწივაძეს გაუცუდდა ოდნავ შორი თავური. აქედან მოყოლებული 15 წუთს თამაშმა ოდენ ბურთისთვის ბრძოლაში ჩაიარა და არცერთ კარს სერიოზული საფრთხე არ დამუქრებია.

35-ე წუთზე სამგურალელმა გიორგი კილასონიამ პირველად შეაწუხა თბილისელთა მეკარე დავით ჯანელიძე. გიორგიმ გიორგობიანის თავით მიწოდებული ბურთი ძლიერად, მაგრამ პირდაპირ დაარტყა და ჯანელიძის საკბილო გახადა.

ორ წუთში გიორგობიან — კილასონიას დუეტი ისევ დაემუქრა ჯანელიძის კარს: გიორგიმ მეტად ოსტატური პასით სტუმართა მთელი დაცვა პირში ჩალაგამოვლებული დატოვა, საჯარიმოში მწვავედ შეჭრილ გიორგობიანს ჩიხრაძემ მისდია და ჯანელიძეს ბურთის დაუფლებაში დაეხმარა.

ტაიმის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე თემურ მახარაძემ პირველი შეცვლის უფლება გამოიყენა: მშრომელი, მაგრამ შეტევაში უეფექტო კაციაშვილი სწრაფი და საზიფათო დაუშვილით შეცვალა. ეგ იყო, ამპლუით თავდამსხმელს კაციაშვილისვე, მარჯვენა ფლანგზე თარეში დაავალა.

დაუშვილი თამაშში სწრაფადვე ვერ ჩაეწერა და მისი ფრთიდან შეტევით „სამგურალმა" ორი საზიფათო მომენტი შექმა. პირველად ვოსკანოვის ფლანგური ჩაწოდება ჩიხრაძემ მოიგერია კუთხურზე, კუთხურიდან გადმოვარდნილზე გიორგობიანის დარტყმას კი კვლავ დავით ჯანელიძე გადაელობა.

მომდევნო 12 წუთში „სამგურალმა" ისე ითამაშა, კვარაცხელიას მეტოქის ფეხბურთელები სამჯერ გააფრთხილებინა. არბიტრმა ჯერ წივწივაძეს უჩვენა ყვითელი ბარათი, მერე სუხიაშვილის ბარძაყზე ქაცვებით კვალის დამაჩნეველ ბალაშვილს. ბოლოს კი არჩვაძე გააფრთხილა, მეკარესთან პირისპირ შეყრის მსურველი ვოსკანოვის აკრძალული ხერხით შეჩერებისთვის.

ხუთი წუთიც გავიდა და ის მოხდა, რაც 12 საათსა და 37 წუთს არ მომხდარა. „ლოკომოტივმა" თასის ამ გათამაშებაში პირველი გოლი გაუშვა.

67-ე წუთზე სამგურალმა მარცხენა ფლანგიდან საჯარიმო დარტყმის უფლება მოიპოვა. სუხიაშვილის ჩაწოდება ყველას გადასცდა, საჯარიმოში ჩასულ ბურნაძესაც კი, რომელიც ასეთ სიტუაციებში წყალტუბოელთა საჰაერო ძალაა, ბურთი შორეულ ძელს მარჯვენიდან უვლიდა, თავით მამუკა აფციაურმა რომ დაარტყა მეკარისგან შორეულ კუთხეში და თანაგუნდელებს მორცხვად ნანატრი სიხარული მოჰგვარა.

აფციაურის, ამ მართლაც შეუდარებელი ტალანტის მივიწყებული სახელი ამ გაზაფხულზე „სამგურალის" თავკაცმა გაიოზ დარსაძემ ამოატივტივა, როცა ფეხბურთსმიღმა დარჩენილი მოთამაშე წყალტუბოში მიიწვია. მამუკამ ნდობა გაამართლა და კარგი თამაში აგერ, ასე საჭირო გოლითაც დააგვირგვინა.

ეს იყო, და ატყდა ერთი ამბავი: „ტორპედოს" ქომაგთა წყალტუბოურმა ფრთამ „სამგურალი" — „ტორპედოს" ყვირილი მორთო.

გოლზე რეაქცია არც „ლოკომოტივს" დაუგვიანია. თემურ მახარაძემ ორ წუთში დაცვას მოაკლო არჩვაძე და შეტევას გოდერძიშვილი შემატა. ექვსი წუთის მერე მახარაძემ კიდევ ერთი თავდამსხმელი ჩართო საქმეში, ბოლო დროს, სამწუხაროდ, ასე გაუფერულებული დავით მუჯირის ნაცვლად მოედანზე ზურაბ ხორგუაშვილი შეუშვა.

ზედმეტი თავდამსხმელის გამოჩენამ რკინიგზელებს უსაშველა, ოღონდ, ვარლამ კილასონიას უკანდახევის ხარჯზე.

უკანდახევამ ვარლამს არგო — აქედან წამოწყებული შეტევები კილასონიამ ისეთი დარტყმებით დააბოლოვა, ძელს გატეხდა. ლოკომოტიველს ორი დარტყმა მცირედით აუცდა, ერთხელ კი ძალიან მახვილი კუთხიდან დარტყმული ასლანაძემ მოიგერია.

ასლანაძემ ჩინებულად ითამაშა ბოლო წუთებზე გოგობერიშვილის შორეული საჯარიმო დარტყმისასაც. უძლიერესად გასროლილი ბურთის დამორჩილება ძნელი იყო, მაგრამ „სამგურალის" მეკარემ ეს შეძლო.

თემურ მახარაძის მდგომარეობა გავითვალისწინეთ და ამჯერად კომენტარი მხოლოდ მის წყალტუბოელ კოლეგას დავით გენძეხაძეს ვთხოვეთ. ვიდრე მას მიმლოცველებს გამოვარიდებდით, გონებაში ერთი საინტერესო დეტალი ამოტივტივდა და ბარემ ამაზეც ვთქვათ.

ფინალში გასასვლელად ხომ ამდენი იღვაწა და 26 მაისს „ტორპედოს" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს „სამგურალის" მეკარე ასლანაძე. ამის მიზეზი იმერულ კლუბებს შორის დადებული ხელშეკრულებაა, რომლის ძალითაც ქუთაისელებმა წყალტუბოელებს ასლანაძე ათხოვეს. ამ დოკუმენტში შავით თეთრზე წერია, რომ ასლანაძე ჩემპიონატის თუ სათასო მატჩებში „ტორპედოს" ვერ დაუპირისპირდება.

დავით გენძეხაძე, „სამგურალის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი:

— დიდი საქმე გაკეთდა. ფეხბურთელებიდან დაწყებული, გუნდის გარშემო მოტრიალე ხალხით დამთავრებული, მინდა ყველას მივულოცო და დიდი მადლობა ვუთხრა. ერთიცაა, გუნდმა რომ ასე კარგად ითამაშა, ეს გაიოზ დარსაძის დამსახურებაა.

ქუთაისი
20 აპრილი
16 საათი
მივი კილაძე
3 500 (ტევადობა 23 800)

**ტორპედო 3:0 არსენალი**

პირველი მატჩი 2:1

1:0 მეგრელაძე (7), 2:0 მაზანიშვილი (26), 3:0 ვაჩიბერაძე (63)
ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი, ხვადაგიანი, თურმანიძე, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე (ჩხაბერიძე 46), მაზანიშვილი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (იმედაძე 73), ვაჩიბერაძე (მეტრეველი 78)
*სათადარიგონი:* სტურუა; კ. ჯანაშია
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ჩიქოვანი, ვ. გველესიანი, ყოლბაია (კოხრეიძე 63), მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი (გ. სულაძე 64), ვ. გაგუა, აბაზაძე, ხოსროშვილი (ამირიძე 46), ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* კუპატაძე; რობაქიძე
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ზ. დოლიძე (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. ასკაროლლი (ქარელი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

# მესამე და სამართალი

ასეც ხდება, „ტორპედოს" და „არსენალს" ორ კვირაში სამჯერ მოუწიათ გაჯიბრება. ჭერ თასის ნახევარფინალის დედაქალაქურ მატჩში, რომელიც ქუთაისელთა გამარჯვებით, 2:1 დასრულდა. მერე ეს გუნდები ჩემპიონატშიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და, მოგეხსენებათ, მასპინძელი ტორპედოელები თამაშის ბოლო წუთზე გადაურჩნენ არმიელებს და ფრე 1:1 დაფიქსირდა. გუშინ კი თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრა გახლდათ. ტორპედოელთა ამოცანა სტუმრებისაზე გაცილებით იოლი იყო. ასე განსაჯეთ, მათ ყაიმი და 0:1-იც კი აძლევდათ ხელს.

„არსენალის" სასტარტო შემადგენლობა იგივე იყო, რაც სამიდღისწინანდელ მატჩში, „ტორპედო" კი საგრძნობლად სახეშეცვლილი გამოვიდა სათამაშოდ. მეკარე სტურუას, სამგაფრთხილებიანი ჩხეტიანის, ჩხაბერიძის და იმედაძის მაგივრობა ჭანტურიამ, მაზანიშვილმა, მეგრელაძემ და დავით ჯანაშიამ გასწიეს. მასპინძელთა ჩანაფიქრი თავშივე გახდა ცხადი, როგორმე სწრაფი გოლის გატანა და ამით თბილისში მიღებული ფორის გაორება, რაც არმიელებს პრაქტიკულად ფინალში გასვლის იმედს გადაუწურავდა.

„ტორპედომაც" ლაღად, მაღალ ტემპში დაიწყო და სტუმართა კართან საგოლე მომენტიც მალე შეიქმნა. მეგრელაძე მარჯვნიდან მარდად დაუხლტდა გველესიანს და საჯარიმოში შესვლისთანავე ვაჩიბერაძეს ჩაუწოდა, ზაზაც დასარტყმელად მოემზადა, მაგრამ მეკარემ და ჩიქოვანმა არ აცალეს. სამიოდ წუთში ამ ორმა ტორპედოელმა მაინც დაამწუხრეს „არსენალი". ვაჩიბერაძის ჩინებული გადაცემის შემდეგ მეგრელაძემ დაახლოებით 15 მეტრიდან, თანაც საკმაოდ მახვილი კუთხიდან დაურტყა ჩლაიძეს. მეკარე ახლო ძელთან იდგა და ვალდებულიც იყო მოეგერიებინა, მაგრამ მისი ხელიდან ბურთი ბადეში აღმოჩნდა. მასპინძლებმა პროგრამა-მინიმუმი კი



მამუკა დარჩიას ფოტო ქუთაისიდან

ბადრი ახვლედიანს ქინი და სისწრაფე არც ამჯერად დაეწუნებოდა

შეასრულეს, მაგრამ აზარტში შესულებმა კიდევ უფრო მძლავრად შეუტიეს. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ვიდრე მეორეს გაიტანდნენ. ტორპედოელებს ხომ „არსენალის" კარის ალების, სულ მცირე, ოთხი შესაძლებლობა ჰქონდათ. სტუმრები ჯერ მეგრელაძის დარტყმულს გადაურჩნენ, მერე ჯანაშიამაც ზედიზედ ორჯერ დაარტყა საზიფათოდ და ორჯერვე მცირედით აცილა. კვეტენაძესაც შეეძლო გატანა, მაგრამ მეკარეს ხელებში დაურტყა. ანგარიში კი მაზანიშვილმა გააორა, რომელმაც ჯანაშიას გამოზომილი პასის შემდეგ დარტყმა აღარ დააზანა და ზუსტიც გამოუვიდა. მერე „ტორპედომ" ტემპს უკლო, მაგრამ სათამაშო უპირატესობა არ დაუთმია. 38-ე წუთზე ისევ ჯანაშიამ იაქტიურა მარჯვენა ფლანგზე, სამ არმიელს აჯობა და საჯარიმოში მეგრელაძესაც „დაასვა" ბურთი თავზე. გიამაც კარგად დაარტყა, ოღონდ ოდნავ აუცდა. სტუმრებს შესვენებამდე ერთადერთი მომენტი ჰქონდათ. ეს მაშინ, როცა ზირაქიშვილმა საჯარიმოს კუთხიდან დაარტყა საზიფათოდ, მაგრამ ბურთი მცველს შეეხო, ოდნავ იცვალა მიმართულება და კარის სანაცვლოდ, კუთხურზე გადავარდა.

მეორე ტაიმში მასპინძელთა თამაში შედარებით გაუფერულდა. არმიელებმაც მათ ნახევარს მოუხშირეს, მაგრამ საზეიროს ვერაფერს ქმნიდნენ. თუ არ ჩავთვლით იმ ეპიზოდს, როდესაც ამირიძემ წინგამოსული ჭანტურია შენიშნა და 35 მეტრნიდან დაარტყა კარისაკენ, მაგრამ ააცილა. და მეორესაც, როდესაც გაგუამ ოდნავ არაზუსტად „გაისროლა" საჯარიმოს გარედან. გათამამებული სტუმრები ერთხელაც დაისაჯნენ. ჯანაშიას რეაქტიულ ფლანგურ გარღვევას „არსენალის" კარის გასწვრივ ჩაწოდება მოჰყვა და ვაჩიბერაძემ იმარჯვა, ახლოდან ფეხილა დაუხვედრა ბურთს და ბადეში გადაგზავნა. მერე ჯემალ ხერხაძემ მეგრელაძე და ვაჩიბერაძე დაასვენა, ისინი თავდამსხმელებითვე შეცვალა. მეტრეველსაც მიეცა თავის გამოჩენის შანსი. 88-ე წუთზე ჩხაბერიძემ მას ქუსლით უპასა, გოლი გარდუვალი ჩანდა, მაგრამ კოტეს დარტყმულმა ძელს ჩაუქროლა.

„ტორპედოს" აქამდე ორჯერ ჰქონდა ნათამაშევი ნახევარფინალში. ნავსი მესამე ცდიდან გატეხა და ახლა პირველად მოგვევლინება ფინალში.



სასტუმრო „შერატონი" სტუმარ-მასპინძლის მოლოდინში

# შინაური, გარეული, ერთმანეთში არეული

## უფულო ქართველებიც, ნორვეგიელებივით, მდიდრულად, შერატონში იცხოვრებენ

უცნაურია, ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში უნდა მოხდეს, მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში უნდა ცხოვრობდნენ მეტოქე გუნდები ერთ ჭერქვეშ.

მაშინ, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უფულობას უჩივის, როცა ეროვნული ნაკრების დაბინავებას სასტუმრო „მესაზღვრეში" ან „საირმეში" აპირებდნენ, მათ საკმაოდ მოულოდნელად გადაწყვიტეს, ნორვეგიელებთან მატჩამდე ნაკრების წევრებისათვის იმ სასტუმროს ნომრები დაჯავშნონ, სადაც მეტოქის საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაცია იცხოვრებს.

დიახ, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ გადაწყვიტა, ეროვნული ნაკრები „შერატონში" დააბინაოს. ჩვენებურები ამ სასტუმროში 26 აპრილიდან თამაშის დღემდე, 28 აპრილამდე გაჩერდებიან.

არადა, როგორ დავიჯეროთ, რომ ამხელა ქალაქში ფეხბურთის ფედერაციამ ერთი ნორმალური, ნაკრებისთვის შესაფერისი სასტუმრო ვერ მოძებნა. კარგი, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის უფროსობამ ფედერაციას, ორჯერ თხოვნის მიუხედავად, უარი თუ შეუთვალა, „მესაზღვრეს" და იგივე „საირმეს" რა დაეწუნებოდა ისეთი, მაინცდამაინც „შერატონს" რომ მიაკითხეს? ჯერ არ უცხოვრიათ „მესაზღვრეში"? ნუთუ შეუძლებელი იყო, იმ სასტუმროს ნაცვლად, სხვა შეეგულებინათ? რა, იმასაც მიხვედრა უნდა, რომ მატჩამდე მეტოქე ფეხბურთელებს ერთმანეთთან ლიფტში შეხვედრა დიდად არ ესიამოვნებათ? ეს ხომ ხელოვნურად შექმნილი დაძაბულობაა. ნაკრებს ხომ მატჩამდე განმარტოვება, სიმშვიდე სჭირდება? მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ, ჩვენ ხომ საქართველოში ვცხოვრობთ, ქვეყანაში, სადაც ყველაფერი უცნაური უნდა მოხდეს. ისე კი მადლობა ღმერთს და ფეხბურთის ფედერაციასაც ნაკრები მთლად უსასტუმროდ რომ არ დარჩა.

ჩვენები ნორვეგიასთან მატჩისთვის მომზადებას 24 აპრილიდან არასრული შემადგენლობით შეუდგებიან. საქმე ისაა, რომ შაბათ-კვირას ევროპის ქვეყნების ჩემპიონატებში მორიგი ტურებია დანიშნული და ლეგიონერებმაც თავიანთ კლუბებში უნდა ითამაშონ. მათი უმეტესობა თბილისში ორშაბათს ჩამოვა და პირდაპირ „შერატონს" მიაშურებს. ორშაბათსვე საღამოს ყველანი აქ იქნებიან და დილმის საწვრთნელ ბაზაზე ივარჯიშებენ, სამშაბათს კი მატჩის დაწყების დროს, ცხრა საათზე, ეროვნულ სტადიონზე. შევიტყვეთ, რომ არ ჩამოვა თემურ ქეცბაია. იგი გუცაევისეულ ნაკრებს კვლავ უარობს. თუმცა ეს ამბავი არაა გადაწყვეტილი, „ნიუკასლიდან" ფედერაციისთვის ჯერ არაფერი უცნობებიათ. არადა, მანამ ჩვენებურები ინგლისურ კლუბს ქეცბაიას ნაკრებში გამოძახების თაობაზე შეატყობინებდნენ, „ნიუკასლიდან" თურმე ფაქსი ფაქსზე მოდიოდა, არიქა, სასწრაფოდ მოგვწერეთ, თქვენი ეროვნული გუნდი როდის, ვისთან თამაშობსო.

რაც შეეხებათ ნორვეგიელებს, ისინი თბილისში 26 აპრილს, შუადღისას ვენიდან ჩამოფრინდებიან, „შერატონში" დაისვენებენ და ეროვნულ სტადიონზე ცხრა საათზე შეუდგებიან ვარჯიშს. 27-ში კი სტუმრები დილმის ბაზაზე გააგორებენ ბურთს.

მატჩი მართლაც დიდ ინტერესს იწვევს და არაერთმა ტელეარხმა გამოთქვა რეპორტაჟის სურვილი. მართალია, საქართველო-ნორვეგიის თამაშის პირდაპირ ტრანსლაციას მხოლოდ ჩვენი პირველი არხი და „ნორვეგა 2" მოაწყობს, მაგრამ ვიდეოჩანაწერის ჩვენების უფლება იესპიენს, ევრო სპორტს, ენტევე ფუტბოლს მიუღია.

და ერთიც, მატჩზე დასასწრები ყველა ბილეთი 10 ლარი ეღირება.

**კობა ინასარიძე**

# ევროპაზე, ბელგიაში ქართველებს ელიან

1994 წლის აშშ-ს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, რუსეთი — ფარერები. რა უნდა ყოფილიყო ამ მატჩიდან გამოსარჩევი? თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ. ეს შეხვედრა ქართველმა ფიფას არბიტრმა, ზუგდიდელმა სერგო კვარაცხელიამ განსაჯა და საკმაოდ კარგადაც, რადგან ფიფასგან ქება დაიმსახურა. მას შემდეგ ქართველ არბიტრებს ოფიციალურ მატჩში არ უმსაჯიათ. კი იყო ინტერტოტო, ქალთა გუნდების თამაშები, მაგრამ შესარჩევის მატჩის განსჯა ქართველი არბიტრებისთვის პატივადაც უნდა ჩაითვალოს.

ჰოდა, უეფამ კვლავ გაიხსენა თავისი წევრი ქვეყნის მსაჯები და...

28 აპრილს ბელგია-ჰოლანდიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის სამი მატჩი ჩატარდება. ამავე დღეს ახალგაზრდული გუნდების რამდენიმე შეხვერდაც შედგება. IX შესარჩევ ჯგუფში ბელგიის ახალგაზრდული ნაკრები ბოსნიელ თანატოლებს უმასპინძლებს. უეფას გადაწყვეტილებით, ამ მატჩს საქართველოს მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება. 27-ში ბელგიის გზას გაუყვებიან: ოთარ გუნთაძე (არბიტრი), ზურაბ დოლიძე, გურამ ჩიგოგიძე (ასისტენტები) და გურამ ასკაროლლი (სათადარიგო).

ქართველები უკან 30 აპრილს გამობრუნდებიან.

**გიორგი ვაშაკიძე**

# სახელმწიფო ტელევიზია საფეხბურთო ტელეტრანსლაციებზე მონოპოლიას კარგავს

## მერაბ ჟორდანიას ღარიბ ტელევიზიას მდიდარი ურჩევნია

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემს სახელმწიფო ტელევიზიის I არხს საქართველოს ჩემპიონატის და ეროვნული ნაკრების საშინაო მატჩების ტელეტრანსლაციის უფლებას, თუ ზაზა შენგელიას უწყება ფედერაციის ანგარიშზე 300 ათას დოლარს გადარიცხავს, უეჭველია, ქართული ტელეინდუსტრიის ისტორიაში რევოლუციურ ცვლილებებს დაუდებს სათავეს. არ არის გამორიცხული, მოვლენები რუსეთის მსგავსად განვითარდეს, სადაც სახელმწიფო ტელევიზიებმა საფეხბურთო მატჩების ტელეტრანსლაციებზე მონოპოლია დაკარგეს.**

ფედერაციის გენმდივნის, ვალერი ჩოლარიას ულტიმატუმს ზაზა შენგელიას რეაქცია უკვე მოჰყვა. სახელმწიფო ტელევიზიის ახალდანიშნულმა შეფმა ულტიმატუმი არ მიიღო. შენგელიას თქმით: „მას ვერ გაუგია, რატომ უნდა ითხოვდეს ფედერაცია ფულს სახელმწიფო ტელევიზიისგან, როცა იგივე ფედერაცია ნაწილობრივ საბიუჯეტო დოტაციაზე ზის".

შენგელიას რეაქცია ბუნებრივია, იგი ცდილობს, შეინარჩუნოს „მსუყე ლუკმა" საფეხბურთო ტელეტრანსლაციების სახით, რომელსაც დიდი აუდიტორია და, შესაბამისად, რეკლამის განთავსების მრავალი მსურველი ჰყავს.

სტაბილური სახელმწიფოს პირობებში შესაძლებელია ტელევიზიის შეფის განცხადებას ფედერაციის გენმდივნის ულტიმატუმი დაეჩრდილა კიდეც, მაგრამ დღეს სხვა ვითარებაა. საქმე ისაა, რომ საბიუჯეტო კრიზისის პირობებში ფინანსთა სამინისტრომ ფეხბურთისთვის გამოყოფილი მილიონ 600 ათასი ლარის ნაცვლად ფედერაციის ანგარიშზე მხოლოდ 65 ათასი ლარის გადარიცხვა შეძლო.

ჟორდანიას უწყებამ ისარგებლა ამ მომენტით. კერძოდ, ჩოლარიამ გააკეთა მეტად მომგებიანი განცხადება: „არ მოსთხოვს სახელმწიფო ტელევიზიას ფულს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო დროზე გადმორიცხავს ფედერაციის კუთვნილ თანხას". ფედერაციაში, ბუნებრივია, ესმით, რომ წლეულს (შეიძლება გაისადაც) სახელმწიფო ბიუჯეტს ეს თანხები არ ექნება, მით უმეტეს, რომ მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი არ ჩქარობენ კრედიტის გამოყოფას.

რა ალტერნატივა აქვს ფედერაციას, თუ სახელმწიფო ტელევიზია ვერ შეძლებს და უარს იტყვის საფეხბურთო ტელეტრანსლაციების შესასყიდად 300 ათას დოლარის გაღებაზე? ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ფედერაცია „ავი ძაღლის" როლში დარჩება. „თუ სახელმწიფო ტელევიზია უარს იტყვის, ალბათ, მოიძებნება რომელიმე ტელევიზია, რომელიც დაგვთანხმდება" — ეს განცხადებაც ჩოლარიას ეკუთვნის.

ვის გულისხმობს ჩოლარია? ბუნებრივია, ეს ვერ იქნება სახელმწიფო ტელევიზიის II არხი, რომელიც დოტაციურია და ფული არ აქვს. ეს ვერ იქნება „პირველი სტერეო" — ფული მასაც არა აქვს. ეს ვერ იქნება TV7, კავშირგაბმულობის მინისტრ სერგო ესაკიას პირმშოს ჯერ ფრთები ასე ფართოდ არ გაუშლია. ეს ვერ იქნება „კავკასია", რომლის უპირველესი ამოცანაც იმ სიხშირეზე „გამაგრებაა", სადაც „ოსტანკინო" მაუწყებლობდა. ეს ვერ იქნება „საქართველოს ხმა", მან ჯერ საინფორმაციო მაინც უნდა ალადგინოს. ბუნებრივია, ესენი ვერ იქნებიან „იბერია" და „ევრიკა" მათი ყოფილი პატრონები ექს-კავშირგაბმულობის მინისტრი ინჯია და კომპანია „გააკოტრეს" და ორივე ტელევიზია ფინანსურ კრიზისს განიცდის. ეს ჯერ ვერც ახალგახსნილი TV4 იქნება ქვემო ქართლის გუბერნატორმა მამალაძემ ჯერ ტელევიზიის გაძლიერებაზე უნდა იზრუნოს.

რჩება „რუსთავი 2" და „მწვანე კუნძული", რომელიც, სავარაუდოდ, ეთერში შუა მაისში უნდა გავიდეს. ორივე ტელევიზიას ძალიან სქელჯიბიანი პატრონები ჰყავს. „მწვანე კუნძულის" უკან „ქართუ-ჯგუფისა" და პრეზიდენტ შევარდნაძის ქალიშვილის, მანანა შევარდნაძის კაპიტალს მოიაზრებენ. „რუსთავი 2"-ის უკან კი სახეზე მყოფთა გარდა, საქმეში ჩახედულები რამდენიმე ქართულ ბანკსა და დიდი ებრაელის, ბორის აბრამის ძე ბერეზოვსკის კაპიტალს ხედავენ.

ნაკლებსავარაუდოა, რომ საფეხბურთო ტელეტრანსლაციების უფლების ხელში ჩასაგდებად ამ ორი „გიგანტის" დაპირისპირებაში ვინმე ჩაერთოს. თავად აღნიშნულ დუეტში კი უპირველესობა მაინც „რუსთავი 2"-ს ენიჭება, რომელიც მეორე წელია, წარმატებით მაუწყებლობს (მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი პროდუქცია თითზე ჩამოსათვლელი აქვს). როგორი წარმატებითაც არ უნდა გავიდეს მაისში ეთერში „მწვანე კუნძული", თავიდან იგი მაინც ვერ შეძლებს „რუსთავი 2"-ისთვის კონკურენციის გაწევას, რადგან კონკურენტისგან განსხვავებით, დეციმეტრულ სიხშირეზე აპირებს მაუწყებლობას.

„რუსთავი 2"-ის უპირატესობაზე ისიც მეტყველებს, რომ ჩვენი ინფორმაციით იქ კარგა ხანია მუშაობენ საქართველოში ჩემპიონთა ლიგის მატჩების ტრანსლაციის უფლების მოსაპოვებლად. ასეთი პროექტის განხორციელებაში კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივ ფეხბურთის ფედერაციასთან ურთიერთობას (ეს „რუსთავი 2"-ში კარგად იციან ინგლისი — საქართველოს მატჩის ტრანსლაციის შემდეგ).

ფედერაცია 300 ათას დოლარად სწორედ ასეთ უფლებას იძლევა. კერძოდ, ამ თანხად 2 წლით ყიდის ეროვნული ჩემპიონატის ნაკრების საშინაო მატჩების ტელეტრანსლაციის უფლებას, იმ რეკომენდაციასთან ერთად, რომელსაც ფედერაცია გაუწევს მყიდველ ტელევიზიას უეფაში ჩემპიონთა ლიგის თამაშების ტელეტრანსლაციის უფლების მისაღებად.

ასე რომ, სახელმწიფო ტელევიზიას რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიების ანალოგიურად, საფეხბურთო ტელეტრანსლაციებზე მონოპოლიის დაკარგვა რეალურად ემუქრება. ამით მოწესრიგდება საფეხბურთო ტელე-ბაზარი (ყველას, ვისაც „თეფში" აქვს, არ შეეძლება ეთერში საკუთარი ნიჭის დემონსტრირება), ხოლო ფედერაციაში შესული თანხა (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ შეჭამეს) ფინანსურად მოამაგრებს ეროვნულ ჩემპიონატს და პირველ ნაკრებს.

**სიმონ მენაბდე**

# შერიფს უხდება ქართველი

ლატვიისა არ იყოს (შედარებით სოლიდურ საფეხბურთო ქვეყნებზე არაფერს ვამბობ), მოლდოვის ჩემპიონატიც „საშინაო" საქმედ გაგვხდომია ქართველებს, ტირასპოლურ „შერიფში" ხომ ერთბაშად ოთხი ჩვენებური თამაშობს: დიმიტრი არსოშვილი, ვაჟა თარხნიშვილი, თამაზ პერტია და ცეზარ ხუროძე.

მოლდოვის ჩემპიონატმა სტარტი 4 აპრილს აიღო და „შერიფმაც" პირველ საშინაო შეხვედრაში „ტილიგულს" სძლია 1:0. ორი დღით ადრე კი ქვეყნის თასის გათამაშებაში სწორედ რომ ისტორიული მოვლენა მოხდა. თასის მეოთხედფინალში ტირასპოლური კლუბი ქვეყნის ჩემპიონ „ზიმბრუს" დაუპირისპირდა, გუნდს, რომელიც აქამდე ერთ შეხვედრაშიც არასდროს დაემარცხებინა. ჰოდა, „შერიფმაც" ნავსი გატეხა და კიშინიოვში 1:0-ით დაამარცხა მასპინძლები. „ქართულ კლუბს" თავი არც განმეორებით შეხვედრაში შეურცხვენია და სამი დღის წინ ტირასპოლში ორი უპასუხო ბურთი გაუტანა მეტოქეს. ასე რომ, „შერიფი" ნახევარფინალშია. ბავშვივით გახარებულმა კლუბის პრეზიდენტმა, ვიქტორ გუშანმა მოგვიანებით ბრძანა, ამ გამარჯვებას ქართველებს ვუმადლიო. იგი ერთობ ამბიციური ყოფილა და სეზონის წინ ახალშეკრებილი გუნდის მთავარი მწვრთნელისთვის მეტად საძნელო ამოცანა დაუსახავს — თუ ჩემპიონატში მეორე ადგილზე ვერ გახვალთ, მაშინ ქვეყნის თასს მაინც ჩამახუტეთო. მთავარი მწვრთნელი კი წარსულში მინსკის „დინამოს" ცნობილი ფეხბურთელი სერგეი ბოროვსკია. ისიც ამდგარა და პრეზიდენტის ბრძანების შესასრულებლად გუნდში საგანგებო რეჟიმი შემოუღია. ბოროვსკის მეთოდი მარტივია — იგი ახალშექმნილი გუნდის ნაკლოვანებების აღმოფხვრას ფიზიკური კონდიციების ამაღლების ხარჯზე ცდილობს და ბიჭებს თურმე სიქას აცლის. ეს ყოველივე გუშინ ტირასპოლიდან დაბრუნებულმა დიმიტრი არსოშვილმა გვიამბო. ქართველმა მცველმა ჩემპიონატში შექმნილი პაუზით ისარგებლა და კუთვნილი შვიდდღიანი შვებულებაც გამოიყენა. არსოშვილს „შერიფთან" პირობითი კონტრაქტი აქვს გაფორმებული და სავარაუდოდ მოლდოვაში სეზონის ბოლომდე დარჩება. ტრავმის მიუხედავად, მან გუნდის ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი, პერტიას და თარხნიშვილის მსგავსად რეგულარულად უწევს თამაში („შერიფმა" 10 აპრილს ჩემპიონატის მეორე ტურში 0:1 წააგო „კონსტრუქტორულთან", სეზონის წინ კი რამდენიმე ამხანაგური შეხვედრაც ჩაატარა). რაც შეეხება ახალგაზრდა ხუროძეს, იგი ბოროვსკის ძირითადად შეცვლებზე შეჰყავს-ხოლმე.

ჩემპიონატის უახლოეს შეხვედრას „შერიფი" 24 აპრილს ჩაატარებს, ოთხი დღის შემდეგ კი თასის ნახევარფინალში ჯერაც უცნობ მეტოქეს დაუპირისპირდება.

**პაატა ძვანტალიანი**

საქართველოს ჩემპიონატი 23 ტური

# ვივა, აკადემია, ვივა, პროფესორა!



გურამ [illegible] ფოტო

ოთარ გაბელია

ამ ცნობილი სიმღერის სიტყვები ტყუილად როდი წავუმძღვარეთ საქართველოს მეათე ეროვნული ჩემპიონატის ოცდამესამე ტურის მიმოხილვას — თსუელებმა, როგორც იქნა, თავი დააღწიეს სატურნირო ცხრილის ფსკერზე ყურყუტს, აზტნენ, დაზტნენ და მეთორმეტე ადგილზე ამოყვეს თავი. წესით და კანონით, ასეც უნდა მომხდარიყო. თსუ, სხვა თუ არაფერი, პერსპექტიული გუნდია, საარსებო პირობებითაც ნამდვილად სჯობს სხვა აუტსაიდერებს და თამამად ვიტყვით — მისი მეთხუთმეტე ადგილზე ყოფნა და ჩავარდნის პერიოდი წარსულს ჩაბარდა.

მოგებით თსუ-მ თითქმის განწირულ „სიონს“ მოუგო. ბოლნისელთა სათაყვანებელი გუნდი დღესდღეობით ნამდვილად ვერ ითვლის თავის საუკეთესო დღეებს. გარბი-გამორბიან მწვრთნელი, ფეხბურთელები და უეჭველია, მსგავსი სიტუაცია ქვემოქართლელებს კარგს არას უქადის. მეორე წრის რვა თამაშში ბოლნისელებმა მხოლოდ ხუთი ქულის მოპოვება შეძლეს (1 მოგება, 2 ფრე, 5 წაგება) და ეს მათ სატურნირო მდგომარეობასაც დაეტყო.

ტურის ცენტრალური შეხვედრა „ბათუმი“ — „დინამო“ უგოლო ფრით მორჩა. მართალია, სატურნირო ცხრილის ზემო ნაწილმა ინტრიგა დაკარგა, აქ თითქმის ყველაფერი გარკვეულია და ნათელი, მაგრამ ცენტრალური შეხვედრა ცენტრალური შეხვედრაა, „ბათუმი“ „ბათუმია“, დინამოც“, რა თქმა უნდა, „დინამო“ და ზღვისპირეთშიც სანაქებო ბრძოლა გაიმართა. ორივე გუნდი მეტ-ნაკლებად ნორმალურ ფეხბურთს თამაშობდა, საგოლეებიც შეიქმნა, ტემპსაც არა უშავდა, მაგრამ ეგ იყო, გოლი არ გავიდა და შეხვედრაც, როგორც ვთქვით, ფრედ დასრულდა. ზღვისპირელებს დაკარგულ ორ ქულაზე უფრო უნდა დაწყდეთ გული (თუკი ევროსაგზურებზე ისევ ფიქრობენ), თორემ „დინამოს“ კარგა ხანია, თავი ქუდში აქვს, მეათედ ჩემპიონობას ვერავინ შეეცილება და უეფაც რა გულუხვია?! — ჩემპიონებს ყოველწლიურად 150 000 შვეიცარიულ ფრანკს ჩაუჩხრიალებს-ხოლმე.

„ა ლა ბარტეზივით“ თავგადაპარსულმა ჩლაიძემ მართლა ბარტეზივით ითამაშა და სულ სახურავის ბინადარი კარლსონივით იფრინა. სწორედ ჩლაიძის დამსახურებაა, „არსენალმა“ იმერული ფეხბურთის სიამაყე („იბერია“ არა, „ტორპედო“) კინაღამ რომ შეარცხვინა შიგ შუაგულ იმერეთში. სამართალმა და ძალამ თამაშის ბოლო წუთზე ჭამა პური და „ტორპედომ“ მაინც გაუტანა არმიელთა მეკარეს. „ტორპედომ“ ერთი ქულა კი აიღო, მაგრამ „ლოკომოტივმა“ ერთბაშად სამი გააზრხა და... მისი ქშენა ძველებურად წავათ ზურგს ხერხაძის შეგირდებს.

„ლოკომოტივი“ — „გურიას“ მატჩმა, თქვენი არ ვიცი და, რალაცით „უდინეზე“ — „მილანის“ ამასწინდელი შეხვედრა გამახსენა. „გურია“ „ლოკომოტივის“ ისეთივე საბაზო გუნდი-ამხანაგია, როგორც „მილანისა“ — „უდინეზე“. განსხვავება მხოლოდ ერთია: თუ „მილანმა“ მწვრთნელი და ლიდერი წაართვა „უდინეზეს“ (ძაკერონი და ბირჰოფი). „ლოკომოტივმა“, პირიქით, იქით მისცა ფეხბურთელები „გურიას“.

„გურია“ კი, საწყალი „გურია“, მოვალეობის მოხდის მიზნითღა მონაწილეობს ჩემპიონატში. გურულები მყარად სხედან სატურნირო ცხრილის ფსკერზე და იმდენად ღრმად, რომ სუფსის ტერმინალის ტუმბოებიც ვერ ამოქაჩავენ.

აგრძელებს ძლევამოსილ სვლას „ვიტ ჯორჯია“. ვეტერინარებს ამჯერად წყალტუბოელები შემოემარცხნენ. ისე, ისიც სათქმელია, რომ „სამგურალმა“ ფეხბურთელები, ჯანი და ენერგია დაზოგა თასის ნახევარფინალის განმეორებითი მატჩის წინ. სიფრთხილის მიზეზი კი ნამდვილად ჰქონიათ წყალტუბოელებს, ლაცაბიძემ ორი კაცი გაუგდოთ „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩში და თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ორი ფეხბურთელი რომ ძირითადი შემადგენლობიდან ყოფილიყო. იმ ძირითადი შემადგენლობიდან, რომლის ექვსი კაცი იმერლებს არც კი შეუყვანიათ განაცხადში.

„იბერია“ — „დილა“. რა უნდა ითქვას ამ არხეინ თამაშზე? გორელებიც და სამტრედიელებიც უხიფათო ზონაში იმყოფებიან, ვერც „დინამო“ — „ტორპედო“ — „ლოკომოტივის“ „აკრძალულ ზონას“ მისწვდებიან და ამიტომაც არ გამოუდვიათ თავი. გამარჯვება, რა თქმა უნდა, როგორც ასეთ შეხვედრებში ხდება-ხოლმე, მასპინძლებს დარჩათ. „იბერიამ“ ერთი დასაწყისში, ერთიც ბოლოს გაუტანა ქართლელებს და საქმეც მოათავა. არ დავივიწყებთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის აღნიშვნასაც — „იბერიის“ განაცხადში გამოჩნდა ვასო გიგიაძე, რომელიც მალე ათამაშდება, მაგრამ თურმე სამტრედიაში კი არა, სხვაგან...

სერგო გაბელაიას „მერანი“ მართლა გაჭენდა. აკი მეექვსე ადგილზეც ამოყვეს თავი ტრანსპორტელებმა. ისევ მოიგეს მერანელებმა, ამჯერად ზუგდიდში და „ოდიშსაც“ საფრთხე დაემუქრა. დაგროვილი ქულებითაც და ფინანსური მდგომარეობითაც ზუგდიდელები ძალიან ჰგვანან ბოლნისელებს და თუ ასე გააგრძელეს, გადათამაშებას ვერ ასცდებიან (უკეთეს შემთხვევაში).

ტური „კოლხეთი“ — „გორდამ“ დახურა. მოიგეს კოლხებმა. მშრალად, ხუთბურთიანი სხვაობით და მეტსაც შეძლებდნენ, რომ მოენდომებინათ.

სხვა მხრივ, 23-ე ტურში ნიშანდობლივი არაფერი მომხდარა. მასპინძლებმა იძალეს, მხოლოდ თხუთმეტი ბურთი გავიდა, მსაჯებმაც ბევრი ბარათი აფრიალეს ზევით-ქვევით, ჩხუბი და ინციდენტი არ მომხდარა.

სტუდენტური დღეები კი თსუ-მაც გაალამაზა და თანატოლებს მეთორმეტე ადგილი უპატაკა.

**კონსტანტინე გოგიჩაშვილი**

### XXIV ტური

23 აპრილი, პარასკევი
არსენალი — თსუ (1:4)
სიონი — კოლხეთი (0:4)
გორდა — ოდიში (0:1)
დინამო — ვიტ ჯორჯია (2:0)
სამგურალი — იბერია (1:3)
გურია — ტორპედო (0:3)
დილა — ლოკომოტივი (0:0)

24 აპრილი, შაბათი
მერანი — ბათუმი (0:0)

ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

---

თბილისი
16 აპრილი
16 საათი
შევარდენი
500 (ტევადობა 10 000)

## თსუ 1:0 სიონი

1:0 კობიაშვილი (30)
თსუ: გაბელია, გ. ილურიძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ზამთარაძე, ნინუა, მაღრაძე, დეკანოსიძე (გონჩაროვი 43), ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* მერლანი; ინწკირველი, ვ. ლუდუშაური, ბუკია, თოლორაია, რ. სვანაძე
სიონი: გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, სულთანოვი, ლ. ამბიძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე, მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ხარებაშვილი (ლ. გაგუა 46), მოსეშვილი (ნ. ჩალაძე 73)
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; ფ. არჩვაძე, დ. სვანიძე, ხიდაშელი, დ. ჯაფარიძე
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი; დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ბათუმი
17 აპრილი
16 საათი
დინამო
5 000 (ტევადობა 20 000)

## ბათუმი 0:0 დინამო

ბათუმი: ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, მინდაძე, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, კანტიძე (ლლონტი 38), გადელია (რუსია 58), ხომერიკი
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; აფხაზავა, თორლაშვილი, მაქაცარია, ყულეჯიშვილი
დინამო: გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, დიდავა, მ. მაჭავარიანი, ა. სახვაძე, გუჩუა, ალექსიძე, ნიტაიშვილი (ქებაძე 62), აშვეთია (ტულუში 84), პ. ჯინჭარაძე
*სათადარიგონი:* მამალაძე; კიკნაძე, ა. მუჯირი, ჩომახიძე
გაფრთხილება: მიქაძე (19), გუჩუა (44), მინდაძე (78)
გაძევება: გუჩუა (64)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ს. კახიანი, ზ. დოლიძე (ყველა თბილისი); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
სფფ-ის დელეგატი: დ. ქლიბაძე

ზუგდიდი
17 აპრილი
16 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 7 500)

## ოდიში 0:1 მერანი

0:1 თოლორდავა (68)
ოდიში: ნაყოფია, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, აკობია, ჯავაშვილი, აფაქიძე, ტაბალუა, კუტალია, მარკოზია, გოგოხია, გვიჩია
*სათადარიგონი:* გოგია; შელია, კაკულია, ლ. თოდუა, ცაცუა, ალანია
მერანი: ლომაია, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ცქიფურიშვილი (ხარებავა 46), ჭინჭარაული, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი, თოლორდავა (ბაჯელიძე 76), ბ. ამბიძე, ხუციშვილი, ს. დავითაშვილი
*სათადარიგონი:* კორომზინაძე; დ. ჭელიძე, ბერაია
გაფრთხილება: მარკოზია (28), ალადაშვილი (30), ჯავაშვილი (64), დავითაშვილი (66)
მსაჯები: ა. ორდენიძე (ონი); გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი); თ. ხუჭუა (სამტრედია)
სფფ-ს ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

ქუთაისი
17 აპრილი
16 საათი
მიში კილაძე
4 000 (ტევადობა 23 800)

## ტორპედო 1:1 არსენალი

0:1 ზირაქიშვილი (70), 1:1 ვაჩიბერაძე (90)
ტორპედო: სტურუა, თურმანიძე, ხვადაგიანი, შეყრილაძე, ახვლედიანი, მაღლაკელიძე, ჩხაბერიძე (მეგრელაძე 46), ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე (მაზანიშვილი 78), იმედაძე (კ. მეტრეველი 77), ვაჩიბერაძე
*სათადარიგო:* ჭანტურია
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ჩიქოვანი, ვ. გველესიანი, ყოლბაია (კოხრეიძე 76), მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი (კვირკველია 89), ვ. გაგუა, აბაზაძე, ხოსროშვილი, ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* კუპატაძე; გ. სულაძე, რობაქიძე
გაფრთხილება: ახვლედიანი (21), გაგუა (25), ჩხეტიანი (36), ჩხაბერიძე (45), ყოლბაია (53), აბაზაძე (88)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ჟ. მაჭარაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. ბაჩუკაშვილი

მცხეთა
17 აპრილი
16 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 3:0 სამგურალი

1:0 ბოკერია (48), 2:0 ქორიძე (62), 3:0 ალადაშვილი (82)
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ჭანკოტაძე, ვ. მაისურაძე, ქემოკლიძე, ერაძე (ა. ბოკერია 46), ზ. გვაზავა, კ. ალადაშვილი, დ. დოლიძე, მაზიაშვილი, გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (გვირჯიშვილი 77)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ჭოხონელიძე, ი. კაპანაძე, ბარქაია
სამგურალი: ალანაძე, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, ჯავახაძე, ლონლაძე, მახვილაძე, გიორგობიანი, მ. ჯინჭარაძე, პეტრიაშვილი, სუხიაშვილი, გლუნჩაძე (ზ. ქუთათელაძე)
*სათადარიგონი:* ბობოხიძე; შენგირაძე, ლ. გიორგაძე, ა. გაბელაია
გაფრთხილება: თევზაძე (16), პეტრიაშვილი (59)
გაძევება: თევზაძე (36), პეტრიაშვილი (59)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. კრიჭაშვილი, ა. ქარქაშაძე; ა. ნონიკაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

თბილისი
17 აპრილი
16 საათი
26 მაისი
400 (ტევადობა 16 000)

## ლოკომოტივი 1:0 გურია

1:0 გოგობერიშვილი (78)
ლოკომოტივი: დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი (ხორგუაშვილი 74), დ. მუჯირი (კ. მელქაძე 62), ვ. კილასონია, კაციაშვილი, შ. ხუჯაძე (ბაქრაძე 46), გოგობერიშვილი, დ. გოდერძიშვილი, წივწივაძე
*სათადარიგონი:* ჯანელიძე; ზ. არჩვაძე, დაუშვილი, ქოიავა
გურია: ნიკურაძე, თ. ჩხაიძე, ზ. კვეკვესკირი, მაჩიტიძე, ფირცხალაიშვილი, ქიაბრიშვილი, შავიშვილი, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე (კ. სვანიძე 46), ენუქიძე, გულორდავა (ძოწუაშვილი 68)
*სათადარიგონი:* გოგუა; ბერძენიშვილი
გაფრთხილება: კვეკვესკირი (78)
მსაჯები: გ. ასკაროლლი (ქარელი); ლ. სილაგავა, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); ო. ხეცაძე (ბორჯომი)
სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. ზეინკლიშვილი

სამტრედია
17 აპრილი
16 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 500 (ტევადობა 15 000)

## იბერია 2:0 დილა

1:0 ს. გიგიაძე (33), 2:0 ივჩიანი (86)
იბერია: გ. დოლიძე, ქვილაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, ნიკოლეიშვილი, ს. გიგიაძე, ხუჭუა, გ. ლურსმანაშვილი, ივჩიანი (ნ. გიორგაძე 88), ვარდიაშვილი (რ. ცომაია 87), მუმლაძე
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; მესიაჩენკო, ვ. გიგიაძე
დილა: სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, გაგნიძე, ვ. სამხარაძე, აკოფიანი, ლომიძე, არუთინიანი (ხიხალაშვილი 63), ლ. გოჩაშვილი, სულთანიშვილი (რ. ახალკაცი 85), მ. მინდიაშვილი, შატაკიშვილი
*სათადარიგო:* თ. ილურიძე
გაფრთხილება: მიქელთაძე (35), მინდიაშვილი (55)
მსაჯები: ა. მეშკოვი; ვ. ჩოჩიშვილი (ორივე თბილისი), ნ. რუსიშვილი; გ. დოგრაშვილი (ორივე ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

ლანჩხუთი
18 აპრილი
16 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
100 (ტევადობა 22 000)

## კოლხეთი 5:0 გორდა

1:0 ღლონიძე (8), 2:0 გვასალია (13), 3:0, 4:0 შავგულიძე (25, 52), 5:0 კალანდაძე (85)
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე (ბურკვაძე 76), ანჯაფარიძე (ჩაგანავა 83), ღლონიძე, ამაშუკელი (ჩადუნელი 12), შავგულიძე, კალანდაძე, ტრაპაიძე, ე. გვასალია
*სათადარიგონი:* ჩემია; თედეევი, ბულუხია, მ. ქობულაძე
გორდა: ოქროპირიძე, მჭედლიძე, კედელაშვილი (ბექაური 46), სიდამონიძე, მ. გაბელაია, ინასარიძე, მ. მელაძე, ზირაქაძე, კიტეიშვილი (ლაბაძე 62), ლ. ალადაშვილი (ბაბუნაშვილი 59), მიშველიძე
*სათადარიგონი:* მ. ქორიძე; ტარტარაშვილი, კალმახელიძე, სიმონიშვილი
მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 20 - | აშვეთია | დინამო |
| 15 - | იონანიძე | ტორპედო |
| 14 - | ხომერიკი | ბათუმი |
| 13 - | დ. მახარაძე | გურია |
| 12 - | ე. გვასალია | კოლხეთი |
| | წივწივაძე | ლოკომოტივი |
| 9 - | ალექსიძე | დინამო |
| | კაიდარაშვილი | დილა |
| | ზირაქიშვილი | არსენალი |
| | მეგრელაძე | ტორპედო |
| | დ. ჯანაშია | ტორპედო |

### სიმბოლური ნაკრები

ლევან შავგულიძე — კოლხეთი
ლევან ხომერიკი — ბათუმი
რატი ალექსიძე — დინამო
ზვიად გვაზავა — ვიტ ჯორჯია
მიხეილ მაზიაშვილი — ვიტ ჯორჯია
მიხეილ ხუციშვილი — მერანი
სოსო გიგიაძე — იბერია
ვასილ მაისურაძე — ვიტ ჯორჯია
ირაკლი ვაშაკიძე — დინამო
პაატა ჯინჭარაძე — დინამო
თემურ ჩლაიძე — ბათუმი

გუნდი არსენალი

მწვრთნელი დავით ჩახავა არსენალი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | # | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო (1) | 1 | 23 | 18 | 5 | 0 | 70:10 | +65 | 59 | 11 | 9 | 2 | 0 | 44:7 | +37 | 29 | 12 | 9 | 3 | 0 | 26:3 | +23 | 30 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 23 | 15 | 4 | 4 | 52:20 | +32 | 49 | 12 | 9 | 2 | 1 | 31:8 | +23 | 29 | 11 | 6 | 2 | 3 | 21:12 | +9 | 20 |
| 3 ლოკომოტივი (6) | 3 | 23 | 12 | 10 | 1 | 29:12 | +17 | 46 | 12 | 7 | 5 | 0 | 15:4 | +11 | 26 | 11 | 5 | 5 | 1 | 14:8 | +6 | 20 |
| 4 ბათუმი (2) | 4 | 23 | 10 | 9 | 4 | 33:16 | +17 | 39 | 12 | 7 | 4 | 1 | 24:6 | +18 | 25 | 11 | 3 | 5 | 3 | 9:10 | -1 | 14 |
| 5 კოლხეთი (3) | 5 | 23 | 11 | 4 | 8 | 48:34 | +14 | 37 | 12 | 8 | 1 | 3 | 32:12 | +20 | 25 | 11 | 3 | 3 | 5 | 16:22 | -6 | 12 |
| 6 მერანი (7) | 7 | 23 | 8 | 9 | 6 | 23:21 | +2 | 33 | 11 | 4 | 5 | 2 | 8:4 | +4 | 17 | 12 | 4 | 4 | 4 | 15:17 | -2 | 16 |
| 7 დილა (9) | 6 | 23 | 9 | 5 | 9 | 29:35 | -6 | 32 | 11 | 6 | 2 | 3 | 17:10 | +7 | 20 | 12 | 3 | 3 | 6 | 12:25 | -13 | 12 |
| 8 ვიტ ჯორჯია (10) | 8 | 23 | 10 | 4 | 9 | 27:20 | +7 | 31 | 12 | 5 | 2 | 5 | 16:11 | +5 | 17 | 11 | 5 | 2 | 4 | 11:9 | +2 | 17 |
| 9 იბერია (დ) | 10 | 23 | 8 | 5 | 10 | 34:37 | -3 | 29 | 12 | 5 | 4 | 3 | 20:12 | +8 | 19 | 11 | 3 | 1 | 7 | 14:25 | -11 | 10 |
| 10 არსენალი (დ) | 11 | 23 | 6 | 9 | 8 | 27:40 | -13 | 27 | 11 | 3 | 5 | 3 | 15:20 | -5 | 14 | 12 | 3 | 4 | 5 | 12:20 | -8 | 13 |
| 11 სამგურალი (12) | 9 | 23 | 7 | 3 | 13 | 20:40 | -20 | 24 | 11 | 4 | 1 | 6 | 8:13 | -5 | 13 | 12 | 3 | 2 | 7 | 12:27 | -15 | 11 |
| 12 თსუ (8) | 15 | 23 | 5 | 8 | 10 | 17:26 | -9 | 23 | 12 | 3 | 3 | 6 | 12:17 | -5 | 12 | 11 | 2 | 5 | 4 | 5:9 | -4 | 11 |
| 13 გორდა (11) | 14 | 23 | 4 | 9 | 10 | 14:32 | -18 | 21 | 11 | 3 | 5 | 3 | 8:13 | -5 | 14 | 12 | 1 | 4 | 7 | 6:19 | -13 | 7 |
| 14 ოდიში (5) | 12 | 23 | 6 | 2 | 15 | 16:39 | -23 | 20 | 12 | 4 | 1 | 7 | 12:19 | -7 | 13 | 11 | 2 | 1 | 8 | 4:20 | -16 | 7 |
| 15 სიონი (13) | 13 | 23 | 5 | 5 | 13 | 19:42 | -23 | 20 | 11 | 4 | 4 | 3 | 13:12 | +1 | 16 | 12 | 1 | 1 | 10 | 6:30 | -24 | 4 |
| 16 გურია (14) | 16 | 23 | 3 | 3 | 17 | 22:56 | -34 | 12 | 11 | 3 | 1 | 7 | 15:22 | -7 | 10 | 12 | 0 | 2 | 10 | 7:34 | -27 | 2 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში ! — ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნორვეგიელებს სწამთ, რომ საქართველო დაბალი დონეა



ნორვეგიის ნაკრები. დგანან: რეკდალი, ეგენი, სტრანდლი, ბერგი, ტ. ა. ფლო, სოლბაკენი
სხედან: ს. ნილსენი, ლეონარდსენი, გროდასი, ჰ. ფლო, რ. ნილსენი

*„სამი წლის წინ ნორვეგიული „მიოლდე“ დაამარცხეთ, მაგრამ იცოდეთ, ამჯერად ასე ადვილად ვეღარ გახვალთ ფონს. უეჭველი წაგება გელით“. როგორ გგონიათ, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები? ვის და ნორვეგიის ფეხბურთის ასოციაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, რომელსაც ჩემდა გასაკვირად, სომხური სახელი ჰქვია, ხოლო გვარი სუფთა ნორვეგიული აქვს — კარენ ესპელუნდი.*

*ოსლოში, ნორვეგიის ფეხბურთის ასოციაციაში დარეკვისას განზრახული მქონდა, ასოციაციის პრეზიდენტთან, პერ ომდალთან მესაუბრა, მაგრამ რადგან დაკავებული იყო, ეს არ მოხერხდა და ბატონმა ესპელუნდმაც ზედმეტი თავპატიჟის გარეშე შემომთავაზა თავისი სამსახური — თუკი რამეში გამოგადგებით, კი, ბატონო, მიმსახურეთო, განაცხადა და საუბარიც მუქარით დაიწყო, ანუ სწორედ იმ სიტყვებით, რომლებიც ზემოთ მოგახსენეთ.*

**— კი, მაგრამ, რატომ ხართ ასე ძლიერ დარწმუნებული თქვენს გამარჯვებაში, საქართველოს ნაკრებს არაფრად აგდებთ?**

— როგორ გეკადრებათ. ასე რომც ვფიქრობდე, მაინც არ გეტყოდით, თუნდაც უბრალო თავიაზიანობის გამო. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ ნორვეგიის ნაკრები თავისი მომზადების დონით და ფეხბურთელთა კლასით ქვეჯგუფში მოთამაშე ნებისმიერ გუნდზე გაცილებით მაღლა დგას.

**— ეს ადრეც გვსმენია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თქვენ ლატვიელებთან და ალბანელებთან დაუგეგმავი ქულები დაკარგეთ.**

— ეს კი მართალია, მაგრამ დაკარგულ ქულებს მე ჩვენი ფეხბურთელების ზედმეტ თავდაჯერებას დავაბრალებდი. ხომ იცით, რამხელა მნიშვნელობა აქვს ამას სპორტული თვალსაზრისით და ასეთი გაუფრთხილებლობის გამო მრავალი გუნდი დასჯილა. გარდა ამისა, იმ მატჩებში, ალბათ, არც იღბალი იყო მთლად ჩვენს მხარეს, მაგრამ ყოველივე უკვე დავიწყებას მიეცა და ქართველებთან მატჩისთვის დიდი მონდომებით ვემზადებით.

**— ესე იგი, თბილისში ადვილ ბრძოლას ელით?**

— სულაც არა. თამაში საკმაოდ რთული იქნება, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, ჩვენ მხოლოდ გამარჯვებას ვგეგმავთ და ნებისმიერი სხვა შედეგი ჩვენთვის არადამაკმაყოფილებლად ჩაითვლება. მესმის, რომ ეს საქართველოს ნაკრებისთვისაც ბოლო შანსია და თქვენც თქვენსას ეცდებით, მაგრამ მე მაინც ჩვენი კლასის მეიმედება.

**— საქართველოს ნაკრებს თუ იცნობთ?**

— საკმაოდ კარგად. თქვენს ნაკრებს ჯერ კიდევ ევრო 2000-ის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ვაკვირდებოდით და მისი სიტილიც საკმაოდ საფუძვლიანად შევისწავლეთ. ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია.

**— რას მიიჩნევთ საქართველოს ნაკრების ძლიერ და სუსტ მხარეებად?**

— უმჯობესი იქნებოდა, ამის შესახებ მწვრთნელებისთვის გეკითხათ და მათგან უფრო სრულყოფილ პასუხს მიიღებდით. თუმცა მეც გეტყვით, რომ თქვენ საკმაოდ ნელ ფეხბურთს თამაშობთ და მეტოქის მხრიდან პრესინგსაც ცუდად ეგებით. ეს თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ ჩვენ ამ ნაკლოვანებების გამოყენება ვერ მოვახერხეთ... ამაზე გარკვეული მუშაობა მოგვიწევს. რაც შეეხება თქვენს ძლიერ მხარეებს, თვალშისაცემია, რომ თითოეულ ფეხბურთელს ტექნიკა სისხლში აქვს გამჯდარი და პრაქტიკულად ყოველი მათგანი, მცველებიდან დაწყებული თავდამსხმელებით დამთავრებული, უშუალოდ საჯარიმო მოედანში დიდ საფრთხეს ქმნის. ამიტომ მათთან ყურადღების მოდუნება არ შეიძლება.

**— რომელიმე ქართველ ფეხბურთელს თუ გამოყოფდით საგანგებოდ?**

— მე ამაში ნაკლებად კომპეტენტური ვარ, თუმცა მაინც შემიძლია დაგისახელოთ ინგლისში მოთამაშე ქეცბაია, აგრეთვე კალაძე. დანარჩენებს არც ისე კარგად ვიცნობ. ამ საკითხზე მუშაობა, უბრალოდ, არ არის ჩემი საქმე.

**— როგორია თქვენი ნაკრების მზადყოფნის დონე?**

— ფეხბურთელები იმედით შეჰყურებენ მომავალ მატჩს.

**— თქვენი აზრით, ვინ გავა ჩვენი ქვეჯგუფიდან?**

— ნორვეგია აუცილებლად პირველი იქნება. რაც შეეხება მეორე ადგილის ბედს, მისი დაკავება, ალბათ, ნებისმიერს შეუძლია, რადგან ჯგუფში დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდები არიან თავმოყრილი. ერთი ეგ არის, ბერძნებს სხვებთან შედარებით მეტი გამოცდილება აქვთ.

**— ესე იგი, უკვე ჰოლანდიაში გეგულებათ თავი?**

— დაახლოებით ასეა.

**— გმადლობთ საუბრისთვის.**

აი, ასე დავასრულე საუბარი „მრიხანე“ კარენ ესპელუნდთან. სიმართლე გითხრათ, თავი ოდნავ შეურაცხყოფილადაც კი ვიგრძენი, რადგან ამ კაცის სიტყვებს რომ თავი დავანებოთ, მისი ტონიც ძალიან ქედმაღლური იყო. ალბათ, ეს ჩვენმა ფეხბურთელებმაც უნდა გაითვალისწინონ და თუ ისინი 28-ში ბატონ ესპელუნდის ოპტიმიზმს გააქარწყლებენ, ამას რაღა აჯობებს, თორემ ჯერ ნახევარი შესარჩევი ციკლი არ არის გასული და კაცს თავი უკვე ევროპის ჩემპიონატზე ჰგონია. თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, საქმე არც მთლად ასე ყოფილა და ნორვეგიაში ყველა ამგვარად სულაც არ ფიქრობს.

ნორვეგიის ფეხბურთის ასოციაციის გენერალურ მდივანთან საუბრის შემდეგ ძველ ნაცნობს, მთელ სკანდინავიაში საკმაოდ გავლენიანი გაზეთის, „OSLO“-ს სპორტულ რედაქტორს, გნევ მაგნუსონს დავუკავშირდი, რომელიც ჯერ კიდევ თბილისში ნორვეგიული „მიოლდეს“ სტუმრობისას გავიცანი. მაგნუსონს თავი გავახსენე, მოვიკითხე, კარენ ესპელუნდთან საუბრის მოკლე შინაარსი მოვახსენე და მისი აზრითაც დავინტერესდი.

— ესპელუნდის სიტყვებს დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ, რადგან, ცოტა არ იყოს, ყინჩი და ტრაბახა კაცია. წარმოგიდგენიათ, ბრაზილიასთან ბოლო ორი შეხვედრის წინ ის დარწმუნებით აცხადებდა პრესაში, უეჭველად გავიმარჯვებთო და აუხდა კიდეც. არადა, როგორი საქმეა, ასეთი განცხადება გააკეთოს თანამდებობის პირმა? არ გეწყინოთ, მაგრამ, ღმერთმა ქნას, მისი სიტყვები ახლაც გამართლდეს, თუმცა ეს ძალიან რთული იქნება.

**— ნორვეგიაში ყველა ასეა დარწმუნებული ნაკრების გამარჯვებაში?**

— არა, რას ამბობთ. ნორვეგიაში ფეხბურთი იმდენად პოპულარული არ არის, როგორც თქვენთან და ამიტომ ეს მატჩი საყოველთაო განსჯის საგნად არ ქცეულა, მაგრამ სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ თბილისში მეტად რთული შეხვედრა გველის. ეს ხომ თქვენთვის ბოლო შანსია და უეჭველია, ბოლომდე იბრძოლებთ, ხოლო ბრძოლის უნარი და ოსტატობა რომ საკმაოდ გაქვთ, ესეც ხშირად დაგიმტკიცებიათ. მით უმეტეს, საკუთარ მოედანზე, სადაც განსაკუთრებით ძლიერად გამოიყურებით. თუმცა წაგების უფლება არც ჩვენ გვაქვს. ასე რომ, ძალიან მძიმე თამაში იქნება და დაე, უძლიერესმა გაიმარჯვოს.

**— როგორც ვიცი, ნორვეგიის ნაკრების ხელმძღვანელობამ საკმაოდ კარგად შეისწავლა საქართველოს ნაკრების თამაშის სტილი.**

— კი, ამ მხრივ ინფორმაციის ნაკლებობას არ განვიცდით. მაგრამ განა თქვენც ასეთივე მდგომარეობაში არა ხართ?

**— თქვენი აზრით, ვინ დაიკავებს ჯგუფში პირველ ორ ადგილს?**

— ამ ეტაპზე პასუხს დანამდვილებით ვერავინ გაგცემთ.

**— ნორვეგიის ნაკრები რაიმეს ხომ არ უჩივის?**

— არის სხვადასხვა სიმძიმის ტრავმები, მაგრამ განსაკუთრებით სერიოზული საბედნიეროდ, არაფერია. მთავარ პრობლემას, ჩემი აზრით, სოლსკიაერი ქმნის. მას ჯერჯერობით ვერ გაურკვევია, სად ითამაშებს საბოლოოდ. ახლა საუბარი „ფიორენტინას“ ვარიანტზეა. იტალიელები მისით არიან დაინტერესებული, თუმცა დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით. ხომ იცით, ეს მოთამაშეზე ფსიქოლოგიურად ძალიან მოქმედებს.

მიუხედავად იმისა, რომ მაგნუსონი ესპელუნდზე ბევრად ფრთხილი და ტაქტიანი იყო, მაინც მენიშნა, რომ თბილისიდან სამშობლოში სამი ქულის წაღება დიდ პრობლემად არც მას მიაჩნია. ისე, ნორვეგიელებს რომ ასე სწამთ, იქნებ ეს ჩვენთვის უკეთესიც იყოს, რადგან თუ ვიკინგების ძლევა არასაფეხბურთო ლატვიელებმა და ჩვენზე გაჭირვებულმა ალბანელებმა მოახერხეს და თანაც ნორვეგიაში, ჩვენ თბილისში ვითომ რატომ ვერ უნდა შევძლოთ მათი დაჩოქება? ნათქვამია, აღდგომა და ხვალეო...

ვახტანგ ბოლოთაშვილი
საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

# იუპ ჰაინკესი ბენფიკას მწვრთნელია

ჩემპიონთა თასის ოდინდელი მფლობელი, ლისაბონის „ბენფიკა“, კარგა ხანია წარმატებას დახარბებულა და გამოსავლის ძიებაში მწვრთნელს იცვლის. ამჯერად ლისაბონის გუნდს სათავეში ცნობილი გერმანელი მწვრთნელი იუპ ჰინკესი ჩაუდგება, რომელიც შოტლანდიელი გრემ სუნესის მემკვიდრეობას ჩაიბარებს.

პორტუგალიაში კარგა ხანია 46 წლის სუნესის გადადგომას მოითხოვენ. კლუბის პრეზიდენტმა ჟოაო ვალე ე აზევედომ გულშემატკივართა ზეწოლას ველარ გაუძლო და საბოლოოდ შოტლანდიელის თანამდებობიდან გაშვება გადაწყვიტა.

„იუპ ჰაინკესმა ჩვენთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი“— განაცხადა ჟოაო ვალე ე აზევედომ პრესკონფერენციაზე — „ის გახლავთ სპეციალისტი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდაა აღიარებული“

პორტუგალიის კლუბთა შორის ყველაზე პოპულარული დღეს ეროვნული ჩემპიონატის ცხრილში მესამე პოზიციაზეა, ლიდერს, „პორტუს“, ცხრა ქულით ჩამორჩება და ერთობ სავარაუდოა, რომ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება ვერ მოიპოვოს.

„ჩვენ ჩემპიონები ვერ ვხდებით და ამის მიზეზი ბევრია. უპირველესად შემიძლია სუნესი დავასახელო“ — ბრძანა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ ჰაინკესი, რომელმაც გასულ სეზონში მადრიდის „რეალს“ 32 წლიანი მდუმარების მერე ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა, საქმეს ზაფხულში შეუდგება.

მართალია გერმანელი მწვრთნელისა და ლისაბონის გუნდის ხელშეკრულება ორწლიანია, მაგრამ ჰაინკესმა კარგად უწყის, რომ „ბენფიკას“ ქომაგთა გულის მოსაგებად წარმატებებს პირველი თამაშებიდანვე უნდა მიაღწიოს.

„წარუმატებლობას აღარავის ვაპატიებთ“ — დაიმუქრა ვალე ე აზევედომ.

ჰაინკესის წარმატებათაგან „რეალში“ მიღწეულის გარდა აღსანიშნავია მიუნხენის „ბაიერნის“ მიერ მოპოვებული გერმანიის ჩემპიონის ტიტული. აღსანიშნავია ისიც, რომ შარშან გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ჰაინკესს ეროვნული გუნდის მწვრთნელობა შესთავაზა.

სუნესი კი პორტუგალიელ ქომაგთა შორის პოპულარული არასდროს ყოფილა. იგი ლისაბონში 1997 წელს ჩავიდა და თავიდან მხსნელადაც მიაჩნდათ, მაგრამ თანდათან გაირკვა, რომ შოტლანდიელი მწვრთნელი ახალ ქვეყანაში ენის შესწავლას არც კი ცდილობდა, რასაც ისიც დაამატა, რომ გუნდში უცხოელი, უპირატესად ბრიტანელი ფეხბურთელების შეყრა დაიწყო. ახლა შედეგს აღარ იკითხავთ? „პორტუ“ უკვე მეხუთე სეზონია ჩემპიონი ხდება და ამაში ხელს სუნესის „ბენფიკაც“ ვერ უშლის.

მოკლედ, „ლივერპულის“ ყოფილ ფეხბურთელს კონტრაქტით განსაზღვრული ვადა ერთი წლით შეეკვეცა, მაგრამ ვალე ე აზევედომ კლუბის ჩავარდნა მხოლოდ მასაც არ გადააბრალა. პრეზიდენტმა კრიტიკის ქარცეცხლში პორტუგალიური პრესა, მსაჯები და საკუთრივ „ბენფიკას“ ფეხბურთელებიც გაატარა.

# ცხვირი



რობი ფაულერს საძაგელი პერიოდი უდგას, მაგრამ გული არ უნდა გაიტეხოს, ცხოვრება ასეა. უფრო სწორად ხან ასე, ხანაც ისე.

ის ამბავი, საკუთარ 24-ე დაბადების დღეზე 51 ათას დოლარიანი ჯარიმა რომ დააკისრეს, მსოფლიოს პრესა-ტელევიზიაში მრავალჯერ დაიწერა და გადაიცა. შეგახსენებთ მიზეზს: ლივერპულელმა ჯერ იყო და „ჩელსისთან“ შეხვედრის დროს მოწინააღმდეგის მცველს, გრემ ლე სოს, რაღაც უწმაწური ჟესტები აჩვენა, ვითომდა ჰომოსექსუალისტი ხარო, ხოლო შემდეგ „ევერტონთან“ მატჩში გოლი რომ გაიტანა, კარის ხაზზე მობნეული ცარცი კოკაინივით შეისრუტა.

აი, ამ ტუტუცობისთვის დაისაჯა თავდამსხმელი — ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაცია და ზემოხსენებული ჯარიმა დაეკისრა, მაგრამ საძაგელი პერიოდი რისი საძაგელი პერიოდი იქნებოდა, ამით რომ დამთავრებულიყო: ამასწინათ ლივერპულის ერთ-ერთ სასტუმროში, მიბეგვეს.

დიახ, 25 მაისს ინგლისის ამ ქალაქში სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგნენ ორნი, ვილაც 41 წლის მამაკაცი და მისი მავანი ძმაკაცი, რომელთაც ბრალად რობი ფაულერის ცხვირის გატეხვა ედებათ.

ცხვირის გატეხვას არა უშავს, მთავარია ფაულერმა გული არ გაიტეხოს. ასეა ცხოვრება, ცუდ პერიოდს აუცილებლად შეცვლის კარგით და მერე სხვებმა იდარდონ თავიანთი ცხვირების ამბავი.

U.S.S.R. '85
III World Youth Championship for the FIFA/Coca-Cola Cup

# ფიფა–კოკა-კოლას მსოფლიოს III ახალგაზრდული ჩემპიონატი

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 24.08.85 | ერევანი | უნგრეთი | კოლუმბია | 2:2 | | |
| 24.08.85 | ერევანი | ტუნისი | ბულგარეთი | 0:2 | | |
| 26.08.85 | ერევანი | უნგრეთი | ტუნისი | 2:1 | | |
| 27.08.85 | ერევანი | კოლუმბია | ბულგარეთი | 1:1 | | |
| 29.08.85 | ოქტემბერიანი | კოლუმბია | ტუნისი | 2:1 | | |
| 29.08.85 | ერევანი | უნგრეთი | ბულგარეთი | 1:1 | | |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 4 |
| კოლუმბია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 4 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 4 |
| ტუნისი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

**C ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 24.08.85 | მინსკი | სსრკ | ავსტრალია | 0:0 | | |
| 24.08.85 | მინსკი | ნიგერია | კანადა | 2:0 | | |
| 26.08.85 | მინსკი | სსრკ | ნიგერია | 2:1 | | |
| 27.08.85 | მინსკი | ავსტრალია | კანადა | 0:0 | | |
| 29.08.85 | მინსკი | სსრკ | კანადა | 5:0 | | |
| 29.08.85 | მინსკი | ავსტრალია | ნიგერია | 2:3 | | |
| სსრკ | 3 | 2 | 1 | 0 | 7:1 | 5 |
| ნიგერია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 1 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| კანადა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | 1 |

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 24.08.85 | თბილისი | ირლანდია | ბრაზილია | 1:2 | | |
| 24.08.85 | თბილისი | საუდეთი | ესპანეთი | 0:0 | | |
| 26.08.85 | თბილისი | ირლანდია | საუდეთი | 0:1 | | |
| 27.08.85 | თბილისი | ბრაზილია | ესპანეთი | 2:0 | | |
| 29.08.85 | თბილისი | ირლანდია | ესპანეთი | 2:4 | | |
| 29.08.85 | თბილისი | ბრაზილია | საუდეთი | 1:0 | | |
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 3 |
| საუდეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 3 |
| ირლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |

**D ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 24.08.85 | ბაქო | ინგლისი | პარაგვაი | 2:2 | | |
| 24.08.85 | ბაქო | ჩინეთი | მექსიკა | 1:3 | | |
| 26.08.85 | ბაქო | ინგლისი | ჩინეთი | 0:2 | | |
| 27.08.85 | ბაქო | პარაგვაი | მექსიკა | 0:2 | | |
| 29.08.85 | ბაქო | ინგლისი | მექსიკა | 0:1 | | |
| 29.08.85 | სუმგაიტი | პარაგვაი | ჩინეთი | 1:2 | | |
| მექსიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ჩინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 4 |
| პარაგვაი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ინგლისი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

**მეოთხედფინალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 01.09.85 | თბილისი | ბრაზილია | კოლუმბია | 6:0 |
| 01.09.85 | მინსკი | სსრკ | ჩინეთი | 1:0 |
| 01.09.85 | ბაქო | მექსიკა | ნიგერია | 1:2 |
| 01.09.85 | ერევანი | ბულგარეთი | ესპანეთი | 1:2 |

**ნახევარფინალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 04.09.85 | ლენინგრადი | ბრაზილია | ნიგერია | 2:0 |
| 04.09.85 | მოსკოვი | ესპანეთი | სსრკ | 2:2 (პენ. 4:3) |

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 07.09.85 | მოსკოვი | სსრკ | ნიგერია | 0:0 (პენ. 1:3) |

**ფინალი. 07.09.85. მოსკოვი. 41.000 მაყურებელი**

**ბრაზილია 1:0 ესპანეთი**

1:0 ენრიკე (92)
ბრაზილია: ტაფარელი, ლუსიანო, ლუის კარლოსი, ენრიკე, დიდა, ჟოაო ანტონიო, ტოსინი, სილასი (ჩავეირო 114), მიულერი, ჟერსონი (ანტონიო კარლოსი 109), ბალალო
ესპანეთი: უნსუე, ტირადო, ლისარალდე, აროსარენა, მენდიონდო, მარსელინო (ნანინ 77), პასი, ხოსე აურელიო, გომესი, ლოსადა, გოიკოეჩეა (ფრანსისკო 66)
მსაჯი: სიმი (შოტლანდია)

*საუკეთესო მოთამაშე:* სილასი (ბრაზილია); *ბომბარდირი:* ექვსი ფეხბურთელი 3-3 გოლით

## ეს იყო მაშინ

მას შემდეგ მთელი 14 წელიწადი გავიდა, თუმცა ძნელია დაივიწყო ის ამბები, 1985 წლის აგვისტოს, თბილისს და მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის თამაშებს რომ უკავშირდება.

1985 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს მასპინძლობდა და თამაშების მიღების პატივი მოსკოვის, მინსკის, ლენინგრადისა და კიდევ რამდენიმე ქალაქის დარად თბილისსაც ერგო.

ვ.ი. ლენინის სახელობის სტადიონი, რომელზეც B ჯგუფის თამაშები იმართებოდა, მართალია, არც ერთ მატჩზე არ გადაჭედილა, მაგრამ მაყურებლის ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდა. ან კი როგორ შეიძლებოდა ქართველთა ქომაგს სცოდნოდა, რომ თბილისში ბრაზილია ესპანეთს ეპაექრებოდა და სტადიონზე არ წასულიყო. მატჩებს, საკმაოდ საინტერესო შეხვედრებს, ათასობით გულშემატკივარი ადევნებდა თვალს და ამით არც არაფერი წაუგიათ.

ბრაზილიელები კლაუდიო ტაფარელი, მიულერი და სილასი სწორედ მაშინ გაიცნეს ქართველებმა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ცხრა წლის შემდეგ ტაფარელი და მიულერი მსოფლიოს ჩემპიონები გახდებოდნენ.

დასრულდა თუ არა ტურნირი, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ უძლიერეს ჯგუფს თბილისი მასპინძლობდა. ხუმრობა საქმე ხომ არაა — მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში სწორედ ის ორი ნაკრები გავიდა ბრაზილია და ესპანეთი, რომლებიც აქ, ჩვენთან თამაშობდნენ.

ერთი სიტყვით, 1985 წლის აგვისტო თბილისისთვის დიდ საერთაშორისო არენაზე დებიუტად იქცა — სამწუხაროდ შემდგომში, ფიფას ეგიდით ჩატარებული ტურნირისთვის თბილისს აღარ უმასპინძლია.

...თბილისი მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს 1 სექტემბერს გამოეთხოვა — მეოთხედფინალში ბრაზილიამ 6:0 დაამარცხა კოლუმბია და ტურნირიც საქართველოს დედაქალაქისთვის დასრულდა.

## რონალდოს მეორედ მოსვლა

ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ და შეცდომებსაც ამიტომ ვუშვებთო, განაცხადა მეოთხედფინალში დამარცხებული ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ჟოაო კარლოს და სილვამ.

რონალდოც ადამიანია. ალბათ, ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელი მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ცდებოდა კიდეც, თუმცა ეტყობოდა, რომ კარგი, ნიჭიერი მოთამაშე იყო.

— გუნდი რამდენიმე ლიდერს ეყრდნობა. ჩემი აზრით, ყველა ნაკრებს რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელი უნდა ჰყავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანს, გამარჯვებას ვერ მიაღწევს. ჩემ გუნდში ძლიერი ფეხბურთელები არიან, მაგრამ სამ მათგანს გამოვყოფდი — მატუსალემს, ფერნანდო ბაიანოს და რონალდოს. ეს სიტყები იგივე და სილვას ეკუთვნის, ოღონდ მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობის დაწყებამდე ნათქვამი.

რონალდო, „გრემიოს" ახალგაზრდა თავდამსხმელი, მართლაც გუნდის ლიდერია. სამწუხაროდ, მისი ნაკრები გამოეთიშა მსოფლიოს ჩემპიონატს, მაგრამ ამით ხომ არ თავდება ყველაფერი? წინ დიდი გზაა.

ბრაზილიაში გრემიოელ რონალდო დე ასის მორეირას ცნობილზე ცნობილ სეხნია რონალდოს, იმავე ლუის ნაზარიო დე ლიმას ადარებენ. უფროსი რონალდო ახლა „ინტერშია", თუმცა ისიც ჩვეულებრივად იწყებდა. ჯერ ახალგაზრდები, მერე დიდები...

— მსიამოვნებს, როცა რონალდოს მადარებენ. ძალიან მინდა, მასავით სახელოვანი გავხდე და საამისოდ ყველაფერს ვილონებ — პატარა რონალდოს სურს, დიდ რონალდოს დაემსგავსოს.

...მისი ბრაზილია ოქროსთვის ბრძოლას ჩამოშორდა, თუმცა რონალდოს თამაში შეუმჩნეველი არავის დარჩენია. „გრემიოს" ყმაწვილკაცის თაობაზე უკვე რამდენიმე კლუბი ეკურკურება.



სარბიელის არქივიდან

რონალდო დე ასის მორეირა

## ფეხბურთის რუკასთან



**ჩეხეთის** ჩემპიონატის 23-ე ტური: ჩმელი — სპარტა 1:1, ბანიკი — ვიქტორია (ჟიჟკოვი) 2:1, სლავია — ვიქტორია (პლზენი) 1:1, ტეპლიცე — ჰრადეც კრალოვე 4:0, ოპავა — დრნოვიცე 4:0, დუკლა — იაბლონეცი 1:1, ბობი — ოლომოუცი 0:0, სლოვანი — კარვინა 3:1. ჩემპიონატს 47 ქულით პრაღის „სპარტა" ლიდერობს. 39-39 ქულით მეორე-მესამე ადგილებს „ტეპლიცე" და პრაღის „სლავია" იყოფენ.

**არგენტინის** ჩემპიონატის მერვე ტური: ბოკა ხუნიორსი — რასინგი 4:0, ლანუსი — რივერ პლეიტი 1:1, ურაკანი — ბელგრანო 0:3, უნიონი —ველეს სარსფილდი 1:0, ხიმნასია დე ხუხუი — პლატენსე 1:1, ფერო კარილო — კოლონი 0:0, ტალერესი — არგენტინოს ხუნიორსი 1:1, როსარიო სენტრალი — სან ლორენსო 1:0, ესტუდიანტესი — ინდეპენდიენტე 0:0. ჩემპიონატს 22 ქულით ჯერჯერობით უძლეველი „ბოკა ხუნიორსი" ლიდერობს. 17 ქულა აქვს მეორე ადგილზე მყოფ „რივერ პლეიტს", ხოლო 16 ქულით მესამეზეა „ლანუსი".

**დანიის** ჩემპიონატის 23-ე ტური: ოლბორგი — ორჰუსი 2:1, AB — ვეილე 2:0, B93 — სილკებორგი 0:1, ერფოლგე — ლუნგბიუ 0:2, ვიბორგი — კოპენჰაგენი 1:0, ფრემადი — ბრონდბიუ 1:3. 47 ქულით პირველობის ლიდერია კოპენჰაგენის AB. მეორე ადგილზეა „ოლბორგი", რომელიც ლიდერს ორი ქულით ჩამორჩება. 44 ქულით მესამეზეა „ბრონდბიუ".

**უნგრეთის** ჩემპიონატის 25-ე ტურის ერთი თამაში გაიმართა ორშაბათს — „დიოშგიორმა" 1:1 ითამაშა „ზალაეგერსეგთან". პირველობას 65 ქულით მტკ ლიდერობს. 49 ქულა აქვს მეორე ადგილზე მყოფ „დიორ ეტოს". 45-45 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ „ფერენცვაროში" და „უიპეშტი".

**კვიპროსის** ჩემპიონატის 24-ე ტური: ანორთოსისი — ეთნიკოსი 2:0, ომონია — აელ 3:0, აპოლონი — აპოელი 2:1, აეკ — არისი 5:1, დოხა — ოლიმპიაკოსი 1:4, ევაგორესი — ალკი 0:2, ენოსისი — ნეა სალამინა 0:3. პირველობას ორი ლიდერი ჰყავს — ფამაგუსტას „ანორთოსისს" და ნიქოზიას „ომონიას" 61-61 ქულა აქვთ. მესამე ადგილზეა ნიქოზიას კიდევ ერთი კლუბი, „აპოელი" (53 ქულა).

**ლუქსემბურგის** ჩემპიონატის მე-18 ტური: პეტანჟი — ჟენეს ეში 0:5, უნიონი — სპორა 5:1, ავენირი — ვილცი 5:0, დუდელანჟი — არისი 4:1, გრევენმახერი — ჰობშაიდი 3:1, სპორტინგი — მონდერკანჟი 3:3. 41 ქულით პირველობის ლიდერია „ჟენეს ეში". ქულით ნაკლები აქვს მეორე ადგილზე მყოფ „დუდელანჟს", ხოლო მესამეზე 39 ქულით „უნიონია".

**ბულგარეთის** ჩემპიონატის 23-ე ტური: ლიტექსი — სლავია 3:1, ნეფტოხიმიკი — სეპტემვრი 1:3, ლოკომოტივი (სოფია) — პირინი 4:1, ბოტევი — ლევსკი (კისტენდილი) 2:2, მინიორი — ლოკომოტივი (პლოვდივი) 2:0, შუმენი — ლევსკი (სოფია) 0:1, სპარტაკი — დობრუჯა 1:2, ცსკა —მეტალურგი 0:2. 57 ქულით ჩემპიონატს „ლიტექსი" ლიდერობს. 55 ქულა აქვს მეორე ადგილზე მყოფ სოფიის „ლევსკის". 41 ქულით მესამეზე კიდევ ერთი „ლევსკია", ოღონდ კისტენდილის.

## ლონდონი დიდებული ქალაქია, დელვეკიო — დიდებული თავდამსხმელი

მარკო დელვეკიო, იტალიური „რომას" მთავარი თავდამსხმელი, ამბობს, რომ ლონდონური „ჩელსის" მოთამაშე მწვრთნელს ჯანლუკა ვიალის ინგლისში გადასვლასთან დაკავშირებით პირობებს უთანხმებს.

„ჩელსი? დიახაც, „ჩელსი". სრულიად შესაძლებელია, რომ მომავალი სეზონიდან ლონდონურ გუნდში ვითამაშო. ამის შესახებ ვიალის უკვე ველაპარაკე" — განუცხადა დელვეკიომ იტალიურ საინფორმაციო სააგენტო ANSA-ს. „ჩელსიში" უკვე არიან იტალიის ნაკრებში გამოცდილი და ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელები: ვიალი, ჯანფრანკო ძოლა, რობერტო დი მატეო და დაშავებული პიერლუიჯი კაზირაგი.

„ინგლისში გადასვლა ჩემთვის ერთობ თავგადასავალია. ლონდონი დიდებული ქალაქია, ხოლო ჩელსი, როგორც მითხრეს, საუცხოო უბანი, მაგრამ საბოლოო პასუხამდე ჯერ კიდევ უნდა ველაპარაკო „რომას" პრეზიდენტს ფრანკო სენსის. სულაც არ გამოვრიცხავ, რომ იტალიაში დავრჩე" — თქვა დელვეკიომ. ცოტა ხნის წინ ვიალიმ დელვეკიო ასე დაახასიათა: „მას ჩინებული ტექნიკა აქვს და მაღალი დონის ფორვარდია, ჩვენ კი თავდამსხმელი გვჭირდება".

სხვათა შორის, ვიალიმ ისიც დაიჩივლა, რომ დელვეკიოს საყიდლად დიდძალი ფული იქნება გადასახდელი. „დღეს მაინც მოცდა აჯობებს" — დასძინა მან, ხოლო „რომას" ხელმძღვანელებს საერთოდ არაფერი უთქვამთ.

### საბერძნეთი

26-ე ტური. პანათინაიკოსი — ეთნიკოსი (პირეოსი) 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 26 | 21 | 2 | 3 | 67:19 | 65 |
| აეკ | 26 | 19 | 4 | 3 | 59:20 | 61 |
| პანათინაიკოსი | 26 | 18 | 2 | 6 | 52:29 | 56 |
| პაოკ | 26 | 13 | 5 | 18 | 30:24 | 44 |
| ქსანტი | 26 | 12 | 7 | 7 | 31:24 | 43 |
| არისი | 26 | 13 | 3 | 10 | 38:36 | 42 |
| ოფი | 26 | 13 | 2 | 11 | 39:31 | 41 |
| იონიკოსი | 26 | 11 | 7 | 8 | 47:32 | 40 |
| ირაკლისი | 26 | 11 | 6 | 9 | 36:26 | 39 |
| კავალა | 26 | 10 | 6 | 10 | 40:47 | 36 |
| ეთნიკოსი (ა) | 26 | 10 | 3 | 13 | 32:44 | 33 |
| აპოლონი | 26 | 7 | 8 | 11 | 33:47 | 29 |
| პანილიაკოსი | 26 | 8 | 5 | 13 | 29:41 | 29 |
| პანელეფსინ. | 26 | 5 | 10 | 11 | 19:34 | 25 |
| პანიონიოსი | 26 | 7 | 3 | 16 | 34:43 | 24 |
| პროდეფტიკი | 26 | 6 | 6 | 14 | 19:31 | 24 |
| ვერია | 26 | 4 | 5 | 17 | 15:44 | 17 |
| ეთნიკოსი (პ) | 26 | 0 | 8 | 18 | 14:61 | 8 |

### ნორვეგია

მე-2 ტური: სკეიდი — ვალერენგა 0:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოლდე | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| ლილესტრიომი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 6 |
| ოდ გრენლანდი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| ბოდო გლიმტი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ვალერენგა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:3 | 4 |
| როსენბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:3 | 3 |
| სტაბეკი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:3 | 3 |
| ტრომსო | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| ვიკინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| სტრომსგოდსეტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| კონგსვინგერი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |
| ბრანი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |
| მოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |
| სკეიდი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20



თასების მფლობელთა თასი

XXI გათამაშება 1980-81 წლები

დინამო

თბილისი, სსრკ

სოლომონ ქყლიბაშვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

# თვრამეტი წელი გასულა...

## ამბავი ქართველთა დიდი გამარჯვებისა

ამ ორიოდე წლის წინ „პაიჭაძეზე" 81-ის „დინამო" საქართველოს პარლამენტარებს ეთამაშებოდა. ორმოცს გადაცილებული დინამოელები დამძიმებულიყვნენ და თმებიც ოდნავ შევერცხლოდათ. თითქოს მოძრაობაც უჭირდათ, მაგრამ გავიდა ათიოდე წუთი და უცებ თამაში დალაგდა, საათივით აეწყო და გალამაზდა. „მობილური" — ეს სიტყვა ყველაზე უკეთ გამოხატავს 81-იანელების იმდღევანდელი თამაშის არსს. გავიფიქრე კიდეც, ამათგან რამდენიმე საქართველოს ნაკრებში დღესაც ითამაშებდა-მეთქი. ძნელად თუ დაიჯერებდით, რომ ათ წელიწადზე მეტია, ფეხბურთს თავი დაანებეს.

ტექნიკური, მობილური და მებრძოლი — ასეთი იყო მაშინდელი „დინამო" და, ალბათ, მთლიანად ქართული ფეხბურთიც. მას შემდეგ 18 წელიწადი გავიდა და ეს თამაში 18 წლით წინ წავიდა. ჩვენ კი, ვგონებ, ამდენივეთი უკან დავიხიეთ. აბა, გაიხსენეთ, საქართველოს ნაკრების ერთი მატჩი მაინც, გოლი რომ გაეშვათ და მერე გაეთანაბრებინათ... ასეთი არ ყოფილა. მაშინ კი, დიუსელდორფში, ქართული ფეხბურთის ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრაში დინამოელები აგებდნენ, მაგრამ ძალა მოიკრიბეს და მაინც გაიმარჯვეს. ამიტომაც მოიგეს ევროპის თასი, ამიტომაც განსხვავდებიან დღევანდელებისგან...

ყველაფერი 1981 წლის 4 მარტის საღამოს ლონდონის „ეპტონ პარკზე" დაიწყო. მართალია, მანამდე „დინამოს" უკვე ორი წრე ჰქონდა გავლილი, მაგრამ „კასტორია" და „უოტერფორდი" მხოლოდ იმით დაგვამახსოვრდა, რომ სალონიკიში მინდორი ოღროჩოღრო და გამაგრებული იყო, ზედ მუჭით შეიძლებოდა კენჭების მოგროვება. უოტერფორდის „კილკოჰან პარკი" კი სამი მხრიდან დაბალი მესრით შემოეღობათ და სულაც ძაღლების დოღისთვის ყოფილა ვარგისი. 4 მარტს კი, თამაშის 24-ე წუთზე, „დინამოს" კაპიტანმა საშა ჩივაძემ შორი მანძილიდან ულამაზესი ბურთი გაუტანა „ვესტ ჰემს". მერე ამას კიდევ სამი მოჰყვა და „დინამოს" გაჩერება შეუძლებელი გახდა...

დღესაც ამბობენ ხოლმე, რა იყო „ვესტ ჰემი", ინგლისის მეორე ლიგის გუნდიო, მაგრამ „ჩაქუჩები" იმ სეზონში პირველ ლიგას (დღევანდელი პრემიერლიგა) დაუბრუნდნენ. წინა წელს, საშინაო თასის გადამწყვეტ მატჩში, თასთა თასის მაშინდელი ფინალისტი „არსენალი" დაამარცხეს. ლამპარდმა, ბონდსმა, ბრუკინგმა და მენეჯერმა ლაიოლმა კი 1976-ში იმავე თასების თასის დრამატული ფინალი წააგეს „ანდერლეხტთან". ერთი სიტყვით, „ვესტ ჰემს" არც მაღალი კლასის შემსრულებლები აკლდა და არც გამოცდილება.

პრობლემები „დინამოს" უფრო ჰქონდა. ჯერ ერთი, წინა, 1980 წლის სეზონი გუნდს ჩაუვარდა — ჩემპიონატში სამეულში ვერ მოხვდა და თასის ფინალიც დათმო დონეცკის „შახტიორთან". მანუჩარ მაჩაიძის გუნდიდან წასვლამაც ბევრი რამ გადასაწყობი გახადა. მეორეც, ამ დროისთვის საბჭოთა კავშირის პირველობა ჯერ დაწყებული არ იყო და თბილისელებს სამი თვის განმავლობაში ოფიციალური მატჩი არ ჩაეტარებინათ. სათამაშო პრაქტიკის უქონლობა კი, მოგეხსენებათ, ფეხბურთში ბევრს ნიშნავს. ამიტომაც იყო ხოლმე, ევროთასების საგაზაფხულო ეტაპი საბჭოთა გუნდების „აქილევსის" ქუსლად რომ ითვლებოდა. მაგრამ „დინამომ" მოიგო და თანაც ძალიან ლამაზად. ამას ნამატჩევს ჯონ ლაიოლის ნათქვამიც ადასტურებს.



დინამოს მორიგი შეტევა: ჩივაძე და ყიფიანი კარლ ცაისის საჯარიმოში

„აღტაცებული ვარ „დინამოს" თამაშით. ეს დიდებული, ოსტატობით უხვად დაჯილდოებული გუნდია". ლაიოლის სიტყვები არ იყო უბრალო ქათინაური, მენეჯერი მართალს ამბობდა.

ამ გათამაშებაში „ვესტ ჰემმა" კიდევ ერთი ამბით დაგვამახსოვრა თავი. პირველ წრეში ესპანურ „კასტილიასთან" შეხვედრისას მათმა ფანებმა ტრადიციულად მოიგიჟიანეს თავი. შედეგად 50-მდე კაცი სტადიონიდან გააძევეს, 30-მდე დააპატიმრეს, ერთ ახალგაზრდა ყმაწვილს კი ყველაფერი ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. „ვესტ ჰემი" უეფამ 30 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა და ლონდონური რაუნდი ცარიელი ტრიბუნების წინაშე გაამართვინა. თამაშს მხოლოდ ოფიციალური პირები და ჟურნალისტები ესწრებოდნენ. მიუხედავად ამისა, „ჩაქუჩებმა" მაინც მოიგეს, თუმცა ამისთვის რამდენიმე [illegible] სჭირდათ.

ნახევარფინალის [illegible] თბილისურ რაუნდში „დინამომ" ჰოლანდიური „ფეიენოორდი" გაანადგურა 3:0. განსაკუთრებით კარგად ჩვენმა გუნდმა პირველ ტაიმში ითამაშა.

უამრავ შეტევას 23-ე წუთზე სულაქველიძის პირველი გოლი მოჰყვა. შვიდ წუთში დარასელიას გადაცემით გუცაევმა მეორე შეაგდო. მესამე ბურთიც ეფექტური გამოვიდა. შეტევაში წასულმა სულაქველიძემ შეამჩნია, რომ წინ მყოფი გუცაევი თამაშგარეში იმყოფებოდა, ამიტომ ბურთი თავად გაიგდო, საჯარიმოში შეიჭრა და ჰოლანდიელებს მესამედ დააწყებინა ცენტრიდან.

როტერდამში კი, ალბათ, „დინამოს" ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უსამართლო მატჩი ჩატარდა. მოგონილი პენალტი თბილისელთა კარში და პირიქით, სამი არდანიშნული თერთმეტმეტრიანი და ორი ჩაუთვლელი გოლი „ფეიენოორდის" სასარგებლოდ. თუმცა საბოლოოდ სამართალი მაინც არ დაკარგულა, 0:2 და „დინამო" ფინალში გავიდა.

დიუსელდორფში დინამოელებს ძლიერი და მათთვის უხერხული გუნდი ელოდათ. იენის „კარლ ცაისის" თამაში ფიზიკურ მომზადებაზე იყო დაფუძნებული, ასეთებთან კი ქართველებს ყოველთვის უჭირდათ ხოლმე. ფინალამდე გერმანელებმა იტალიური „რომა", თასის მფლობელი „ვალენსია" და პორტუგალიური „ბენფიკა" დაამარცხეს. ასეთების ძლევას კი მხოლოდ უმაღლესი კლასის გუნდი თუ მოახერხებდა. „ბენფიკასთან" თამაშის წინ კი ერთი სალაღობო ამბავიც მოხდა. პირველი მატჩი 8 აპრილს უნდა გამართულიყო. პორტუგალიელმა ჟურნალისტებმა დაწერეს, გადაუმოწმებელი ცნობით, „კარლ ცაისმა" თამაშზე უარი თქვა და „ბენფიკას" ფინალში გასვლა მივულოცოთო. ადგილობრივი ტელევიზიის ერთ-ერთმა არხმა პორტუგალიელ ფეხბურთელებს ინტერვიუები ჩამოართვა, ისინი გაგონილი ამბის გამო სიხარულს ვერ ფარავდნენ. მეორე დღეს კი გაირკვა, რომ ეს ყველაფერი საპირველაპრილო ხუმრობა იყო...

თბილისიდან დიუსელდორფს 61 გულშემატკივარი გაემგზავრა. იქ მათ ქართველი სტუდენტებიც შეუერთდნენ და სულ 100 კაცამდე მოგროვდნენ. „დინამოს" დისკვალიფიცირებული ხინჩაგაშვილი აკლდა. თამაშის წინა დღეს სიცხემ აუწია ჩივაძესაც, მაგრამ უწამლეს და კაპიტანი მინდორზე მაინც გავიდა.

63-ე წუთზე ჰოპემ გახსნა ანგარიში, მაგრამ ამან თბილისელებს თითქოს ძალა შემატა და ოთხ წუთში შენგელიას პასით გუცაევმა გაათანაბრა. დამთავრებამდე სამი წუთი რჩებოდა, როცა ყიფიანმა მეტოქის საჯარიმოსთან მყოფი დარასელია მოძებნა, ამანაც ლამაზი ცრუ მოძრაობით ორი მცველი ჩამოიცილა და მეოცე საუკუნეში ქართველებისთვის ყველაზე ძვირფასი ბურთი გაიტანა — 2:1 და თბილისის „დინამო" თასების თასის მფლობელი გახდა. „თბილისელებს შესანიშნავი ფეხბურთელები და მშვენიერი გუნდი ჰყავთ. მათი გამარჯვება კანონზომიერია" — ჟურნალ „კიკერის" რედაქტორის, კარლ-ჰაინც ჰაიმანის ეს სიტყვები მხოლოდ პატარა ფრაგმენტია იმ აუარებელი კომპლიმენტებიდან, რომლებიც ევროპის ჟურნალ-გაზეთებმა თუ ელექტრონულმა პრესამ უძღვნეს დინამოელებს.

ამ დღიდან თბილისის „დინამომ" სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ევროპული საკლუბო ფეხბურთის ელიტაში.



თბილისის დინამო ფინალური მატჩის წინ. მარცხნიდან სხედან: თავაძე, გუცაევი, შენგელია, დარასელია, სვანაძე, კოსტავა. დგანან: ჩივაძე, გაბელია, ხიზანიშვილი, სულაქველიძე, ყიფიანი

**წინასწარი წრე** სელტიკი (შოტლანდია) — დიოშდიორი (უნგრეთი) 6:0, 1:2; ალთაი (თურქეთი) — ბენფიკა (პორტუგალია) 0:0, 0:4

**პირველი წრე**

კასტორია (საბერძნეთი) — დინამო (თბილისი, სსრკ) 0:0, 0:2; ნიუპორტი (უელსი) — კრუზეიდერსი (ჩრდ. ირლანდია) 4:0, 0:0; სპორა (ლუქსემბურგი) — სპარტა (ჩეხოსლოვაკია) 0:6, 0:6; სლავია (ბულგარეთი) — ლეგია (პოლონეთი) 3:1, 0:1; კასტილია (ესპანეთი) — ვესტ ჰემი (ინგლისი) 3:1, 1:5 დდ; სელტიკი — პოლიტეხნიკა (რუმინეთი) 2:1, 0:1; დინამო (ზაგრები, იუგოსლავია) — ბენფიკა 0:0, 0:2; ფორტუნა (დიუსელდორფი, გფრ) — აუსტრია (ავსტრია) 5:0, 3:0; ჰიბერნიანსი (მალტა) — უოტერფორდი (ირლანდია) 1:0, 0:4; ილვესი (ფინეთი) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) 1:3, 2:4; ჰვიდოვრე (დანია) — ფრამი (ისლანდია) 1:0, 2:0; მალმიო (შვედეთი) — პარტიზანი (ალბანეთი) 1:0, 0:0; ომონია (კვიპროსი) — ვატერსხეი (ბელგია) 1:3, 0:4; რომა (იტალია) — კარლ ცაისი (გდრ) 3:0, 0:4; სიონი (შვეიცარია) — ბაუგარი (ნორვეგია) 1:1, 0:2; ვალენსია (ესპანეთი) — მონაკო (საფრანგეთი) 2:0, 3:3

**მერვედფინალი**

უოტერფორდი — დინამო (თბ) 0:1, 0:4; კარლ ცაისი — ვალენსია 3:1, 0:1; მალმიო — ბენფიკა 1:0, 0:2; ვატერსხეი — ფორტუნა 0:0, 0:1; ჰვიდოვრე — ფეიენოორდი 1:2, 0:1; სპარტა — სლავია 2:0, 0:3; ბაუგარი — ნიუპორტი 0:0, 0:6; ვესტ ჰემი — პოლიტეხნიკა 4:0, 0:1

**მეოთხედფინალი**

ვესტ ჰემი — დინამო (თბ) 1:4 (ქროსი; ჩივაძე, გუცაევი, შენგელია 2), 1:0 (პირსონი)
კარლ ცაისი — ნიუპორტი 2:2 (რააბი 2; ტაინანი 2), 1:0 (კურბიუვაიტი)
სლავია — ფეიენოორდი 3:2 (ცვეტკოვი 2, ილიევი; ნილსენი, ვერმეულენი), 0:4 (ნოტენი, ვან დეინსენი, ვერმეულენი, ბოუვენსი)
ფორტუნა — ბენფიკა 2:2 (ვენცელი, დიუზენდი; კარლოს მანუელი, უმბერტო), 0:1 (შალანა)

**ნახევარფინალი**

დინამო (თბ) — ფეიენოორდი 3:0 (სულაქველიძე 2, გუცაევი), 0:2 (ბოუვენსი, ნოტენი)
კარლ ცაისი — ბენფიკა 2:0 (ბილაუ, რააბი), 0:1 (რეინალდო)

**ფინალი. დიუსელდორფი. 13 მაისი. 9 000 მაყურებელი**

**დინამო (თბ) 2:1 კარლ ცაისი**

0:1 ჰოპე (63), 1:1 გუცაევი (67), 2:1 დარასელია (87)

დინამო: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი 67), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია
კარლ ცაისი: გრაპენტინი, ბრაუერი, ჰოპე (ოვერმანი 89), შილინგი, კურბიუვაიტი, შნუპჰაზე, კრაუზე, ლინდემანი, ბილაუ (ტიოპფერი 76), რააბი, ფოგელი
მსაჯი: ლატანცი (იტალია)

## მეთექვსმეტედფინალი



სარბიელის არქივიდან

ყიფიანი ერმიდისის წინააღმდეგ

სალონიკი. „კაფტაძოგლინო".
17 სექტემბერი. 20000 მაყურებელი

### კასტორია 0:0 დინამო

კასტორია: ერმიდისი, ალექსიადისი, კალაიძიდისი, კოპანოსი, სიაპანიდისი (პერგამინოსი 63), პარასხოსი, ვინციკოსი (ვოიციდისი 63), ლოლოსი, სიანძისი, ცირონისი, პაპავასილიუ
დინამო: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ქილაია, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, ჩელებაძე (თავაძე 77), ყიფიანი, შენგელია (ჩქარეული 77)
გაფრთხილება: გაბელია
მსაჯი: მირჩა (რუმინეთი)

თბილისი. ლენინის სახ. სტადიონი.
1 ოქტომბერი. 80000 მაყურებელი

### დინამო 2:0 კასტორია

1:0 შენგელია (52), 2:0 გუცაევი (80)
დინამო: გაბელია, მუჯირი, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი (ქორიძე 82), შენგელია (ჩელებაძე 85)
კასტორია: ერმიდისი, ალექსიადისი, კალაიძიდისი, ვოიციდისი, პერგამინოსი, პარასხოსი, ვინციკოსი, ლოლოსი, ბაბოვიჩი, პაპავასილიუ, ცირონისი
გაფრთხილება: პარასხოსი
მსაჯი: მაქსიმოვიჩი (იუგოსლავია)

## მერვედფინალი

უოტერფორდი. „კილკოჰან პარკი".
22 ოქტომბერი. 3000 მაყურებელი

### უოტერფორდი 0:1 დინამო

0:1 შენგელია (50)
უოტერფორდი: თომასი, ო'მეჰონი (ფიცპატრიკი 83), გარდნერი, ფინიუკანი, დანფი, ჯეკსონი, მიურეი, მადიგანი, კერკი, მაკარტი (ქერი 73), მიგანი
დინამო: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სულაქველიძე, ქორიძე, გუცაევი (ჩელებაძე 20), ყიფიანი, შენგელია (კურცხელიძე 63)
გაფრთხილება: დარასელია
მსაჯი: როლსი (ლუქსემბურგი)

თბილისი. ლენინის სახ. სტადიონი.
5 ნოემბერი. 70000 მაყურებელი

### დინამო 4:0 უოტერფორდი

1:0 დარასელია (36), 2:0 ჩივაძე (74), 3:0 დარასელია (79), 4:0 ქილაია (87)
დინამო: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი (ქილაია 82), დარასელია, სულაქველიძე, ჟვანია (ჯღობაძე 64), ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია
უოტერფორდი: თომასი, ო'მეჰონი, გარდნერი, ფინიუკანი, დანფი, ჯეკსონი, მიურეი, მადიგანი, კერკი, მაკარტი, მიგანი
გაფრთხილება: მიგანი
მსაჯი: ჟივოვი (ბულგარეთი)



ჯემალ კასრაძის ფოტო

შენგელიამ ირლანდიელ მცველებს დაასწრო

## მეოთხედფინალი



სარბიელის არქივიდან

ვესტ ჰემის. დამარცხებაში ერთ-ერთი „დამნაშავე" ჩივაძე გახლდათ

ლონდონი. „ეპტონ პარკი".
4 მარტი. 35000 მაყურებელი

### ვესტ ჰემი 1:4 დინამო

0:1 ჩივაძე (24), 0:2 გუცაევი (31), 1:2 კროსი (54), 1:3, 1:4 შენგელია (55, 67)
ვესტ ჰემი: პარკსი, სტიუარტი, ლემპარდი, ბონდსი, მარტინი, დევონშირი (ალენი 46), ნეიბორი, გოდარდი, კროსი, ბრუკინგი, პაიკი
დინამო: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია
გაფრთხილება: ხინჩაგაშვილი
მსაჯი: გარიდო (პორტუგალია)

თბილისი. ლენინის სახ. სტადიონი.
18 მარტი. 90000 მაყურებელი

### დინამო 0:1 ვესტ ჰემი

0:1 პირსონი (87)
დინამო: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, ქილაია (მუჯირი 77), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია
ვესტ ჰემი: პარკსი, სტიუარტი, ლემპარდი, ბონდსი, მარტინი, ალენი, ნეიბორი, გოდარდი (პირსონი 65), კროსი, ბრუკინგი, პაიკი
მსაჯი: ეშვაილერი (გფრ)

## ნახევარფინალი

თბილისი. ლენინის სახ. სტადიონი.
8 აპრილი. 80000 მაყურებელი

### დინამო 3:0 ფეიენოორდი

1:0 სულაქველიძე (23), 2:0 გუცაევი (30), 3:0 სულაქველიძე (51)
დინამო: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე (ხიზანიშვილი 61), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (ჟვანია 65)
ფეიენოორდი: ჰილე, ნილსენი, ტროოსტი (ბრარდი 76), სტაფლიუ, ვაინსტეკერსი, ბოუენსი, ვერმიულენი, ბუდინგი, ნოტენი, პეტურსონი (დე ლუივი 55), ვან დაინსენი
გაფრთხილება: სტაფლიუ
მსაჯი: ფრედრიკსონი (შვედეთი)

როტერდამი. „ფეიენოორდი".
22 აპრილი. 35000 მაყურებელი

### ფეიენოორდი 2:0 დინამო

1:0 ბოუენსი (43), ნოტენი (57 პ)
ფეიენოორდი: ვან ენგელენი, ნილსენი (დე ლუივი 67), ბრარდი, ბუდინგი (პეტურსონი 80), ვაინსტეკერსი, ბოუენსი, ვერმიულენი, ვან ტილი, ნოტენი, პეტერსი, ვან დაინსენი
დინამო: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი 75), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია
გაფრთხილება: ხინჩაგაშვილი
მსაჯი: ფიორერი (ავსტრია)



ჯემალ კასრაძის ფოტო

სულაქველიძის მესამე გოლი ფეიენოორდის კარში

# იმ დღეს დინამოს გამჩერებელი ქვეყნად არავინ იყო!..

**დიუსელდორფის ფინალზე ბევრი ითქვა. რაღაც, ალბათ, კიდევ დარჩა სათქმელი. იმ მატჩის ორი მონაწილის, ოთარ გაბელიასა და თენგიზ სულაქველიძის პატარა, ნოსტალგიური მონათხრობი კი ასეთია:**

**ოთარ გაბელია** — წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდი. საპასუხისმგებლო, ასეც ვიტყოდი, საუკუნის მატჩის წინ აეროპორტში ფორმა დავკარგე. უფრო სწორად, დაიკარგა. მთელი ჩემი ალკაზმულობა სხვა მისამართით წავიდა. რას ვიზამდით, გამოსავალი უნდა გვეძებნა და ნაწილობრივ „ადიდასმა" გაგვიწია დახმარება — ბუცების გარდა მთელი კომპლექტი გადმოგვცა, ბუცები კი ალექსანდრე ჩივაძემ მისახსოვრა, მას თავისთვის ორი წყვილი წამოელო. ჩვენ ერთი ზომის ფეხსაცმელს ვიცვამდით.

ჩივაძის ნაჩუქარი ბუცი კიდევ რამდენიმე ხანს გამყვა, რამდენჯერმე დავაკერებინე, ვერ ველეოდი კაპიტნის ფეხბედნიერ საჩუქარს.

დღეს 1981 წლის 13 მაისს რომ ვიხსენებ, ერთ დასკვნამდე მივდივარ — ყველაფერი ლოგიკური იყო, ჩვენ და ქართული ფეხბურთის ქომაგები ვიმსახურებდით იმ გამარჯვებას. „დინამო" მაშინ ყველაფრისთვის მზად იყო, მწვრთნელიც და ფეხბურთელებიც მხოლოდ თამაშსა და ვარჯიშზე ვფიქრობდით, სხვა საზრუნავი არა გვქონდა. ჩვენს დღევანდელ ყოფას რომ ვუკვირდები, მიკვირს, როგორ ახერხებენ ჩვენი გუნდები თამაშს. საქართველოში ნიჭიერი ფეხბურთელები არ დაილევა, არც მცოდნე მწვრთნელები გვაკლია, მაგრამ სანამ ქვეყანა ფეხზე არ დადგება, სანამ მშიერი კლუბები გვეყოლება, მანამ მსგავსი სიხარული ქართულ ფეხბურთს არ ელირსება.

ახლა თქვენ ვერ გამიგებთ, მაგრამ დამთავრდა თუ არა მატჩი, თბილისში ყოფნა ვინატრე. ვიცოდი, მხოლოდ საქართველოში გველოდა ნამდვილი სიხარული. აქ ენით აღუწერელი სანახაობა ყოფილა. კი, გვიყვებოდნენ, პატარა ფირიც ვნახეთ, მაგრამ რეალობა ხომ სხვა იქნებოდა. მარტო იმიტომ ვარ ბედნიერი, რომ დიუსელდორფის ფინალი ვაჩუქეთ გულშემატკივარს.

ჩვენ „კარლ ცაისს" მაინც დავამარცხებდით, მაგრამ გერმანელები, კერძოდ, ჰოპე ერთ რამეში შეცდა — გოლი რომ გაგვიტანა, ის უხამსი ჟესტი არ უნდა დაეყოლებინა. ჰოპემ, უნდოდა თუ არა, ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი. განსაკუთრებით გაშვებული გოლის შემდეგ ვირწმუნე, რომ მეტოქეს საბოლოოდ ვაჯობებდით.

**თენგიზ სულაქველიძე** — ეს იყო დიდი გუნდის დიდი გამარჯვება. „დინამო" წარმატებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა. ჩვენ მაშინ ყველაფრისთვის მზად ვიყავით, თავიდანვე გვჯეროდა, რომ მოვიგებდით. ლოგიკურიც იყო გამარჯვება. გავხდით საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, მოვიგეთ თასი, არაფერს ვამბობ პრიზიორობაზე. ყველაფერი ერთი დიდი გამარჯვებით უნდა დაგვირგვინებულიყო და ასეც მოხდა.

არასდროს დამავიწყდება ის წუთები, როცა „რაინშტადიონის" სარბენ ბილიკებზე ვიდექით და თამაშამდე მინდორს გავცქეროდით. უდიდესი ფსიქოლოგიური ტვირთი, ნერვული მუხტი გვრთგუნავდა. ბევრს ემახსოვრება, მატჩის საწყისი წუთები დაბნეულებმა ვითამაშეთ, მერე დაძაბულობა გაქრა, გავიხსენით. მაშინაც კი გვჯეროდა გამარჯვებისა, როცა ჰოპემ გოლი გაგვიტანა. თამაში უფრო მობილიზებულებმა გავაგრძელეთ. ახლაც მტკიცედ მჯერა, 1981 წლის 13 მაისს ჩვენი გამჩერებელი ამქვეყნად არავინ იყო.

მსაჯის საფინალო სასტვენმა, ცხადია, ენით გამოუთქმელი სიხარულით აგვავსო. არც კი ვიცოდი, რა გამეკეთებინა, ვისთან მივვარდნილიყავი და ჩავხუტებოდი, ვისთვის მიმელოცა. ყველანი ასეთ დღეში ვიყავით, მაგრამ მაშინ ჯერაც ვერ გაგვეთავისებინა, რა მოვიგეთ, საქართველოს რა სიხარული ვაჩუქეთ.

ყველაფერში თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გავერკვიეთ. ზღვა ხალხი, დაუცხრომელი ვნებათაღელვა, უდიდესი სახელი და გამარჯვება ქართული ფეხბურთის ისტორიაში. სამშობლოში დაბრუნებამ გაცილებით ბედნიერი გამხადა.

**მამუკა ძგანტალიანი**




*თბილისის დინამოს სასტარტო შემადგენლობის ტაქტიკური განლაგება დიუსელდორფის ფინალში*

## ფინალამდე

ფინალამდე თბილისის „დინამოს" მწვრთნელებს არაერთი პრობლემა გაუჩნდათ. ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო მატჩებში ტრავმები მიიღეს სულაქველიძემ და გაბელიამ. თასების თასის ფინალური მატჩის წინ კი მოულოდნელად ტემპერატურამ აუწია გუნდის კაპიტან ჩივაძეს და „დინამოს" ექიმმა, ზაქრო თელიამ, ფინალის წინ მთელი ღამე მის ჯანმრთელობაზე ზრუნვაში გაატარა.

მიუხედავად ამისა, გუნდის მწვრთნელებიც და ფეხბურთელებიც საბრძოლო განწყობით ემზადებოდნენ „კარლ ცაისთან" გადამწყვეტი მატჩისთვის. ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე „დინამოს" მწვრთნელი ახალკაცი დაესწრო გდრ-ის ჩემპიონატის მატჩს „კარლ ცაისის" მონაწილეობით. თეორიულ მეცადინეობაზე თბილისელები ყურადღებით გაეცნენ მომავალი მეტოქის სათამაშო სტილს, ვიდეოკასეტებზე ნახეს „კარლ ცაისის" მატჩები და, შეიძლება ითქვას, წვრილმანებამდე შეისწავლეს გერმანელების სათამაშო მანერა.

ფინალის წინ გფრ-ის სპორტულ პერიოდიკაში არაერთი პუბლიკაცია მიეძღვნა თასების თასის ფინალს. დასავლეთგერმანული ჟურნალ „კიკერის" რედაქტორი კარლ-ჰაინც ჰაიმანი დიდსულოვნად და დეტალურად გვითარგმნიდა ჩვენთვის საინტერესო სტატიებს. თითქმის ყველა გაზეთი ფავორიტის როლს საბჭოთა გუნდს აკუთვნებდა და დინამოელთა შორის ყიფიანს, ჩივაძეს, დარასელიას, გუცაევს და შენგელიას გამოყოფდა. ამავე დროს მიმომხილველები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ იენელი ფეხბურთელები კარგად არიან მომზადებული ფიზიკურად და უკვე მოახერხეს საერთაშორისო არენაზე თავის გამოჩენაც, როცა თასების თასის შარშანდელი გამარჯვებული „ვალენსია" და პორტუგალიური „ბენფიკა" დაამარცხეს.

საერთოდ კი ყველა ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ განსხვავებული სათამაშო ხელწერის მქონე მეტოქეთა შეხვედრა თვალსასეირო უნდა გამოსულიყო. გაზეთებიდან ისიც შევიტყვეთ, რომ ფინალის ტელერეპორტაჟი ევროპისა და ამერიკის 46 ქვეყანაში გადაიცემოდა.

დელეგაციის მეთაურმა შოთა გორგოძემ, მწვრთნელებმა — ახალკაცმა, ასათიანმა და კუტივაძემ შეძლეს, თამაშის წინ კოლექტივში მეგობრული, თბილი ატმოსფერო შეექმნათ. ფინალამდე ორი დღე თბილისელებმა თავიანთთვის ჩვეულ რეჟიმში გაატარეს, პირდაპირ ისე, როგორც შინ, თბილისში. გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ჰელმუტ კლინკმა ადგილობრივი სტადიონის დირექციასთან შეთანხმებით საბჭოთა გუნდს ვარჯიშისათვის მოხერხებული საათები შეურჩია. ქალაქგარეთა სასტუმროში, სადაც დინამოელები შეჩერდნენ, ყველა პირობები იყო დასვენებისთვის და ვარჯიშის მერე ძალების აღდგენისთვის. ოთახებში ისმოდა ქართული ხალხური სიმღერები. შეიძლება იფიქროს ვინმემ, რომ ყველაფერი ეს წვრილმანია, მაგრამ განა საკუთარი სახლიდან მოშორებით ნაცნობი სიმღერის მოსმენა ცოტაა?! ავტობუსშიც კი, რომელიც ოთხშაბათს სტადიონზე მიემართებოდა, ისმოდა ახალი სიმღერა თბილისის „დინამოზე". ეს სიმღერა სულ ცოტა ხნის წინ დაწერა კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა.

სიმღერა დინამოელებს სიმხნევესა და ენერგიას მატებდა.

*დიუსელდორფის „რაინშტადიონზე" თბილისის დინამოელთა გამარჯვება იმდროინდელმა საბჭოთა პრესამ არამარტო ქართული, საბჭოთა ფეხბურთის გამარჯვებადაც მონათლა. ეს, რა თქმა უნდა, კანონზომიერი მოვლენა იყო. რუსულენოვან სპორტულ გამოცემებში არაერთი პუბლიკაცია მიეძღვნა თბილისელთა გამარჯვებას. „სარბიელი" გთავაზობთ მაშინდელი სპორტული პრესის ფლაგმანის, ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური გაზეთის „ფუტბოლ-ჰოკეის" სტატიას, რომელიც 1981 წლის 13 მაისის გამარჯვებას მიეძღვნა.*

*ხსენებული სტატიის ავტორი წარსულში ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელი ვიქტორ პონედელნიკი გახლავთ.*

# ჯილდო ფეხბურთის ერთგულებისთვის



ფინალი იწყება. შუაში მსაჯი რიკარდო ლატანცი

## ფინალი

გამოგიტყდებით, ყველაზე მეტად გამოცდილი ხინჩაგაშვილის იძულებითი შეცვლა მაშფოთებდა. დავასწრებ მოვლენებს და ვიტყვი, რომ მის ნაცვლად მეორე ცენტრალური მცველის ადგილზე მოთამაშე ხიზანიშვილმა მატჩი თითქმის უშეცდომოდ ჩაატარა, დაამყარა კავშირი თავაძესთან და კოსტავასთან, რითაც კაპიტან ჩივაძეს საშუალება მისცა, შეტევებში ჩართულიყო. ამით დინამოელებმა შეინარჩუნეს თავიანთი სათამაშო მანერა დაცვაში, რამაც თავის მხრივ საბოლოო შედეგი განაპირობა.

გერმანელი ფორვარდები ბილაუ, რააბი და ფოგელი საქმეში პრაქტიკულად არც გვინახავს, იმდენად გამოზომილად ითამაშეს ჩვენებმა დაცვაში. პირველი, რაც თვალში გეცემოდა თამაშის დასაწყისში, იყო ის, რომ გერმანელებმა გადაწყვიტეს, საბჭოთა გუნდის ყველა წამყვანი მოთამაშე პერსონალურად აეყვანათ. აღსანიშნავია, რომ ამას ისინი საკმაოდ ერთფეროვნად აკეთებდნენ. მაგალითად კრაუზემ, რომელიც პერსონალურად მიამაგრეს ყიფიანს, თითქმის დაივიწყა ყველაფერი ქვეყანაზე (მათ შორის თავისი პარტნიორებიც) და ზოგჯერ ჩვენი დისპეტჩერის დევნისას ტაქტიკურ შეცდომებს უშვებდა. ყოველივე ეს იმიტომ ხდებოდა, რომ გერმანელებს სურდათ, რაც შეიძლება მჭიდროდ აეყვანათ საბჭოთა ფეხბურთელები (შესაძლებელია, მათი მწვრთნელების დავალებაც ასეთი იყო).

გერმანელები ცდილობდნენ, არ მიეცათ მეტოქისთვის ბურთის თავისუფლად მიღების საშუალება. იქნებ რომელიმე სხვა გუნდზე ემოქმედა კიდეც ამგვარ ფსიქოლოგიურ შეტევას, მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ ტექნიკურ თბილისელებს ამგვარი მჭიდრო მეთვალყურეობა საპირისპირო კონტრშანსებს აძლევდათ. ცრუმოძრაობით ანაც კლასიკურად მოტყუების შემდეგ (რასაც მუდმივად აკეთებდნენ ყიფიანი, გუცაევი და შენგელია), ჩვენს ფეხბურთელებს ეძლეოდათ შესაძლებლობა გერმანელთა სხვა მცველების ყურადღებაც მიეპყროთ და სწრაფი და სახიფათო შეტევები წამოეწყოთ. პირველ ტაიმში ზუსტად მსგავსი სიტუაციების შემდეგ ყიფიანს და დარასელიას ანგარიშის გახსნა შეეძლოთ. „კარლ ცაისი" ამ მომენტებში მეკარე გრაპენტინმა იხსნა, რომელიც უთუოდ საუკეთესო იყო მეტოქეთა გუნდში. მაღალი, სხარტი გრაპენტინი უშეცდომოდ თამაშობდა გამოსვლებზე და გერმანული კლუბის დაცვის შემდუღაბებლადაც მოგვევლინა. რაკი ზურგს უკან ასეთი საიმედო კარის დარაჯი ეგულებოდათ და ხედავდნენ, რომ წინ თამაში არ მისდიოდათ, ჩვენს საჯარიმოში სულ უფრო ხშირად ჩნდებოდნენ მძლავრი დარტყმების მქონე მცველები — ჰოპე და შნუპჰაზე. სწორედ ისინი, ასევე ნახევარმცველები — ლინდემანი და კურბიუვაიტი იყვნენ ყველაზე სახიფათონი შეტევისას. უეჭველად ყველას ემახსოვრება პირველ ტაიმში ლინდემანის ზუსტი და ძლიერი დარტყმა. გაბელიამ შეძლო და მოიგერია ეს სახიფათო ბურთი, რომელიც კუთხეში მიფრინავდა. ცალკე უნდა ითქვას გაბელიაზე, იგი თავისი მოქმედებით მართლაც რომ ამაგრებდა დინამოელთა დაცვას.

თამაში ჭეშმარიტად სანახობრივი გამოდგა. მეტოქეებმა, რომლებიც განსხვავებული მანერით თამაშობდნენ, ბევრი დასამახსოვრებელი, არასტანდარტული კომბინაცია შექმნეს. ამ საღამოს განსაკუთრებით ჩინებულად ითამაშა ყიფიანმა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მისთვის არ არსებობდა ბურთის ტექნიკურად ფლობისა და ზუსტი პასის გადაცემის არავითარი საიდუმლო. მიუხედავად მეურვის მჭიდრო და დროდადრო მეტად ხისტი თამაშისა, სწორედ ყიფიანი იყო დინამოელთა თითქმის ყველა კომბინაციის ინიციატორი და საბჭოთა გუნდის თამაშის სიმწვავესაც ის განაპირობებდა. მეტოქეები იძულებული იყვნენ, ეფიქრათ ყიფიანის და მისი პარტნიორების — გუცაევის და შენგელიას ჩანაფიქრის გამოცნობაზე და საკუთარ თავს მხოლოდ იშვიათი კონტრშეტევების უფლებას აძლევდნენ. უნდა ითქვას, რომ ეს კონტრშეტევები, როგორც წესი, ძლიერი დარტყმებით სრულდებოდა. სხვადასხვა დისტანციებიდან ურტყამდნენ ჰოპე, კიურბიუვაიტი, ლინდემანი, შნუპჰაზე...

პირველ ტაიმში ჩვენი გუნდის უპირატესობა საგრძნობი იყო. მიუხედავად ამისა, „კარლ ცაისი" წარმოჩნდა გაწონასწორებულ, შეთამაშებულ, კვალიფიცირებულ გუნდად. ამიტომაც გერმანელი მცველების ცდები, მწვავედ ეთამაშათ შეტევის ხაზზე, ერთგვარი კავალერისტული შემოტევის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ეს ყველაფერი დაამტკიცა მეორე ტაიმმა და ბურთმა, რომელიც ჰოპემ გაიტანა ჩვენს კარში.

აი, ჩანაწერი ჩემი ბლოკნოტიდან: „დაიწყო მეორე ტაიმი. 48-ე წუთზე რააბი გადის მარჯვენა ფლანგზე და ბურთს საჯარიმოში გადასცემს. აქ კი კვლავ ლინდემანია. მისი თავური 5-6 მეტრიდან არაზუსტია, თუმცა მომენტი მეტად სახიფათო იყო და ამან უნდა გააფრთხილოს ჩვენი დაცვა."

მაგრამ ეს არ მოხდა. საბჭოთა ფეხბურთელები, რომლებიც ანგარიშის სწრაფად გახსნის სურვილმა აიტაცა, ცდებიან და კურბიუვაიტს საშუალებას აძლევენ, დაუბრკოლებლივ შევიდეს საჯარიმოში და ძლიერად დაარტყას. გაბელია ნახტომში კუთხურზე იგერიებს ბურთს. ეს ფინალის ყველაზე მძიმე წუთები იყო. იმწამსვე უკან იხევს ყიფიანი. იგი გრძნობს, რომ თანაგუნდელებს სულ უფრო და უფრო უჭირთ გერმანელთა შეტევების გაუვნებლება. ყიფიანი ალაგებს თამაშს და მისი ძალისხმევით „დინამოს" ეძლევა მეტოქის კარის აღების რამდენიმე შანსი. აქ ისევ გრაპენტინი თამაშობს კარგად. აი, ჩვენი მცველების მორიგი შეცდომა კი მეტოქემ აღარ გვაპატია.

მატჩის 63-ე წუთზე ჰოპე (ყურადღება მიაქციეთ — ისევ მცველი) შედის საჯარიმოში იღებს ბურთს და უძლიერეს დარტყმით გზავნის მას კარის ზედა კუთხეში.

ამ გოლმა, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, საუკეთესო გავლენა იქონია ჩვენი კლუბის გუნდურ თამაშზე. სადღაც გაქრა ფაციფუცი, დაიხვეწა პასი, თბილისელები სულ უფრო დახვეწილად აკონტროლებენ ბურთს ყველა სათამაშო რგოლში. აქ ჩვენი მეტოქეები ვარდებოდნენ მეორე [illegible]რესობაში. მათ მოისურვეს სწრაფად გაეტანათ მეორე გოლი და [illegible] გაიჭრნენ წინ, რითაც სამოქმედო არეები გაუთავისუფლდათ ჩვენს ფორვარდებს და შუახაზის მოთამაშეებს, განსაკუთრებით დარასელიას. სწორედ ამ მომენტში დავინახეთ „დინამო" მთელი თავისი ბრწყინვალებით — მრავალსვლიანი კომბინაციები, მოტყუება სისწრაფეში, შეუჩერებლივ დარტყმა კარში და უნდა გენახათ, როგორ რეაგირებდა მაყურებელი ყიფიანის, გუცაევის, დარასელიას, ჩივაძის, შენგელიას და მათი პარტნიორების მაღალ ოსტატობაზე. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ გუცაევისა და დარასელიას ულამაზესი კომბინაციების შემდეგ გატანილი ორივე გოლი ნებისმიერ საფეხბურთო სახელმძღვანელოს ან ფილმს დაამშვენებდა.

მატჩი ყოველმხრივ თასების თასის შესაფერისი გამოდგა. პირველიდან ბოლო წუთამდე მინდორზე ათლეტური, ხისტი ბრძოლა მიმდინარეობდა ბურთისთვის. სასიამოვნოა, რომ ეს ბრძოლა არ გამორიცხავდა მეგობრულ დამოკიდებულებას, ურთიერთპატივისცემას მეტოქეთა შორის. ფეხბურთელები არ თაკილობდნენ ერთმანეთისთვის მობოდიშებას, როცა ირღვეოდა წესი. არბიტრი ლატანცი მკაცრად სჯიდა, მაგრამ ობიექტურად. არავითარი ზედმეტი სტვენა ან ჟესტი. ყველაფერი ნათელი იყო ფეხბურთელებისთვისაც და მაყურებლისთვისაც. ტრიბუნებიდან თვალს ვადევნებდით თამაშს, იმას თუ როგორ იბადებოდა და ესხმოდა ხორცი ჩივაძის, ყიფიანის, დარასელიას, შენგელიას, გუცაევის, კურბიუვაიტის, შნუპჰაზეს, რააბის, ფოგელის ჩანაფიქრს. ეს ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებდა. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ქართველები თასების თასს დაეუფლნენ, 13 მაისი ბედნიერი დღეა არა მარტო თბილისის „დინამოს" ბიოგრაფიაში, არამედ მთლიანად საბჭოთა ფეხბურთისთვისაც.

## ფინალის შემდეგ

სიხარულის ცრემლები გვახრჩობდა. ჩვენ დიდხანს (მთელი ექვსი წელიწადი) ველოდით ამ წუთებს. აგვიხდა ოცნება — უეფას პრეზიდენტი არტემიო ფრანკი გადასცემს თასების თასს საბჭოთა გუნდის კაპიტანს ალექსანდრე ჩივაძეს. პირველად დინამოელებს მათმა მეგობარ-მეტოქეებმა მიულოცეს იენიდან. შემდეგ კი ჩვენმა გუნდმა ტრადიციული საპატიო წრე დაარტყა.

დინამოელებმა ნოდარ ახალკაცის მეთაურობით ძვირფასი საჩუქარი უძღვნეს ჩვენი ქვეყნის ყველა სპორტის მოყვარულს. ისინი ხარკს შემტევ ფეხბურთს უხდიან. თბილისელებმა დაამტკიცეს, რომ შეტევაზე აქცენტის გაკეთება ყოველთვის იძლევა უკუგებას. ჯილდოდ თბილისის „დინამოს" თასების თასი ერგო!

**ვიქტორ პონედელნიკი**
**დიუსელდორფი,**
**„ფუტბოლ-ჰოკეი"**
**1981 წლის 17 მაისი**



თავაძემ და ჩივაძემ ბრძოლა მოიგეს



შენგელიასა და გრაპენტინის დუელი

# ღრიალა ბანაკის ბედნიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ᲒᲐᲘᲡᲛᲘᲡ მსაჯ რიკარდო ლატანცის ფინალური სასტვენის ხმა, რომელიც გვაუწყებს, რომ თბილისის „დინამოელებმა ..." — განთქმული ქართველი კომენტატორის რუსულად წარმოთქმული ეს სიტყვები იყო პირველი ოფიციალური ნიშანი იმისა, რომ თბილისი აფეთქდებოდა. „წარმომიდგენია, რა ხდება ახლა თბილისში" — კვლავ გადმოვაქართულებთ საზეიმო სიტყვას. ალბათ, დიუსელდორფის „რაინშტადიონის" კაბინაში მჯდომი კოტე მახარაძე ალბათ ცხადლივ ხედავდა ღამის ქალაქში გამოგლეჯილ ფანჯრებს, წამში გავსებულ ქუჩებს, დაქოქილ და აკივლებულ მანქანებს, შინნაკეთ ტრანსპარანტებს და პეტ... არა პეტარდები არ ყოფილა, მაშინ სხვა დრო იყო, პეტარდები არ იყიდებოდა, რადგან ძალიან დიდი სიხარულის გამოხატვა ამ გზით არ შეიძლებოდა.

კომენტატორი მთელი მატჩის განმავლობაში ხედავდა არა მხოლოდ ამაღელვებელ და საინტერესო ფეხბურთს, ნაღდ, ლამაზ, დაძაბულ, ნერვიულ თამაშს, არამედ „რაინშტადიონის" ცარიელ ტრიბუნებსაც. იქ სულ ცხრა ათასი კაცი იჯდა. ევროთასის ფინალზე — ცხრა ათასი კაცი. თბილისიდან — უაღრესად „შეზღუდული კონტინგენტი" (მაშინ, ავღანეთის ომის მსვლელობისას, ეს ცოცხალი და ყურსმიჩვეული ტერმინი იყო). ის ცარიელი ადგილები ჩვენი იყო. სხვა დროს და სხვა ვითარებაში ეგებ შეგვევსო კიდეც ის ცარიელი ადგილები და ჩვენი საფეხბურთო ისტორიის უმნიშვნელოვანესი ღამეც გულშემატკივართა დიდ ნაწილს იმ შორეულ ქალაქში გაეტარებინა, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი თბილისი იყო — სახალხო კარნავალის ადგილი.

— დარასელია, გეროი სავეცკავა საიუზა! — იყვირა კაცმა მრგვალ ბალთან. სხვა შეძახილი, სხვა აზრობრივად გამართული მოწოდება იმ ღამეს არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, მე არ გამიგონია. იყო ღრიალი. ეს ღრიალი ბედნიერებას გამოხატავდა. ის ღამის სურათები დაუვიწყარია. არა იმიტომ, რომ ისინი განუმეორებელია (ასეთი რამ ყველა ქალაქში ხდება დიდი გამარჯვებისას) არამედ იმიტომ, რომ თბილისის „დინამოს" საერთაშორისო გამარჯვება — ჩვენი გამარჯვება იყო. ეს იყო არარსებული ქვეყნის, არარსებული დედაქალაქის მართლაც არსებული საფეხბურთო კლუბის გამარჯვება. „დიდი გამარჯვება ქართული ფეხბურთისა" — ამბობდა კომენტატორი — „არა მხოლოდ ქართულის, არამედ მთელი საბჭოთა ფეხბურთისა..." — ამბობდა კომენტატორი, იძულებული იყო, წაემატებინა ეს სიტყვები, იძულებული იყო, საბჭოთა ენაზე წაეყვანა რეპორტაჟი. ჩვენც, ტელევიზორებთან მსხდომი მილიონები, იძულებულნი ვიყავით, ჩვენთვის გასაგებ, თუმცაღა უცხო ენაზე გვესმინა. მაგრამ ენა კარგავდა მნიშვნელობას, იმიტომ, რომ შეგრძნება აბსოლუტურად ჩვენებური იყო. არარსებული ქვეყნის არარსებული ენა — ეს იგრძნობოდა. დღეს ძალიან იოლია — შეგვიძლია, ნებისმიერ არხზე, ნებისმიერ ენაზე მოვისმინოთ ყველაფერი.

მაშინ კი ერთადერთი შანსი გვქონდა. ერთადერთი შანსი ჰქონდა გუნდს და მის მხარდამჭერებსაც.

აქ შეიძლებოდა გრძნობებზე ლაპარაკი. რეალური გადმოცემა იმ ხმაურისა, ნაშუაღამევს რომ ატყდა თბილისში, შეიძლება გავიხსენოთ სტადიონის გაღებული ალაყაფი, ჩართული მუსიკა, მოედანზე გადმოგდებული ბურთი, ვიღაც კაცი ნერგით ხელში, იმ ნერგის შუა მოედანზე ჩარგვას რომ აპირებდა. მანქანებიდან გადმოკიდებული ბიჭები, თვითნაკეთი დროშები, საყვირები და ღრიალი, ღრიალი, შიგნიდან ამოვარდნილი ხმა ბედნიერებისა...

რა არის ბედნიერება?

ერთი წამიო, ამბობენ. ერთი წამი, ანუ ერთი ღამე. წამი, რომელიც მთელ ღამედ გაიწელება.

ძალიან ბევრი დრო გავიდა იმ ღამიდან. მეტი და მეტი დრო გადის და იმ დროის ამბავი სულ უფრო ძნელად მოსათხრობი ხდება. არა იმიტომ, რომ სურათები გაფერმკრთალდა, არამედ იმიტომ, რომ იმ სურათებმა, იმ ღამემ სხვაგვარი ელფერი შეიძინა, ერთადერთი, რასაც ელფერი არ შეცვლია და სხვაგვარად ვერ მოითხრობა — სწორედ ეს ბედნიერებაა.

საჭიროა იმ მატჩის აღწერა? ალბათ, არა — ჩვენი ერთი დიდი საგულშემატკივრო ბანაკი ქვეყნად ვიქეცით, უფრო სწორად წარმოვიდგინეთ, რომ გამარჯვებული და ბედნიერი ქვეყანა ვართ, ხალხი ვართ, მოგება შეგვიძლია. ეს ილუზია იყო, ერთი ღამის ილუზია. მაგრამ ფეხბურთს ეხერხება ასეთი ილუზიები, მით უმეტეს, არარსებულ ქვეყანაში, სადაც უცხოური ასანთის კოლოფიც კი ინტერესისა და ღრმა ფიქრების მიზეზი ხდება. მაგრამ ეს იყო არსებული გუნდი და ეს ღამეც ამ გუნდმა შექმნა. ეს გუნდი შემოდგომიდან მიიწევდა წინ. იგი თავად მივიდა ამ ღამემდე. ეს ბედნიერება იყო! ნამდვილი ბედნიერება ღრიალა ბანაკისა.

ერთ ძველ ამერიკელ მწერალს დაუწერია ასეთი მოთხრობა, რომელსაც „ღრიალა ბანაკის ბედნიერება" ჰქვია. იქ აღწერილია ოქროს მაძიებელთა ბანაკის ისტორია. ეს ოქროსმაძიებლები უბედური, ილუზიური იმედის მადევარი, გულგატეხილი და უხეში ხალხია. მთელს მათ ბანაკში ერთადერთი ქალია და ეს ქალი კი ბავშვს აჩენს — ბანაკის ერთადერთ ბავშვს. ბანაკი დიდად ვერ სწვდება მომხდარის არსს, თუმცაღა ცხადად გრძნობს ბედნიერების, პასუხისმგებლობის, მოულოდნელი სიახლის სურნელს. ის ჩვენი საფეხბურთო ღამე, აკივლებული მანქანები და აღრიალებული ხალხი, დიდი საბჭოთა ქვეყნის პატარა სამხრეთული მიწისა, ჰგავს ღრიალა ბანაკს, სასურველია ვიფიქროთ, რომ ამ ბობოქარი და აფეთქებული ღამით, ქუჩაში გამოვარდნილმა ათასობით ადამიანმა ოქროზე ბევრად დიდი რაღაც აღმოაჩინა.



ეს „რაღაც" უეჭველად გაქრებოდა. არ შეიძლებოდა არ გამქრალიყო — ქვეყანა და დრო იყო ეგეთი, მაგრამ ბედნიერებაც ხომ უამრავი სასიამოვნო მოვლენის თავშეყრის შედეგად წარმოიქმნება ხოლმე? წარმოიქმნება და გაანათებს. მაგრამ ბედნიერებას ელექტროსადგური ვერ გამოიმუშავებს და თუ მას უწერია იშვას, წინ ვერაფერი გადაეღობება, სრულიად ვერაფერი!

იმ ღამის ბედი ბეწვზე ეკიდა. დავიძინებდით მორიგი მარცხის შემდეგ და დილით „ლელოშიაც" აღარ იქნებოდა ტელევიზორიდან გადაღებული ფოტოები. ასე გამოვიდა, რომ რახან ჩვენ პირადად ქვეყანა არ ვიყავით, არც ის შეგვეძლო, რომ უცხოეთიდან ფოტო ჩვენებურ გაზეთში მოხვედრილიყო. იცით, როგორი ქვეყანა იყო? აი, მაგალითად ამბობდნენ, რომ არსებობს სიგარეტი „მარაბდა", რომელსაც მხოლოდ ცეკაში ეწევიან. ჩვენს გუნდში იყო პარტკომი და კომსორგი. ხალხი ფეხბურთზე ლაპარაკობდა. მერე კი თქვეს, თქვენ რა ხალხი ხართ, ქვეყანა არ გქონიათ და ფეხბურთზე ლაპარაკობდითო, გაგაშტერეს ამ ფეხბურთითო. ვერ გაამტყუნებდი — ქუჩაში არ გამოვარდნილან. ვერ შეუერთდნენ ღრიალა ბანაკის ბედნიერებას.

ტაქსისტმა მითხრა ორი ღამის შემდეგ:

— „დინამო" გაჭმევთ თქვენა?

უბადრუკი დრო იყო, ღამე კი — ბედნიერი.

ბედნიერი და განუმეორებელი. ის განცდა ცოცხალია — რა თქმა უნდა, ჩვენი დიდი, ღრიალა ბანაკისთვის. მის გარეთ კი ყველაფერი სხვაგვარადაა.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ**

*ასეთი იყო თბილისი 1981 წლის 13 მაისის ღამეს. ფოტორეპორტიორ ალექსანდრე კოტორაშვილის სურათები კიდევ ერთხელ გვაბრუნებენ ხანმოკლე ბედნიერების სამყაროში*









ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# წინ, 26 მაისისკენ!

## ჩემპიონთა თასის პირველი მატჩების მიმოხილვა



კიეველები კახი კალაძის (№7) მიუნხენელთა კარში გატანილ გოლს ზეიმობენ

### ბაიერნი VS დინამო

**პირველი მატჩი 3:3**

**ბაიერნი**

*ამჟამინდელი ადგილი ბუნდესლიგაში — I*

*გაფრთხილება: მარიო ბასლერი, ბიქსენტე ლიზარაზუ, შტეფან ეფენბერგი, ტომას ლინკე, სამუელ კუფური, ტომას შტრუნცი*

**დინამო**

*ამჟამინდელი ადგილი უკრაინის ჩემპიონატში — I*

*გაფრთხილება: ვლადისლავ ვაშჩუკი, ოლეგ ლუჟნი*

*მსაჯი: ვიტორ პერეირა (პორტუგალია)*

მიუნხენელებს დიდი შანსი აქვთ, გერმანიაში პირველებმა მოიგონ ჩემპიონთა თასი, ქვეყნის თასი და ჩემპიონატი ერთად. შანსი დიდი იმიტომაა, რომ „ბაიერნი" ბუნდესლიგაში უახლოეს მდევარ „ლევერკუზენს" ათი ქულით უსწრებს, გერმანიის თასის ფინალშია და ძალიან ახლოსაა ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ მატჩთან.

გერმანელთა ბანაკში ყველა იმედიანადაა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს კიეველებს ვერც ჯოვანი ელბერი შეუტევს და ვერც მსოფლიოს ჩემპიონი ბიქსენტე ლიზარაზუ დაიცავს ოლივერ კანის სამფლობელოს. თავის მხრივ, იყო საშიშროება კანის უთამაშებლობისა, მას ფეხის თითი ჰქონდა დაშავებული, თუმცა როგორც გაირკვა, გერმანიის ნაკრების მეკარე ამჟამად გამოჯანმრთელებულია. ასევე ჯანზეა მიხაელ ტარნატი, რომელსაც ფეხი სტკიოდა. რაც შეეხება გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავ იენს იერემისს, კიეველებთან მისი გამოჩენა კვლავ სათუოა. იერემისმა ბუნდესლიგის ბოლო ტურში ფრანკფურტის „აინტრახტთან" მუხლი დაიზიანა.

— უკეთესად ვარ, მაგრამ გადაწყვეტით რაიმეს თქმა ჯერჯერობით ნაადრევია. ისე, ვიმედოვნებ, ოთხშაბათს მოედანზე ვიქნები — ამბობს იერემისი.

თავდასხმაში, თუ არ ჩავთვლით ელბერს, მასპინძლებს პრობლემა არა აქვთ. სავარაუდოდ, ოტმარ ჰიცფელდი დღეს კარსტენ იანკერ-ჰასან სალიჰამიჯიჩის წყვილს მიანიჭებს უპირატესობას, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში, ალექსანდრ ციკლერი და ალი დაეი დაეხმარებიან.

— გოლს თუ გავიტანთ, 26 მაისს „კამპ ნოუზე" ერთი გუნდი ნამდვილად „ბაიერნი" იქნება. ამიტომ უნდა შევუტიოთ — ირწმუნება მიუნხენელთა ერთ-ერთი მწვრთნელი ული ჰიონესი.

— კიევური 3:3 უპირატესობას გვაძლევს, მაგრამ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, „დინამოსგან" ყველაფერია მოსალოდნელი. ვფიქრობ, ფინალში გასვლის შანსები 51-49-ზეა ჩვენს სასარგებლოდ — ეს უკვე „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის, ოტმარ ჰიცფელდის აზრი გახლავთ.

ბავარიული კლუბი ჩემპიონთა თასის ფინალში ხუთჯერ არის გასული. აქედან სამჯერ: 1974, 75, 76 წლებში, როდესაც „ბაიერნში" გერდ მიულერი და ფრანც ბეკენბაუერი თამაშობდნენ, ტიტული გერმანელებმა დაისაკუთრეს, 1982-ში წააგეს „ასტონ ვილასთან" 0:1, ხოლო სამი წლის შემდეგ „პორტუსთან" — 1:2.

— ჩემპიონთა თასის მოპოვება ძალიან ძნელი, მაგრამ ძალიან ტკბილია. ასე რომ, ბოლო წამამდე უნდა ვიბრძოლოთ — თავდადებისკენ მოუწოდა თანაგუნდელებს ბუნდესლიგის უხუცესმა ფეხბურთელმა, 38 წლის ლოთარ მათეუსმა. ისე, მიუნხენელებს მათეუსის ლოზუნგები არ სჭირდებათ. თუ „ბაიერნი" უკრაინულ ბარიერს გასცდება, თითოეული მათგანი 75 ათას გერმანულ მარკას, ანუ 41 ათას დოლარს მიიღებს.

ჩვენთვის უცნობია, რამდენი ერგებათ კიეველებს წარმატების შემთხვევაში, მაგრამ ისინიც რომ ბოლომდე იბრძოლებენ, უეჭველია. უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში, სადაც „დინამომ" კრივოი როგის „კრივბასს" 1:0 მოუგო, არ უთამაშია სერგეი რებროვს. 25 წლის თავდამსხმელს მუხლი აწუხებს, თუმცა დღეს აუცილებლად შეუტევს გერმანელებს. „ბაიერნთან" მატჩს გამოტოვებს მცველი იური დმიტრულინი. მან სულ ახლახან მუხლის ოპერაცია გაიკეთა და სამი თვე მოუწევს დასვენება. სრულ მზადყოფნაშია სტუმართა ყმაწვილი ვარსკვლავი, „კრივბასის" კარში ერთადერთი გოლის გამტანი ანდრეი შევჩენკო. „აღმოსავლელი რონალდო" ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების ბომბარდირია — კიეველთა მიერ მეტოქეთა კარში შეგდებული 17 ბურთიდან 8 მის ანგარიშზეა.

**დავით ძოვზირიძე**

### იუვენტუსი VS მანჩესტერი

**პირველი მატჩი 1:1**

**იუვენტუსი**

*ამჟამინდელი ადგილი სერია A-ში — VI*

*დისკვალიფიკაცია (ერთმატჩიანი) — ზორან მირკოვიჩი*

*გაფრთხილება: ანჯელო პერუცი, ზინედინ ზიდანი, ანტონიო კონტე, ედგარ დავიდსი, დიდიე დეშამპი, ანჯელო დი ლივიო, პაოლო მონტერო*

**მანჩესტერი**

*ამჟამინდელი ადგილი პრემიერლიგაში — I*

*გაფრთხილება: დენის ირვინი, როი კინი, პოლ სქოულზი, რონი იონსენი, ფილიპ ნევილი*

*მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)*

ისევე, როგორც „ბაიერნს", „მანჩესტერ იუნაიტედსაც" შეუძლია, სამმაგ წარმატებას მიაღწიოს — შეინარჩუნოს პირველობა პრემიერლიგაში, 22 მაისს „უემბლიზე" ასოციაციის თასის ფინალში სძლიოს „ნიუკასლს" და 4 დღის შემდეგ „კამპ ნოუზე" ჩემპიონთა თასისთვის იბრძოლოს. ამ უკანასკნელის გაკეთება ინგლისელებს ყველაზე უფრო გაუჭირდებათ, რადგან „იუვენტუსი" შესანიშნავ ფორმაშია და ცოტა ხნის წინანდელი კრიზისის კვალიც კი აღარ ეტყობა. ეს, რა თქმა უნდა, მარჩელო ლიპის შემცვლელის — კარლო ანჩელოტის დამსახურებაა, რომელიც ამბობს:

— „მანჩესტერთან" შეხვედრა ჩემი სამწვრთნელო კარიერის უმნიშვნელოვანესი მატჩია. თუმცა იმედი მაქვს, უფრო მთავარი 26 მაისის ფინალი იქნება. „ლაციოსთან" გამარჯვების შემდეგ (სერია A-ს ბოლო ტურში „იუვენტუსმა" რომში „ლაციოს" სძლია 3:1) ბიჭებს ვესაუბრე და ვთხოვე, რაც შეიძლება მალე დაევიწყებინათ მოგებით გამოწვეული სიხარული და საერთოდ, ყველაფერი. ჩვენ ახლა მხოლოდ და მხოლოდ „მანჩესტერზე" ვფიქრობთ.

თავის მწვრთნელთან შედარებით ფრთხილ პროგნოზს აკეთებს დიდიე დეშამპი: „შანსები თანაბარია. ეს „ოლდ ტრეფორდზეც" გამოჩნდა. ამიტომ ოთხშაბათს გაცილებით რთული მატჩი გველის, ვიდრე ინგლისში".

მცირე უპირატესობა ტურინელებს მაინც აქვთ — ისინი შინ თამაშობენ. ანჩელოტის თქმით, გუნდი, ისევე, როგორც ორი კვირის წინ, 4-4-1-1 სისტემით დაუპირისპირდება მეტოქეს. წინ მარტო მყოფ ფილიპო ინძაგის ზიდანი დაეხმარება, რომელსაც თავის მხრივ, ოთხკაციანი მძლავრი ნახევარდაცვა დაეხმარება. კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს ჰოლანდიელი ედგარ დავიდსი, არანაკლებ ფორმაში არიან კონტე, დი ლივიო და დეშამპი. სავარაუდოდ, დისკვალიფიცირებული მირკოვიჩის ადგილს დაცვის მარჯვენა ფრთაზე ალესანდრო ბირინდელი დაიკავებს, ხოლო ტრავმირებული პაოლო მონტეროსას — გამოცდილი ჩირო ფერარა.

სტუმართა უმთავრესი თავსატეხი, რაღა თქმა უნდა, მანჩესტერში საპასუხო გოლის გამტანი უელსელი რაიან გიგზია, რომელიც ინგლისის ასოციაციის თასის ნახევარფინალის გადათამაშებაში „არსენალთან" დაშავდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც გიგზმა დამატებით დროში ულამაზესი და რაც მთავარია, გამარჯვების მომტანი გოლი გაუტანა ლონდონელებს.

— რაიანს კოჭი დაუამდა და, ალბათ, ტურინში ითამაშებს — უთხრა მანჩესტერელთა თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა ინგლისელ ჟურნალისტებს იტალიაში გამგზავრების წინ.

გიგზი „იუნაიტედისთვის" მართლაც დიდი ძალაა, მით უმეტეს, ტურინში მისი მანჩესტერული მეურვე მირკოვიჩი აღარ ითამაშებს.

ბოლო პრემიერლიგურ მატჩში „მანჩესტერმა" მეორე შემადგენლობით საკმაოდ იოლად მოუგო „შეფილდ უენსდეის" და აღმოჩნდა, რომ გუნდის სათადარიგო ფეხბურთელებიც მშვენიერ ფორმაში არიან. განსაკუთრებით ეს ფორვარდებს, ვეტერან ტედი შერინგემს და ნორვეგიელ ოლე გუნარ სოლსკიაერს ეხებათ, რომლებმაც მეტოქეს თითო შეუგდეს.

— ძალიან გამახარა ბიჭების ასეთმა თამაშმა. გუნდი საოცრად შეკრულია და მისი ყოველი წევრი, წამყვანი თუ სათადარიგო, ბრწყინვალე ფორმაშია. ასე რომ, „იუვენტუსს" ძალიან მძიმე დღე ელის — დაემუქრა ფერგიუსონი დღევანდელ მეტოქეს.

**ნოდარ ქასრაძე**



დევიდ ბექემის საჯარიმო დარტყმები ყოველთვის სახიფათოა

## ზამერის ცხოვრების 10 წუთი

მათიას ზამერმა მუხლის ტკივილით გამოწვეული 18 თვიანი უმოქმედობა დაასრულა და ვარჯიშს შეუდგა. ჟურნალ „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში 1996 წლის საუკეთესო ევროპელმა ფეხბურთელმა განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ, ფიზიკური მომზადების სპეციალისტის, კრისტიან კოლოდზის ხელმძღვანელობით 10 წუთით წაივარჯიშა.

„ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია" — თქვა საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულმა დორტმუნდელმა.

„ვარჯიშის განახლება ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია" — განაცხადა „დორტმუნდის" მწვრთნელმა მიხაილ სკიბემ — „ამიერიდან უნდა დავაკვირდეთ რამდენად ძლიერია მათიასის მუხლი".

შეგახსენებთ, რომ 1997 წლის ოქტომბრის მერე ზამერს მარცხენა მუხლზე რამდენიმე ოპერაცია აქვს გადატანილი. იგი გახლდათ ევრო 96-ში გამარჯვებული გერმანიის ნაკრების წამყვანი წევრი და დორტმუნდის 1997 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი გუნდის ლიდერი. 31 წლის ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში 51 შეხვედრა აქვს ჩატარებული, ხოლო სანამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობდა, იქაური ნაკრების მაისურის ჩაცმა 23-ჯერ მოასწრო.

## ფრთხილად, წინ ბევრი სიდედრია

ახლა კი ფრთხილად უნდა იყოს ზიზუ, ოჯახი არ დაენგრეს თავზე. ცოლ-ქმრის საქმეში სიდედრი, დედამთილი, მული ან ვინმე ამათნაირი რომ ჩაერევა მტრისას და მთელი მსოფლიო თავის მილიონერებიანად ცხვირს რომ ჩაჰყოფს, ოჰოჰო!

არ ვხუმრობთ, მართალ ამბავს მოგახსენებთ, საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული ფრანგი მსოფლიო ჩემპიონის, ზინედინ ზიდანის თავს რომ ტრიალებს. ერთი წამოცდა, „იუვენტუსიდან" ესპანეთში მინდა გადასვლა, იმიტომ, რომ ცოლი იქაური მყავსო, რომ ატყდა, მაგრამ რა ატყდა.

„იუვენტუსის" მეპატრონეს, საავტომობილო კონცერნ „ფიატის" მფლობელს ჯანი ანიელის იტალიელი ჟურნალისტები ვარჯიშის ცქერისას მიუვარდნენ და ნოსტალგიაზე ჰკითხეს. ზიდანს ნოსტალგია ხომ არ შეყრიაო.

„არანაირი ნოსტალგია. ეს არაფერ შუაშია. ზიდანს ცოლის დიქტატურა სჭირს და მე აქ ვერაფერს გავაწყობ" — უპასუხა ბიზნესისა და წარმოების დიდოსტატმა.

მართლაც ფრთხილად უნდა იყოს ზინედინ ზიდანი, ძალიან ფრთხილად. ახლა ყველამ თუ აუტეხა ვერონიკას რომ უჯერებ თავს ლეჩაქი გხურებიაო, შეიძლება გატყდეს კაცი.

მოკლედ, დიდი გამთამაშებელი „იუვენტუსიდან" მიდის. ყველაზე სავარაუდოა, რომ ბინას მადრიდში დაიდებს, „რეალში" ან „ატლეტიკოში". „რეალის" პრეზიდენტი, ლორენსო სანსიც ძალიან მონადინებულია, რომ ფრანგთა ლიდერი თავისი გუნდის თეთრ ფორმაში იხილოს.

ვნახოთ, ყოველ შემთხვევაში ზიზუ ქალალდზე დაწერილ 2004 წლამდე ტურინში რომ არ დარჩება, ფაქტია.

საქართველოს ჩემპიონატი

# 26 ქული — [illegible]უკეთესო თამაში

## რამაზ გოგობერიშვილი
### •აზოტი•




„დინამო“ — „აზოტის“ შეხვედრის მეორე ტაიმში თბილისელებმა 13 ქულით მოიტოვეს მეტოქე და სანატრელ გამარჯვებასთანაც ახლოს იყვნენ. ძნელი სათქმელია, შეძლებდნენ თუ არა რუსთაველები თამაშში გარდატეხის შეტანას, რომ არა გუნდის კაპიტანი რამაზ გოგობერიშვილი. მისი უზუსტესი პასების შემდეგ თანაგუნდელებს ბურთის კალათში მოთავსების გარდა არაფერი რჩებოდათ. გოგობერიშვილი ჩაჭრასა და დაფარებაში საუკეთესო იყო და სამქულიანებითაც აიკლო მეტოქის კალათი.

**— პირველ ტაიმში და მეორე ნახევრის პირველ მონაკვეთში რით ახსნით „აზოტის“ უფერულ თამაშს?**

— მხოლოდ ზედმეტი თვითდაჯერებით. ვიცოდით, რომ „დინამოს“ სახით სერიოზული მეტოქე გვეყოლებოდა, მაგრამ გამარჯვებაში მაინც დარწმუნებული ვიყავით. თბილისელთა კარგმა თამაშმა მოლოდინს გადააჭარბა. საბოლოოდ, ჩვენ მაინც მოვარგეთ გასაღები დინამოელთა დაცვას და თავდასხმაშიც ვივარგეთ.

**— თქვენი აზრით, მეტოქემ რატომ ვერ შეძლო 13-ქულიანი უპირატესობის შენარჩუნება?**

— როდესაც თამაში წაგვივიდა, დინამოელებმა უცბად მოინდომეს დაკარგული უპირატესობის დაბრუნება და აჩქარდნენ. სიჩქარის დროს შეცდომებსაც მოუხშირეს, რომლებიც ჩვენ გამოვიყენეთ.

**— რით იყო გამოწვეული სასტარტო ხუთეულში გაბისონიას ნაცვლად კოჭლამაზაშვილის დაყენება? პირველი ტაიმის შემდეგ თქვენ: „აზოტს“ პლეი ოფში თამაში განაღდებული აქვს და „დინამოს“ ქულას უთმობსო...**

— გაბისონიამ ფეხის ტრავმა მიიღო სდასუ-სთან შეხვედრისას და კვირაზე მეტია არ ევარჯიშა. მის ნაცვლად კოჭლამაზაშვილიც ამიტომ დავაყენეთ. „დინამოს“ დამარცხების შემდეგ ქულის დათმობა-არდათმობის შესახებ საუბარიც კი არ ღირს.

**— გაბისონია ჩვენ მაინც ვიხილეთ მოედანზე. იგი თავის ამპლუაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მან საბოლოოდ მოიშუშა ტრავმა თუ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე გავიდა სათამაშოდ?**

— ზაზა ფიზიკურად ძლიერია და ტრავმაც ვადაზე ადრე მოიშუშა. ვარჯიშებისაგან კი მხოლოდ ექიმის რჩევით იკავებდა თავს. ფეხიც იმიტომ აქვს შეხვეული, რომ მოსალოდნელ გართულებას ერიდება.

**— საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ თქვენ შეხვეული მუხლით თამაში ჩვეულებად გადაგექცათ...**

— საბერძნეთში ასპარეზობის დროს მეტოქეს დავეჯახე მუხლით და გვერდითი მყესები მქონდა დაზიანებული. ახლა აღარ მაწუხებს, მაგრამ დაზღვევის მიზნით მაინც შეხვეული მუხლით ვთამაშობ.

**— თქვენი უზუსტესი პასებით „აზოტის“ ცენტრი ირაკლი ჯაფარიძე არაერთხელ აღმოჩნდა მეტოქის ფარქვეშ მარტოდმარტო. დიდი ხანია, რაც ერთად თამაშობთ?**

— ბავშვობიდან. დაახლოებით 13-14 წელია ერთმანეთის გვერდით გამოვდივართ სხვადასხვა გუნდებში.

**— კონკრეტულად რომელ გუნდებზეა საუბარი?**

— 16-17 წლის ვიყავით, როდესაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მოასპარეზე თბილისის „დინამოში“ მიგვიწვიეს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსთავს დავუბრუნდით, საიდანაც საბერძნეთს მივაშურეთ. უცხოეთიდან მობრუნებულები კვლავაც ერთად ვართ და „აზოტის“ გაჩემპიონებისათვის ვიბრძვით.

**— არბიტრებთან თქვენს სისტემატიურ კამათზე რას გვეტყვით? ცუდი მსაჯობის გამო „აზოტი“ მიმდინარე ჩემპიონატში ხომ არ დაჩაგრულა?**

— აუცილებლად უნდა წაგვეგო? როდესაც მსაჯებს მეტისმეტი მოსდით, ემოციური ვარ და ნერვების მოთოკვა მიჭირს. მიმაჩნია, რომ გუნდის სახელით კაპიტანი ვალდებულიცაა არბიტრებს ობიექტური მსაჯობისაკენ მოუწოდოს.

**— შეურაცხყოფაც აუცილებელია?**

— მსაჯებისათვის შეურაცხყოფა არასოდეს მიმიყენებია. მხოლოდ ვეკამათები ხოლმე.

**— თქვენი ემოციურობა ბევრ პრობლემებს გიქმნით?**

— საკმაოდ.

**— მერე და, ასე ძნელია მისგან თავის დაღწევა?**

— შეუძლებელი არაფერია, მაგრამ არც ისე იოლია.

**— თქვენზე მსმენია, რომ ჩოგბურთიც ძალიან უყვარს და ერთ დროს ვარჯიშობდა კიდეცო...**

— ჩოგბურთი ახლაც მიყვარს. ვუყურებ და თავისუფალ დროს ვთამაშობ კიდეც.

**— კალათბურთელობა „აზოტის“ მთავარმა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ „გაიძულათ“?**

— ნაწილობრივ კი.

**— რას ნიშნავს ნაწილობრივ?**

— 10 წლის ვიქნებოდი, როდესაც რუსთავში ვარჯიში დავიწყე კალათბურთში ალიკა უთალიშვილის ხელმძღვანელობით. ერთხელ, კინოში ყოფნის დროს, მაღალი კაცის დაჟინებული მზერა შევამჩნიე. ბავშვი ვიყავი და ცოტა შემეშინდა. მომიახლოვდა ის კაცი, ოთარ ხმელიძე აღმოჩნდა და მეუბნება — კალათბურთში ხომ არ ივარჯიშებო. მე ამაყად ვუპასუხე, რომ კალათბურთზე უკვე დავდივარ-თქო. უთალიშვილი და ხმელიძე მეგობრები აღმოჩნდნენ...

**როლანდ ლაგუჩიძე**

## კადეტები ფინალის ზღურბლზე

ამ დილით კვიპროსს გაემგზავრა საქართველოს კადეტთა ნაკრები. 23 აპრილს ქართველები ევროპის ჩემპიონატის ფინალურისწინა, ჯგუფურ ეტაპში ჩაებმებიან. ჩვენებურები პირველად ფრანგ თანატოლებს შეხვდებიან, მერე კი, ყოველ მომდევნო დღეს ესპანეთთან, ბელგიასთან, გერმანიასთან და ბოლოს კვიპროსთან მოსინჯავენ ძალებს. ამ ექვსეულიდან სამი საუკეთესო დასკვნით, ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს. ქართველთა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა კვიპროსში 13 კალათბურთელი იახლა: ბაჩანა სულაძე (მართვე, ბავშვთა ლიგა), ირაკლი კეიდია (კოლხა), ნიკა ცქიტიშვილი (სტუ), დავით უგრეხელიძე (კოლხა), ბუბა ბერიშვილი (კოლხა), რევაზ თოდუა (კოლხა), შიო ხეცურიანი (დინამო), კოტე ტულუში (სტუ), გიორგი მარკოიშვილი (თსუ), გიორგი მარხვაშვილი (მართვე, ბავშთა ლიგა), გიორგი ჩავლეიშვილი (სტუ), ბადრი ნათობაძე (მართვე, ბავშვთა ლიგა), ზაზა ფაჩულია (ულქერი, თურქეთი).

**გიორგი გიკაშვილი**

NBA

რეგულარული ჩემპიონატი

# ბერდი გამზრდელს ემტერება

19 აპრილი

**ჰიუსტონი 120:113 სიეტლი**

**ჰიუსტონი: მობლი (13 ქულა, 8 პასი), დიკერსონი (10), პიპენი (22 ქულა, 11 მოხსნა), ბარკლი (25 ქულა, 7 პასი), ოლაჯუონი (24 ქულა, 9 მოხსნა); მაკი (21), დრიუ, კარი**

**სიეტლი: პეიტონი (23 ქულა, 15 პასი, 7 მოხსნა), ჰოკინსი (14), შრემპფი (28 ქულა, 13 მოხსნა), მაკლინი (9), პოლინაისი (6 ქულა, 9 მოხსნა); ელისი (22), კროტი (11), მაკკოი, ვილიამსი**

ვლადიმერ სტეფანიას კვლავ არ უთამაშია, სიეტლმა კი ისევ წააგო ზედიზედ მესამედ, ბოლო 13 შეხვედრაში — მეცხრედ და მისთვის ბოლო წლებში არნახულად დაბლა დაეშვა. მოგებაზე სამით მეტი წაგება სიეტლს საერთოდ არ ჰქონია 90-ან წლებში. მისმა პირველმა მოცილე საკრამენტომ კი მოიგო და ახლა ეს ორი გუნდი წყნარი ოკეანის დივიზიონში გვერდიგვერდ დგას. მათ უკან კი გოლდენ სტეიტი ჩასაფრებულა, რომელიც მათ ერთი თამაშით და ერთი მოგებით ჩამორჩება. ერთი ფეხის დაცდენა და სიეტლი პლეი ოფს მიღმა რჩება. ხედავთ, იგი გამწარებით იბრძვის პლეი ოფის ბოლო, მერვე საგზურისთვის, როცა ბოლო ხუთი წლის მანძილზე დასავლეთში მეოთხე ადგილს არ ჩამოსცილებია, 1994 და 1996 წლებში კი სულაც პირველი იყო. ამ წარუმატებლობაში უპირველეს ყოვლისა ახალ მწვრთნელს, პოლ ვესტფოლს თუ მიუძღვის ბრალი. შარშანდელს აქეთ სიეტლს მნიშვნელოვანი მოთამაშე არ მოჰკლებია, პირიქით, ოლდენ პოლინაისი და ბილი ოუენსი დაემატა. ძველი თავკაცი ამ შემადგენლობით თამაშს თამაშზე იგებდა და იმიტომ დაითხოვეს, ზედიზედ მეორედ გამოვარდი პლეი ოფის მეორე წრიდანო. მეორედან გამოვარდნა კი არა, დაბეჩავებული სიეტლი პირველში ველარ ხვდება.

არც ამ მატჩში დაადგა სიეტლს საშველი. ჰიუსტონელმა სკოტი პიპენმა პირველ მეოთხედში 12 ქულა ჩაუგდო სტუმრებს და პივრელი მეოთხედი 34:29 მოაგებინა თავისიანებს. პირველი ნახევრის შემდეგ სხვაობა უკვე 11 ქულა იყო. შემდეგ გერი პეიტონისა და დეტლეფ შრემპფის მონადომებით საქმე ცოტა გამოკეთდა. განსაკუთრებით მეორემ ითამაშა სანაქებოდ და სეზონში ყველაზე მეტი, ქულა-მოხსნა მიითვალა, მაგრამ ბოლო მეოთხედში ჩარლზ ბარკლის 13 ქულამ და სემ მაკის სამქულიანებმა (21-ვე ქულა სამქულიანებით მოიპოვა) სიეტლს თავისი ადგილი მიუჩინა.

**კლიპერსი 98:102 საკრამენტო**

**კლიპერსი: ტეილორი (24)**

**საკრამენტო: ვილიამსონი (23), ვებერი (22), ვილიამსი (19 ქულა, 14 პასი)**

პარასკევს, 16 აპრილს, კლიპერსმა 86:83 გაამწარა სიეტლის მოცილე გოლდენ სტეიტი და კინაღამ საკრამენტოც მას მიაყოლა, მაგრამ „სუპერსონიქსის“ საქმის გაკეთება არ დასცალდა. საკრამენტოს ჰაერივით სჭირდებოდა მოგება და მასპინძელთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მოახერხა კიდეც. ამ მოგებით საკრამენტომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა პლეი ოფისკენ მიმავალ გზაზე.

**ლეიკერსი 117:102 ვანკუვერი**

**ლეიკერსი: ონილი (35 ქულა, 9 მოხსნა), ჰორი (17 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი)**

**ვანკუვერი: მასენბურგი (28), ლოპესი (23)**

„ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ პლეი ოფში მოხვედრის დარდი არ აწუხებს. ერთ დროს საპირველგუნდოდ გამზადებული ახლა მყარად ჩაჭედილა მეხუთე ადგილზე, თუმცა მოგება არც მას დაადგება ყელზე. ამ გრანდს ვანკუვერთან მარცხი არც ეკადრება, არადა, ამ შეხვედრაში ძლივს გადაურჩა სირცხვილს. ვანკუვერი გააფთრებით იბრძოდა, მაგრამ ბოლო მეოთხედში გატყდა და ეს თორმეტწუთეული 36:22 წააგო.

**ფილადელფია 72:67 ნიუ ორკი**

**ფილადელფია: გეიგერი (22), აივერსონი (20)**

**ნიუ ირკი: სპრიუელი (16)**

თუ დასავლეთში უჩვეულო საპლეიოფო ბრძოლაა, აღმოსავლეთში ეს ჩვეული ამბავია, რადგან საშუალო დონის გუნდები აქ ყოველთვის ჭარბადაა. მისისიპის გამოღმა ლიგაში პლეი ოფის ბოლო ორი ადგილისთვის ერთბაშად ხუთი გუნდი იბრძვის. ორი მათგანი ამ თამაშში შეხვდა ერთმანეთს. გამარჯვება ფილადელფიას დარჩა და ამით იგი ამ ხუთ გუნდს სათავეში მოექცა. უჩვეულოდ დასუსტებულმა ნიუ იორკმა კი შეტევაში ვერაფერი მოახერხა და კიდევ უფრო დაქვეითდა.

**ტორონტო 90:72 ორლანდო**

**ტორონტო: ვილისი (16)**

**ორლანდო: ჰარდვეი (12 ქულა, 10 მოხსნა)**

ორლანდო ფაქტობრივად პლეი ოფშია. ტორონტო ამისთვის იბრძვის და ამიტომ კონფერენციის ლიდერთან შეხვედრაში არც თავი დაზოგა და არც მეტოქე.

**კლივლენდი 87:94 მაიამი**

**კლივლენდი: კემპი (32 ქულა, 10 მოხსნა)**

**მაიამი: მაშბურნი (23), მარლი (22), მურნინგი (19 ქულა, 9 დაფარება)**

პლეი ოფისთვის კლივლენდიც გამწარებით იბრძვის და მაიამისთანაც მოგებას გეგმავდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა, კლივლენდში ზედიზედ ოთხი თამაში მოიგო, მასპინძლები არც ეხლა გაახარა და მეხუთეც მიაყოლა. მაიამელმა დენ მარლიმ, რომელმაც თავისი ხანგრძლივი კარიერის ერთ-ერთი სეზონი სწორედ კლივლენდში გაატარა, თავისი სეზონის სარეკორდო — 22 ქულიდან 13 მესამე მეოთხედში ჩაუგდო ყოფილ გუნდს და შონ კემპს ასევე სეზონში სარეკორდო 32 ქულა წყალში გადაუყარა.

**ნიუ ჯერსი 113:120 შარლოტი**

**ნიუ ჯერსი: მარბერი (27 ქულა, 13 პასი), ვან ჰორნი (26)**

**შარლოტი: ფილზი (23), კემპბელი (22)**

ამ უქმეებზე სიეტლის გამანადგურებელმა ნიუ ჯერსიმ შარლოტს შინ ვერაფერი მოუხერხა. მასპინძლები ბევრს კი წვალობდნენ, მაგრამ სტუმარმა ჩაკ პერსონმა (16 ქულა) ბოლო წუთებზე სამი სამქულიანი ჩააგდო. აი, შარლოტი ყველაზე გვიან ჩაეწერა პლეი ოფისთვის მებრძოლთა სიაში, მაგრამ ისე ბდღვნის ყველაფერს, წარმოუდგენელია, იქ ვერ მოხვდეს. მან ზედიზედ მერვედ მოიგო.

**ბოსტონი 104:120 ინდიანა**

**ბოსტონი: პირსი (30 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), პოტაპენკო (26 ქულა, 16 მოხსნა)**

**ინდიანა: მილერი (23), მულინი (21)**

ინდიანაც იბრძვის, ოღონდ არა პლეი ოფისთვის, არამედ აღმოსავლეთში პირველობისთვის. ამიტომაც არ დაინდო მეტოქე, ვისაც არაფერი აწუხებს. რაც ლარი ბერდი ჩაუდგა სათავეში, ინდიანამ ბოსტონს მეშვიდე თამაშიც მოუგო. ასე ემტერება ბერდი სწორედ იმ ბოსტონს, სადაც 12 სეზონი გაატარა და სამჯერ ჩემპიონიც გახდა.

**ირაკლი ფირაშილი**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ორლანდო | 29 | 13 | 69,0 |
| მაიამი | 27 | 13 | 67,5 |
| ფილადელფია | 22 | 19 | 53,7 |
| ნიუ იორკი | 21 | 21 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 16 | 24 | 40,0 |
| ბოსტონი | 16 | 25 | 39,0 |
| ნიუ ჯერსი | 12 | 29 | 29,3 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 27 | 15 | 64,3 |
| ატლანტა | 24 | 17 | 58,8 |
| დეტროიტი | 23 | 18 | 56,1 |
| მილუოკი | 22 | 18 | 55,0 |
| კლივლენდი | 21 | 20 | 51,2 |
| ტორონტო | 20 | 20 | 50,0 |
| შარლოტი | 20 | 20 | 50,0 |
| ჩიკაგო | 11 | 30 | 26,8 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| იუტა* | 32 | 8 | 80,0 |
| სან ანტონიო | 28 | 12 | 70,0 |
| ჰიუსტონი | 27 | 14 | 65,9 |
| მინესოტა | 22 | 20 | 52,4 |
| დალასი | 13 | 27 | 32,5 |
| დენვერი | 13 | 29 | 31,0 |
| ვანკუვერი | 7 | 35 | 16,7 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი* | 30 | 10 | 75,0 |
| ლეიკერსი | 26 | 16 | 61,9 |
| ფინიქსი | 21 | 20 | 51,2 |
| სიეტლი | 19 | 22 | 46,3 |
| საკრამენტო | 19 | 22 | 46,3 |
| გოლდენ სტეიტი | 18 | 22 | 45,0 |
| კლიპერსი | 7 | 34 | 17,1 |

* — *გავიდნენ პლეი ოფში*




REUTERS

ტორონტო — ორლანდო. ტორონტოელმა კევინ ვილისმა (№42) ორლანდოელი აიზეკ ოსტინი მიაწვინა

# ქართველები მედლებს უვარჯიშებლად იგებენ

## რომ ივარჯიშონ, მაშინ?

**მინსკში, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე საჩვენო ოქრო რომ არ აღმოჩნდა, გუშინაც გაუწყეთ. ჩვენები ფინალებს ვერ გაეკარნენ, მაგრამ ბრინჯაო კი შედარებით ბლომად მოხვეტეს - სამი მათგანი მედლით დაბრუნდა.**


ემზარ ბედინეიშვილი


ოთარ თუშიშვილი


ელდარ კურტანიძე

ნაკრების ავ-კარგი ყველაზე უკეთ მთავარ მწვრთნელ ზაზა თურმანიძეს მოეხსენება და აზრის გამოთქმაც პირველად მას ვთხოვეთ.

— შეიძლება ითქვას, გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ, რადგან მინსკში წასვლამდე ამდენსაც არ ვგეგმავდით. არავითარი მზადების გეგმა, მინიმუმიც კი ვერ შევძელით იმისა, რაც ამ რანგის ტურნირისთვის მზადებას სჭირდება. მინდა, მადლობა ვუთხრა იმ მწვრთნელებსა და სპორტსმენებს, რომლებიც, ამდენი პრობლემის მიუხედავად, მაინც დადიოდნენ სავარჯიშოდ.

რასაც მათ მიაღწიეს, ჩვენი ცხოვრების კვალობაზე იქნებ მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენი ბიჭების პოტენციალი რომ ვიცი, გულიც მწყდება. მათ რომ ცოტა მეტი ხელშეწყობა ჰქონოდათ, შედეგიც უკეთესი იქნებოდა. ტრავმები ვერ მოირჩინეს ბედინეიშვილმა და პოლოსიანმა. მეტი საშეჯიბრო პრაქტიკის პირობებში მოდებაძის უკეთ მომზადება შეიძლებოდა, იგივე ითქმის კურტანიძისა და პოლოსიანის შესახებ, რომელმაც ახალ წონაში პირველად იჭიდავა.

**— ყველაზე მეტად ვინ გაგიმართლათ იმედები?**

— თუშიშვილის ჭიდაობის ცქერა ერთი სიამოვნებაა. იგი პოტენციურად ჩემპიონი იყო, მაგრამ გამოცდილება არ ეყო, დიდებში ხომ წლეულს პირველად ასპარეზობდა.

**— კირკიტაძისგან ასეთ შედეგს ელოდით? ის ხომ სანაკრებო კანდიდატებში არც განიხილებოდა...**

— მას ცუდად არ უჭიდავია, მაგრამ კენჭისყრაზეც ბევრია დამოკიდებული, რაშიც არ გაუმართლა. ჯგუფიდან გასვლის შემდეგ მომავალ ჩემპიონს, უკრაინელ ზახარიუკს შეხვდა, რომელიც მისთვის უხერხული მეტოქეა.

**— ყველაზე მეტად კი, ალბათ, პოლოსიანმა გაგაწბილათ...**

— ეს მაშინ, თუ მის ევროპის ორგზის ჩემპიონობას გავითვალისწინებთ, მაგრამ მოსამზადებელი პირობებიდან გამომდინარე, არც მოულოდნელობაა — ახალ წონაში პირველად ჭიდაობდა.

**— ბედინეიშვილსა და კურტანიძეზეც ვთქვათ...**

— ბედინეიშვილი კარგად გამოვიდა — ხუთი შეხვედრა მოიგო. მეორეში ნეკნის ძველი ტრავმა გაუმიზეზდა, ალაჰვერდიევთან ამიტომ წააგო. მასთან ფრთხილობდა, რადგან თუ ტრავმა გაუმიზეზდებოდა, მესამე ადგილისთვის საბრძოლველად საფრთხე ემუქრებოდა. ამიტომ იყო შებოჭილი.

კურტანიძემ დასანანი მარცხი იწვნია კურმაგომედოვთან, რომელთანაც ადრეც წაუგია. ელდარი თავიდან იგებდა, მაგრამ... მას საკუთარ თავზე მეტი მუშაობა მართებს.

**— გუნდური შედეგები?**

— ათეულის მიღმა მხოლოდ მინდორაშვილი დარჩა, დანარჩენთაგან კირკიტაძე და მოდებაძე მეხუთეზე გავიდნენ, პოლოსიანი — მეშვიდეზე, ჩიხრაძე — მერვეზე. ამ შედეგებით გუნდურში მეოთხე ადგილი გვერგო. ჩვენ და ბულგარელებმა თანაბარი ქულები დავაგროვეთ, მაგრამ მათ ორი ვერცხლი ჰქონდათ და ამით გვაჯობეს.

**— უახლოესი შეჯიბრებები?**

— ეგ დეპარტამენტს ჰკითხეთ.

ოთარ თუშიშვილი გუნდის დებიუტანტია. ის ახალგაზრდებიდან წარმატებით გადმოერთო დიდებში და იმედია, სამომავლოდაც გაგვახარებს. ამ წონაში მან მინსკამდე მხოლოდ თურქეთში იჭიდავა.

— მჯეროდა, რომ მინსკიდან მედალს ჩამოვიტანდი. ვგრძნობდი, სამეულისთვის საბრძოლველად მზად ვიყავი. ეს ჩემთვის სადებიუტო ტურნირი იყო და შედეგმა ძალიან გამახარა.

**— ჰარუნ დოგანთან თურქეთშიც წააგეთ, მაშინდელი მარცხი ფსიქოლოგიურად ხომ არ გბოჭავდათ?**

— იმ წაგებაზე არ ვფიქრობდი. მინსკშიც მოსაგებად ვეჭიდავე.

**— დოგანის ნაცვლად მეორე ნახევარფინალური წყვილის რომელიმე მონაწილეს რომ შეხვედროდით, იმასაც მოუგებდით?**

— თეორიულად ყველაფერი შესაძლებელია. არაა გამორიცხული, დოგანი რომ არ შემხვედროდა, უკეთესი შედეგისთვის მიმეღწია.

**— პოლოსიანს წონა რომ არ შეეცვალა, იმასაც წაართმევდით ადგილს ნაკრებში?**

— მაშინ მე გადავიდოდი 63 კილოში.

ემზარ ბედინეიშვილი შარშანდელ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზეც ახლოს იყო მედალთან, მაგრამ მსაჯებმა არ დაანებეს, წლეულს კი ეს მოჯადოებული წრეც გაარღვია და ფალავანთა კლუბის დარბაზში მისულს ტაშითაც შეხვდნენ.

— ჯგუფიდან იოლად გავედი, თუმცა მეორე შეხვედრაში ადრე ნატკენი ნეკნიც გამიმიზეზდა. ამიტომ ალაჰვერდიევთან გამიჭირდა. ყველაზე რთული მესამე ადგილისთვის ბრძოლა გამოდგა. აქ მასპინძელს ვხვდებოდი. ეს მათთვის მედლის მოპოვების ერთადერთი შანსი იყო და ამიტომ მსაჯები მთლად ობიექტურნი ვერ იყვნენ. მსაჯებმა ჩემი მეტოქე ერთხელაც არ გა[illegible], მე კი თითქმის მთელი [illegible] და დამატებითი [illegible] რებინეს. ამ ბრძოლისთვის ყველაფერი გავიღე. ხალიჩაზე გასვლამდე 12 ნემსი გამიკეთეს, მაგრამ არ მიშველა და ბოლოს გერმანელებმა მიმკურნალეს. მადლობა ღმერთს, მაინც მოვიგე. რომ არა ტრავმა, მეტს მივაღწევდი.

**— ალაჰვერდიევთან ხომ შარშანდელ ევროპაზეც წააგეთ...**

— მაგრამ მსაჯთა გადაწყვეტილებით.

**— ამ წონაში ზაზა ზოზიროვმა გაიმარჯვა...**

— დამატებითი დროის ბოლომდე ზაზა აგებდა ალაჰვერდიევთან, მსაჯებმა ის ჩოქბჯენშიც ჩააყენეს, მაგრამ წამოუდგა და ლამაზადაც დაატრიალა, თუმცა მსაჯებმა კარგა ხანს ვერ გაარკვიეს, დამთავრებამდე მოასწრო ეს თუ არა. ამიტომ ხან ერთს აუწევდნენ ხელს, ხან — მეორეს. საბოლოოდ მაინც ზოზიროვი აღიარეს ჩემპიონად.

**— თქვენ თუ შეხვედრიხართ ზოზიროვს?**

— შარშანდელ ევროპაზე 5:0-საც ვუგებდი, მაგრამ ბოლოს მაინც წავაგე.

ქუთაისელი გოჩა კირკიტაძე სანაკრებო კანდიდატებში არც კი განიხილებოდა და არც მის დაფინანსებაზე უზრუნია დეპარტამენტს. ბოლოს ქუთაისმა გამონახა თანხა და ასე, ბოლო ვაგონს ადევნებული ჩავიდა მინსკში. იქ მეხუთე ადგილზე გასვლით პატარა სენსაცია მოახდინა, თუმცა არც მედალი ყოფილა შორს.

— ჯგუფიდან იოლად კი გავედი, მაგრამ ფინალში გასასვლელ შეხვედრაში უკრაინელ ზახარიუკს შევხვდი, რომელიც მინსკში მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი. შარშანდელი ევროპიდანაც მან გამომთიშა და სხვა რამდენიმე ტურნირიდანაც.

**— ესე იგი, თქვენთვის უხერხული მეტოქეა.**

— ჭიდაობაში ყველაფერი ხდება. ისე, აქედან რომ მივდიოდი, ლერი ხაბელოვს ვუთხარი, რომ სამეულის კაცი ვიყავი. რომ არა ზახარიუკი, მედალს აუცილებლად მოვიპოვებდი. მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ქუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე თორნიკე კენჭაძეს. მან გამონახა საჭირო თანხა ჩემს გასამგზავრებლად.

**ირაკლი თავაძე**



RUGBY SUPER 12

# ღვთისა და სლეიდის წყალობით


ადრიან კემმორმა (ბურთით) ოკლენდს 14 ქულა მოუტანა

დურბანი 17 აპრილი

**დურბანი 29(17):0(0) პრეტორია**

დურბანი: 3ლ — სვორტი, ტერბლანქი, კეისერი. 1გ და 4ს — ჰონიბალი

ამ თამაშზე ბევრს ვერაფერს იტყვის კაცი. ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს. მასპინძლებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჩაგრეს, თუმცა მათი დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მეოთხე ლელოს გატანა პრემიალური ქულის მოსაპოვებლად ვერ შეძლეს. აღსანიშნავია, რომ ჰენრი ჰონიბალმა ერთი საჯარიმო 45 მეტრიდან გაიტანა, ერთიც — 40-დან.

კანბერა. 17 აპრილი

**კანბერა 27(10):16(16) სიდნეი**

კანბერა: 3ლ — პოლი, მაგრო,მაკმულენი 3გ და 2ს — მორტლოქი

სიდნეი: 2ლ — დოულინგი, სტეინფორსი 2ს — დოულინგი

ამ გამარჯვებით დედაქალაქელებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს ნახევარფინალში გასასვლელად. პირველი ნახევრის წაგების მერე „რაშებმა“ სტუმრებს მეორე ტაიმში ბდღვირი ადინეს და ქულაც არ აალებინეს, რაც უმეტესწილად შეცვლაზე შემოსული კრეგ მაკმულენის დამსახურებაა. მან მეორე ნახევრის დასაწყისში ჯერ ადამ მაგროს გაატანინა ლელო, მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე კი მარტომ ლამის სტუმართა მთელ გუნდს ჩაურბინა და შეხვედრასაც წერტილი დაუსვა.

ბრისბენი. 17 აპრილი

**ბრისბენი 19(16):20(10) დანიდინი**

ბრისბენი: 1ლ — ჰერბერტი. 1გ და 4ს — სპუნერი

დანიდინი: 2ლ — ლიმა, მაკა 1ა — ლენი 2გ და 1ს — ბრაუნი

შეხვედრის დასრულებამდე ერთი წუთი რჩებოდა, როცა ზელანდიაში მობურთალმა ტონგელმა ისიტოლო მაკამ ლელო გაიტანა და დანიდინს გათამაშებაში მეშვიდედ მოაგებინა, ავსტრალიელებს კი მეორედ გაახსენა წაგების გემო. საერთოდაც იმ დღეს „კივებმა“ სხვა ქვეყნების შვილების წყალობით იმარჯვეს. მაკაზე უკვე ვთქვით, აი ბრაინ ლიმა კი სამოაშია დაბადებული და ბურთაობის ანაბანაც იქ შეითვისა.

პირველ ტაიმში მასპინძლები მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ და ანგარიშშიც ექვსქულიან უპირატესობას მიაღწიეს, თუმცა მეორე ნახევარში ოზებმა მხოლოდ სამი ქულის მოპოვება შეძლეს სპუნერის მიერ ზუსტადა შესრულებული საჯარიმოს წყალობით. მასვე მსაჯის მიერ წამატებულ დროში თავისი გუნდისთვის გამარჯვების მოპოვება შეეძლო, მაგრამ არეკნით დარტყმული ზუსტი არ გამოუვიდა. რამაც ამ ახალზელანდიურ კლუბს პირველად გაამარჯვებინა ოზების წინააღმდეგ მათ სამშობლოში.

ოკლენდი. 17 აპრილი

**ოკლენდი 24(11):11(3) იოჰანესბურგი**

ოკლენდი: 2ლ — ტომსონი მაკფარლანი 1გ და 4ს — კემმორი

იოჰანესბურგი: 1ლ — მულდერი 2ს — ონილი

მთელი შეხვედრის განმავლობაში სრულ ტერიტორიულ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, მაგრამ იმდენი მოახერხეს, რომ მატჩი მასპინძლებს მოაგებინეს. მარტო პირველ ტაიმში აფრიკელებს მინიმუმ სამი ლელო უნდა გაეტანათ, მაგრამ მარტივ სიტუაციებში სცოდავდნენ, მასპინძლებმა კი პირიქით, რამდენჯერაც მიეცათ შესაძლებლობა, იმდენი ლელო გაიტანეს და სავსებით შესაძლებელია, პლეი ოფში ზედიზედ მეოთხედ გავიდნენ.

მასპინძელთა კაპიტან რობინ ბრუქის თქმით, მატჩის შედეგი ალოგიკური იყო. გამარჯვებას სტუმრები უფრო იმსახურებდნენ და ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, ამდენჯერ რომ გადაგვარჩინაო. ერთი ხანობა ანგარიში 11:11 იყო, მაგრამ სლეიდ მაკმულდენის წყალობით მასპინძლებმა შეხვედრა თავისთვის სასურველი ანგარიშით დაასრულეს. მაკმულდენმა ჯერ თავად გაიტანა ლელო, მერე კი ორი საჯარიმოს უფლება მოიპოვა, რომელიც კემმორმა გამოიყენა ზუსტად. მაკმულდენისთვის თურმე, სლეიდი 70-იან წლებში ოკეანეთში ერთობ პოპულარული როკ-ჯგუფის, „სლეიდის“ პატივსაცემად დაურქმევიათ.

ნიუ პლიმუტი. 16 აპრილი

**ჰამილტონი 24(18):21(11) ველინგტონი**

ჰამილტონი: 2ლ — მიკა, ლომუ. 1გ და 4ს — ჯეკსონი

ველინგტონი: 2ლ — ტიატია, ოსბორნი 1გ და 3ს — არნოლდი

ჰამილტონმა ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო. წინა შეხვედრის მსგავსად, რომელშიც „ბელადებმა“ კანბერას სძლიეს, ამჯერადაც შეუდარებელი იყო ჯონა ლომუ, თუმცა წინა თამაშისგან განსხვავებით ამ მატჩში მან ლელოს გატანა მოახერხა, რომელიც მისთვის პირველი იყო წლევანდელ გათამაშებაში. საწყის 15 წუთში „ბელადები“ 15:0 დაწინაურდნენ, თუმცა ტაიმის შუაწელისთვის სტუმრებიც გამოფხიზლდნენ და ანგარიშში სხვაობა შეამცირეს. მეორე ნახევარში ველინგტონელები უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ ლომუს გადამკიდე მატჩის გადარჩენა ვერ შეძლეს.

კეიპტაუნი. 18 აპრილი

**კეიპტაუნი 28(10):19(12) კრაისტჩერჩი**

კეიპტაუნი: 3ლ — დენიელსი, ვან სტრაატენი, როსოუ 2გ და 3ს — ვან სტრაატენი

კრაისტჩერჩი: 1ლ — ბერიმანი 1გ — მაკდონალდი 1ა და 3ს — მერთენსი

ჩემპიონი თავის აჩრდილსღა ჰგავს. ამჯერად „ჯვაროსნები“ სამხრეთაფრიკელ „მოიერიშეებთან“ დამარცხდნენ და პლეი ოფში მოხვედრის შანსიც ერთობ შეუმცირდათ. მასპინძელთა გამარჯვება უპირატესად ბრამ ვან სტრაატენმა განაპირობა, რომელმაც იმ დღეს გუნდს 18 ქულა შესძინა. ახალზელანდიელებმა ხელი შეხვედრის ბოლო 20 წუთში გამოიღეს. იმ დროისთვის ანგარიშში 28:12 იყო. სტუმრებმა ლელოს გატანაც მოახერხეს და მისი გარდასახვაც, თუმცა მეტი ვერაფერი შეძლეს.

**პაატა თოთაძე**

### სატურნირო ვითარება

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დანიდინი | 8 | 7 | 0 | 1 | 237:151 | 2 | 30 |
| კეიპტაუნი | 8 | 6 | 0 | 2 | 221:194 | 2 | 26 |
| ბრისბენი | 8 | 5 | 1 | 2 | 147:132 | 1 | 23 |
| ოკლენდი | 7 | 4 | 1 | 2 | 138:109 | 2 | 20 |
| დურბანი | 7 | 4 | 1 | 2 | 168:126 | 1 | 19 |
| კანბერა | 8 | 3 | 0 | 5 | 227:157 | 6 | 18 |
| სიდნეი | 7 | 3 | 1 | 3 | 181:152 | 4 | 18 |
| კრაისტჩერჩი | 7 | 3 | 1 | 3 | 164:145 | 1 | 15 |
| იოჰანესბურგი | 7 | 3 | 0 | 4 | 202:201 | 3 | 15 |
| ველინგტონი | 8 | 2 | 1 | 5 | 166:179 | 4 | 14 |
| ჰამილტონი | 7 | 2 | 0 | 5 | 124:193 | 2 | 10 |
| პრეტორია | 8 | 0 | 0 | 8 | 123:359 | 1 | 1 |

*შენიშვნა: მოგება — 4 ქულა, ფრე — 2 ქულა, მეოთხე ლელოს გატანა, ან არაუმეტეს 7 ქულით წაგება — 1 პრემიალური ქულა*

# ომი და მარათონი ისევ ერთად არიან



REUTERS ფოტოქრონიკიდან

ფატუმა რობამ ბოსტონის მარათონი ზედიზედ მესამედ მოიგო

გასულ კვირა დღეს განათლებულმა დასავლეთმა რამდენსამე მარათონსა და ერთსაც ნახევრადმარათონს უმასპინძლა. ამ მასპინძლობამ მსოფლიო მძლეოსნობის ქომაგები კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ გრძელ მანძილებს ევროამერიკელებზე სწრაფად, ლონივრად და ჯანიანად დღესდღეისობით აფრიკული უდაბნოებისა და სავანების ლაღი შვილები ფარავენ და, რომ საკუთრივ აფრიკელთა შორის უდავო ლიდერებად მისაჩნევი კენიელები ბრძანდებიან. თავად განსაჯეთ — ლონდონის, როტერდამისა და ბოსტონის მარათონთა ექვსივე ოქრო სწორედ აფრიკელებმა მოიგეს, აქედან 4 — კენიელმა ქალ-ვაჟებმა, რომელთა მონაგარიც მოგვიანებით რომის ნახევრადმარათონზე ნახეირებმა დიადმა პოლ ტერგატმაც დაამძიმა.

უფრო თანმიმდევრულად მოვლენები ასე განვითარდა:

ლონდონური სარბიელის ქალთა მონაკვეთზე, ფავორიტების ბრიტანელი ლიზ მაკკოლგანისა და კეთრინ მაკკირნანის პლუს 10 ათას მეტრზე ოლიმპიური ჩემპიონის, პორტუგალიელი ფერნანდა რიბეიროს არყოფნაში, უცილობელ გამარჯვებას ყველა კენიელ ჯოის ჩეპჩუმბას უწინასწარმეტყველებდა. ჯოისმაც დიდებულად ირბინა, ბოლო კილომეტრებზე მექსიკელი ადრიანა ფერნანდესი მკვეთრი აჩქარებით ჩამოიცილა და რუმინელი ლიდია სიმონის მიერ 31 იანვარს ოსაკაში „ლონდონელთა ჭკუით" დამყარებულ მსოფლიოს რეკორდს (2.23.24) სამი წამი ჩამოჰრსა. „ლონდონელთა ჭკუით" იმიტომ, რომ აქამომდე 42,195 კმ-იანი დისტანცია ქალთა შორის უსწრაფესად კენიელ ტეგლა ლორუპეს შარშან, როტერდამში დაუფარია — 2:20.47. ჩეპჩუმბას ლონდონურ შედეგზე უკეთესი მან წელს როტერდამის მორიგ მარათონზეც აჩვენა — 2:22.48. მაგრამ, რამდენადაც ეს ქალთა და ვაჟთა შერეული რბოლებისას მოხდა (რომელთა დროსაც კენიელი ვაჟები თავიანთ დობილს დაუფარავად ეხმარებოდნენ), ბრიტანელები მისი ამ შედეგის მსოფლიო რეკორდად აღიარებას უარობენ და უსწრაფესად მხოლოდ სქესთა განცალკევებული ჯირითისას ნაჩვენებ შედეგებს მიიჩნევენ.

სამოყვარულო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია ერთის მხრივ, თითქოს ლორუპეს რეკორდსმენობას ემხრობა, მაგრამ მეორეს მხრივ, ბრიტანელთა მოსაზრებაც ანგარიშგასაწევი ჰგონია. ამის გამო ვითარება გაურკვეველია და ორივე მარათონი თავისი პერსონალური მერეკორდე ქალით ამაყობს, თანაც ისე, რომ როტერდამელები ლონდონელთა ჩივილს ჩვეულებრივი შურიანობითა და ბრიტანული კოხტაპრუწობით ხსნიან...

ასეა თუ ისე, ლონდონში გაწეული გარჯისთვის ჩეპჩუმბას, მაყურებელთა ყიჟინისა და აპლოდისმენტების გარდა, გამარჯვებულისა და რეკორდის მომხსნელისათვის აღთქმული 125 ათას დოლარიანი ჩეკიც ერგო.

აი, იმავე ჩეკისთვის მონადირე ბრაზილიელ რეკორდსმენ ვაჟ რონალდო დაკოშტას კი იქვე მხოლოდ მე-17 ადგილზე დაჯაბულება მოუხდა. მისი მოსაგები იმ დღეს მაროკოელმა აბდელ კადერ ელ მუაზიზმა მოიგო. მუაზიზს წინა სამარათონო მიმოხილვებში როგორღაც არავინ მოიხსენიებდა, არადა შარშანდელი რბოლის ლაზათი და გამორჩეულობა სწორედ მის სახელთან ყოფილა დაკავშირებული. მაროკოელს მაშინ 35 კმ უთმენია, მერე მოულოდნელად დაუძუძგავს და მხოლოდ უკანასკნელ მეტრებზეღა დამორჩილებია ესპანელ აბელ ანტონს. ელ მუაზიზი ამჯერადაც ასე მოიქცა, ოღონდ შარშანდელისგან განსხვავებით, ბოლომდე სათოფეზეც არავინ გაიკარა და ფინიშსაც პირველმა უწია (22:07.57). ლონდონის 1992 და 97 წლების გამარჯვებული პორტუგალიელი ანტონიო პინტუ, რომლისგანაც ამჯერადაც პირველ ადგილს მოელოდნენ, მას 1 წუთის შემდეგ მიჰყვა. მესამე ზემოხსენებული ანტონი მივიდა.

კენიელი ვაჟისა და ეთიოპელი ქალის გამარჯვებებით დასრულდა ბოსტონის 103-ე მარათონი. 28 წლის ჯოზეფ ჩებეტმა, წინა წლის ჯირითი მხოლოდ თავის გამოცდილ თანამემამულეს, მოზეს ტანუის რომ დაუთმო, კვირა დღეს შეუდარებლად იჭენავა და 2:09.52-იანი მაჩვენებლით თავისი პირველი სამარათონო ტიტულიც მიითვალა. ცნობისთვის იმასაც შეგატყობინებთ, რომ ეს უკვე მე-9 წელია, რაც ბოსტონური მარათონის ვაჟურ ბილიკზე კენიელთა გამჩერებელი არც კაცი გამოჩენილა და არც რამე.

ქალთა შორის კი ბოლო 3 წლის განმავლობაში ყველას 27 წლის ეთიოპელი ფატუმა რობა ჯაბნის. წლევანდელი გამარჯვებით მან გერმანელი უტა პიპიგის 1994-1996 წლების სამმაგი მიღწევა გაიმეორა.

რაც შეეხება როტერდამის მარათონს, იქ ვაჟებშიც და ქალებშიც უძლიერესნი კენიელები — იაფეტ კოსგეი და ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ტეგლა ლორუპე იყვნენ. პირველმა უცილობელ ფავორიტად შერაცხულ ესპანელს, შარშან გამარჯვებულ ფაბიან რონსეროს აჯობა და კარიერის პირველი სერიოზული წარმატება საკუთარი საუკეთესო შედეგისთვის ორწუთნახევრის ჩამოკლებით აღნიშნა — 2:07.09. მშვენიერი ტეგლა კი, ფატუმას ბოსტონური ჰეთ თრიქისა არ იყოს, როტერდამში უკვე ზედიზედ მესამე წელია, იგებს. თუ როგორ და რანაირად, ამის შესახებ ჩვენ უკვე საკმარისად ვისაუბრეთ.

მთელ ამ მარათონულ მიმოხილვას კი ორი განსხვავებული ინფორმაციით ჩავაკოლოზინებთ. პირველი ლეგენდარულ პოლ ტერგატს ეხება, რომელმაც რომში გამართულ ნახევარმარათონში იმარჯვა და ტრასის მის მიერვე შარშან ნაჩვენებ რეკორდს 5 წამი ჩამოაცილა (59 წთ. 22 წმ); მეორეც ის, რომ გასულ უქმეებზე იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადშიც ემარათონებოდათ. ერთი ეგ იყო, რომ სხვა მარათონთაგან განსხვავებით, სერბულს პოლიტიკური საფანელი ჰქონდა — მრავალი ათასი ოფლიანი ადამიანის ქშენას იუგოსლავიის საჰაერო სივრციდან ნატოს მრისხანე თვითმფრინავები უნდა გაეძევებინა!

**ლევან ძელაურაძე**



# ჯომოლუნგმას ორ[illegible] ჩვენს ბიჭებს ელ[illegible]

დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე (8848 მ) სამხრეთის მარშრუტით მიმავალ ჩვენს მთამსვლელებს საბაზო ბანაკამდე (5200 მ) კი „ავედევნეთ" და ამ საქმეში მკითხველიც ავიყოლიეთ, მაგრამ როცა ალპინისტებმა საიერიშო ბანაკების მოწყობა დაიწყეს, მათ ჩამოვრჩით. თუმცა, ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ბიძინა გუჯაბიძემ ზემოდან ხმა ჩამოგვაწვდინა და გვაცნობა, რომ მათ საბაზო ბანაკის მერე, კხუმბუს მყინვარზე, 6400 მეტრის სიმაღლეზე საიერიშო ბანაკი 15 აპრილს დაუდგამთ, სააკლიმატიზაციოდ ღამეც გაუთენებიათ და კვლავ საბაზოში დაბრუნებულან, რათა მომდევნო საიერიშო ბანაკის მოწყობამდე დაისვენონ.

„სარბიელის" მკითხველმა იცის, რომ ქართველ მთამსვლელთა მონაწილეობით ამ ექსპედიციას ჰქვია „მშვიდობიანი კავკასია 99", რომელსაც ბენო ქაშაკაშვილი მეთაურობს.

შეგახსენებთ, რომ ექსპედიციაში არიან აგრეთვე: ბიძინა გუჯაბიძე, აფი გიგანი, აზერბაიჯანელი სარიდარ მურსაკალოვი და გუნდის უხუცესი წევრი, სამოცი წლის თბილისელი სომეხი ლევონ სარქისოვი.

მაგრამ, ეტყობა, ეს ექსპედიცია თანდათან იზრდება. მას თავის ექვს შერპ მთამსვლელთან ერთად ადევნებია იაპონელი ალპინისტი კენ ჰოგური. იგი თავის ორ დანარჩენ თანაგუნდელთან ერთად ჯომოლუნგმას ფერდობზე გაწბილებულა და ახლა „კავკასია 99"-ს შეამხანაგებია.

ჩვენებს შვიდ შერპთან ერთად ადევნებია ახალგაზრდა მექსიკელი ქალბატონი ელზაც.

ეს ელზა ფრიად ცნობილი მექსიკელი მთამსვლელის ცოლია. მისი ქმარი გახლავთ კარლოს კარსოლიო, ვინც მეოთხე ადამიანია, რომელმაც დედამიწის თოთხმეტივე რვაათასიანი მწვერვალი დალაშქრა (პირველი იყო ლეგენდარული იტალიელი რაინჰოლდ მესნერი, რომელმაც 80-იანი წლების შუაში შეაგროვა მთელი „კოლექცია").

ვარაუდობენ, რომ ის იაპონელიცა და ამ მექსიკელის ცოლიც ჩვენს მთამსვლელებთან ერთად დაამუშავებენ მარშრუტს. იქნებ ბოლომდეც ერთად იარონ. მაგრამ სამივე ექსპედიცია მაინც დამოუკიდებელ გუნდად დარჩება.

რაც შეეხება ჯომოლუნგმაზე ჩრდილოეთიდან მიმავალ ქართველ მთამსვლელთა მეორე გუნდს, რომელიც თავისი შემადგენლობით საერთაშორისოა, უკვე ასულა საბაზო ბანაკში, რაც მისმა მეთაურმა გია თორთლაძემ გვაცნობა. წესით და რიგით, მათ 6500 მეტრზე პირველი საიერიშო ბანაკი უნდა დაეცათ, 7200 მეტრის სიმაღლემდე მარშრუტი დაემუშავებინათ და ახლა საბაზოში უნდა ბრუნდებოდნენ.

**ავთანდილ გურასაშვილი**



# ვანდენბრუკის სიზმარი

24 წლის ფრანკ ვანდენბრუკმა თავის კარიერაში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია — ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი მოიგო. ამით მან მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე გადაინაცვლა და მთელი ბელგიაც უზომოდ გაახარა, რადგან 1992 წლის შემდეგ ამ რბოლაში ბელგიელს ველარ გაემარჯვა (მაშინ ეს დირკ დე ვოლფმა შეძლო).

264 კმ-იან უძნელეს ეტაპზე პირველობა სახუმარო ამბავი სულაც არაა. ფინიშამდე ორმოციოდ კილომეტრით ადრე „რედუტის" გორას ორმოცდაათამდე მრბოლი ერთად მიადგა. წინა ორი წლის გამარჯვებული, იტალიელი მიკელე ბარტოლი სწორედ აქ გადადიოდა შეტევაზე. მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ნომერი ამჯერადაც ასე მოიქცა, მაგრამ ვანდენბრუკი უმალ გაეკიდა და დაეწია: მეტიც, მწვერვალზე ბარტოლიზე ათიოდ წამით ადრე ავიდა, თუმცა მარტოობა არ ინდომა და სხვა მოწინავეებს მაშინვე მისცა დაწევის საშუალება. „რედუტმა" რბოლის საუკეთესო თექვსმეტეული გაარკვია, დანარჩენები მათთან უკვე რვა წუთამდე აგებდნენ.

„რედუტზე შევამჩნიე, რომ ყველაზე ძლიერად მე გამოვიყურებოდი. თუმცა მოგება ძნელი იქნებოდა, რადგან დაწინაურებულებში „მაპეის" სამი (ბარტოლი, ბეტინი, ფიგუერასი) და „რაბობანკის" ოთხი მრბოლი (აებერსოლდი, ბოგერდი, დენ ბაკერი, ზბერგი) იყო" — თქვა რბოლის შემდეგ ვანდენბრუკმა.

ბელგიელის საბედნიეროდ, მას გვერდით თანამემამულე და თანაგუნდელი პეტერ ფარაზიინი ახლდა, რომელმაც დიდი სამუშაო შეასრულა. მან მეგობარი „სენ ნიკოლას" აღმართამდე „ატარა" (ვანდენბრუკი მის უკან მიდიოდა, რაც ძალების ნაკლებ ხარჯვას იწვევს). აქ კი, ლიეჟის იტალიურ უბანში, ყველა ბარტოლის იერიშს ელოდა, მაგრამ შეტევა ჰოლანდიელმა ბოგარდმა წამოიწყო. მცირედი ყოყმანის შემდეგ ვანდენბრუკი მას „ბორბალში ჩაუჯდა" და რამდენიმე წამში გადაასწრო კიდეც.

„სენ ნიკოლას" უმაღლეს ადგილზე ბელგიელი ჰოლანდიელს 7 წამს უგებდა, დანარჩენებს კი ოცზე მეტს და საქმის სასურველ დაბოლოებამდე მიყვანა აღარ გასჭირვებია.

„მსოფლიოს თასის პირველი ეტაპი მოვიგე. საერთო ჩათვლაშიც დავწინაურდი. მეტი რაღა უნდა მინდოდეს? თითქოს სიზმარში ვარ. ძალიან მიხარია" — გრძნობებს ვერ მალავდა დე ვოლფის „მემკვიდრე".

„იგი ძალიან ძლიერია და დიდი მომავალი აქვს. დღეს ჩინებულ სტილში მოიგო. ბელგიამ უნდა იამაყოს მისით" — შეაქო თანამემამულე ლეგენდალურმა ბელგიელმა ველომრბოლმა ედი მერქსმა.

**გაიოზ თალაკვაძე**

### ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი

1. ფრანკ ვანდენბრუკი (ბელგია, „კოფიდისი") — 6სთ, 25 წთ და 36წმ.
2. მიკაელ ბოგერდი (ჰოლანდია, „რაბობანკი") — ჩამორჩა 27 წამით
3. მაარტენ დენ ბაკერი (ჰოლანდია, „რაბობანკი") — ჩამორჩა 41 წამით
4. მიკელე ბარტოლი (იტალია, „მაპეი") — ჩამორჩა 44 წამით
5. პაოლო ბეტინი (იტალია, „მაპეი") — ჩამორჩა 54 წამით
6. ნიკი აებერსოლდი (შვეიცარია, „რაბობანკი") — ჩამორჩა 55 წამით
7. მარკუს ზბერგი (შვეიცარია, „რაბობანკი") — ჩამორჩა 55 წამით
8. ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია, „ლამპრე") — ჩამორჩა 56 წამით
9. უდო ბოელტსი (გერმანია, „ტელეკომი") — ჩამორჩა 56 წამით
10. ლორან რუ (საფრანგეთი, „კაზინო") — ჩამორჩა 56 წამით

### მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა ოთხი ეტაპის შემდეგ

1. ფრანკ ვანდენბრუკი — 198
2. ანდრეი ჩმილი (ბელგია, „ლოტო") — 161
3. პეტერ ვან პეტეგემი (ბელგია, TVM) — 129
4. ზბიგნევ სპრუში (პოლონეთი, „ლამპრე") — 112
5. ანდრეა ტაფი (იტალია, „მაპეი") — 100
6. ვილფრედ პეეტერსი (ბელგია, „მაპეი") — 82
7. მიკელე ბარტოლი — 80
8. ერიკ ზაბელი (გერმანია, „ტელეკომი") — 74
9. მარკუს ზბერგი — 73
10. მიკაელ ბოგერდი — 70

# სარბიელი

## სპორტული ლატარია CROCO"

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ჩემპიონთა თასი.** საპასუხო მატჩები | | | | | |
| 21.04 | იუვენტუსი — მანჩესტერი | (1,5-2,0) | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| | ბაიერნი — დინამო | (1,15-4,0) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| **თასების თასი.** საპასუხო მატჩები | | | | | |
| 22.04 | მალიორკა — ჩელსი | (1,5-2,0) | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| | ლაციო — ლოკომოტივი | (1,05-7,5) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| **ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა** | | | | | |
| 21.04 | ლივერპული — ლესტერი | | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | შეფილდ უენსდეი — ნიუკასლი | | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| **პორტუგალიის თასის მეშვიდე წრე.** გადათამაშება | | | | | |
| 21.04 | ბეირა მარი — მორეირენსე | | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| **ჰოლანდიის ჩემპიონატი** | | | | | |
| 21.04 | აიაქსი — ნაიმეგენი | | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| **რუსეთის ჩემპიონატი** | | | | | |
| 21.04 | სპარტაკი — ტორპედო | | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| **რუსეთის თასის ნახევარფინალი** | | | | | |
| 21.04 | ზენიტი — ცსკა | | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | როტორი — დინამო | | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| **შვედეთის ჩემპიონატი. II ტური** | | | | | |
| 21.04 | ჰამარბი — ჰელსინგბორგი | | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| **მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი.** ნახევარფინალი | | | | | |
| 21.04 | მალი — ესპანეთი | | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| | ურუგვაი — იაპონია | | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| **ჰოკეი. NHL.** მერვედფინალი | | | | | |
| 21.04 | ოტავა — ბუფალო | (1,7-1,7) | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| | დეტროიტი — ანაჰაიმი | (1,1-5,0) | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| | დალასი — ედმონტონი | (1,2-3,5) | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| | კოლორადო — სან ხოსე | (1,1-5,0) | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| 22.04 | ტორონტო — ფილადელფია | (2,3-1,4) | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| | ნიუ ჯერსი — პიტსბურგი | (1,4-2,3) | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| | კაროლინა — ბოსტონი | (2,3-1,4) | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | ფინიქსი — სენტ ლუისი | (1,35-2,5) | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| შემდეგ ეტაპზე გასვლის ფსონები მიიღება მხოლოდ 20 და 21 აპრილს | | | | | |
| **კალათბურთი. NBA** | | | | | |
| 21.04 | ბოსტონი — ფილადელფია | | 1,8 | 12.0 | 1,6 |
| | ვაშინგტონი — ტორონტო | | 1,5 | 12.0 | 2,0 |
| | ნიუ ჯერსი — ჩიკაგო | | 1,35 | 12.0 | 2,5 |
| | მაიამი — კლივლენდი | | 1,2 | 12.0 | 3,5 |
| | შარლოტი — დეტროიტი | | 1,7 | 12.0 | 1,7 |
| | ინდიანა — მილუოკი | | 1,2 | 12.0 | 3,5 |
| | ჰიუსტონი — დალასი | | 1,1 | 12.0 | 5,0 |
| | ფინიქსი — იუტა | | 2,0 | 12.0 | 1,5 |
| | პორტლენდი— ლეიკერსი | | 1,35 | 12.0 | 2,5 |
| | სიეტლი — მინესოტა | | 1,5 | 12.0 | 2,0 |
| | ვანკუვერი — კლიპერსი | | 1,5 | 12.0 | 2,0 |
| | საკრამენტო — გოლდენ სტეიტი | | 1,4 | 12.0 | 2,3 |
| 22.04 | ორლანდო — მაიამი | | 1,3 | 12.0 | 2,8 |
| | ატლანტა — ბოსტონი | | 1,1 | 12.0 | 5,0 |
| | დეტროიტი — ფილადელფია | | 1,3 | 12.0 | 2,8 |
| | სან ანტონიო — დალასი | | 1,1 | 12.0 | 5,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ჩვენი გრეცკი



სარბიელის არქივიდან

## უეინ გრეცკი

დაიბადა 1961 წლის 26 იანვარს კანადის ონტარიოს პროვინციის ქალაქ ბრენტფორდში

თამაშობდა „ინდიანაპოლისში" (1978 წელი, მსოფლიოს ჰოკეის ასოციაცია), ედმონტონში (1978-79, მჰა და 1979-88), ლოს ანჯელესში (1988-96), სენტ ლუისში (1996), „ნიუ იორკ რეინჯერსში" (1996-99)

ნჰლ-ში გაატარა 20 სეზონი

სტენლის თასის ოთხგზის (1984, 85, 87, 88) მფლობელი და სამგზის (1983, 86, 93) ფინალისტი,

„არტ როს ტროფის" (საუკეთესო ბომბარდირის პრიზი) ათგზის (1981-87, 90, 91, 94) მფლობელი

ცხრაჯერ დაასახელეს ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშედ (MVP) (1980-87, 89)

კანადის თასის სამგზის (1984, 87, 91) და მსოფლიოს ჩემპიონატის (1982) ბრინჯაოს მედლის მფლობელი

ნჰლ-ის 61 რეკორდის ავტორი, 18 „ALL STAR GAME"-ის მონაწილე

1072 გოლით პროფესიული ჰოკეის ყველა დროის საუკეთესო სნაიპერი

## გრეცკის საეტაპო რეკორდები

ჩემპიონატებში

894 გოლი, 1963 პასი, 2857 ქულა

50 ჰეთ თრიქი

ცხრა 50-გოლიანი სეზონი

თოთხმეტი 100-ქულიანი სეზონი

ზედიზედ ცამეტი 100-ქულიანი სეზონი

ერთ სეზონში

92 გოლი (1981-82)

163 პასი (1985-86)

215 ქულა (1985-86)

10 ჰეთ თრიქი (1981-82, 1983-84)

შედეგიანი სერია: 61 გოლი და 92 პასი 51 მატჩში (1983-84)

შედეგიანი სერია: 48 პასი 23 მატჩში (1990-91)

ერთ მატჩში

7 პასი — სამი შეხვედრა

4 გოლი ერთ პერიოდში

პლეი ოფში

122 გოლი, 260 პასი, 382 ქულა

10 ჰეთ თრიქი

ერთ სეზონში

31 პასი (1988)

47 ქულა (17+30, 1985)

ერთ მატჩში

6 პასი

მოდით, საბჭოთა კავშირი გავიხსენოთ.

საბჭოთა კავშირი ხომ ჩვენი ბავშვობაა. ბავშვობაში კი ბევრი რამ მომხდარა ისეთი, რაც სამუდამოდ ჩაგებეჭდება მეხსიერებასა და ხასიათში.

მაშინ ჩვენს ბაბუებს უკვირდათ, ახლა კი ჩვენს შვილებს უკვირთ — ჩვენი ბავშვობის საბჭოთა თბილისში ჰოკეის ბევრი მაყურებელი და გულშემატკივარი ჰყავდა.

ჰოკეი არ გვქონდა, სიყვარულით კი გვიყვარდა.

რატომ? იმიტომ, რომ ჰოკეი არის ყველაზე სწრაფი გუნდური თამაში. ჰოკეი არის გრძნობების, ხასიათებისა და ოსტატობის ნამდვილი კრებული. მისი დინამიკა დღესაც მიუწვდომელია სხვა თამაშობათათვის.

სხვისი არ ვიცი და მე სკოლაში პრობლემები მქონდა ჰოკეის გამო. პირველი, რაც ამ თამაშში დავინახე იყო გრძელთმიანი, უჩაფხუტო გოლიათი თეთრ მაისურში. მაისურს ეხატა ულამაზესი წითელი ფოთოლი. ეს კაცი იყო ფილ ესპოზიტო. იმ დღიდან კანადის გულშემატკივარი ვიყავი. სკოლაში სულ ხუთი-ექვსი მოვგროვდებოდით ასეთები და რა დღეში უნდა ვყოფილიყავით? საბჭოთა ნაკრები ლამის განუწყვეტლივ იგებდა მსოფლიოს ჩემპიონობას (კანადიდან ჩემპიონატზე მიდიოდა სტენლის თასის ფლეიოფში ვერმოხვედრილი ბოლო ოთხიხუთი კლუბის მოხალისეთა ნაკრები, რადგან მსოფლიო ჩემპიონატისთვის სტენლის თასის გათამაშებას არავინ გადადებდა). რუსები მართლაც მაგრები იყვნენ და საინფორმაციო საშუალებებიც დიდად უკეთებდნენ სახელს ამ დიდებულ მოთამაშეებს. თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა თქმულიყო, რომ კანადელები უარყოფითები არიან, თამაშობენ სწორხაზოვნად, უხეშად და მუშტებზე იყურებიან. როგორც აღნიშნა განსვენებულმა ნიკოლოზ ოზეროვმა: Нам такои хоккеи не нужен!

ჩვენ კიდევ სწორედ ასეთი ჰოკეი მოგვწონდა. თანაც, ინფორმაცია თითქმის არანაირი. NHL არ შუქდებოდა და რომელიმე გუნდის შემადგენლობას მხოლოდ მაშინ თუ შეიტყობდი, თუ საბჭოთა კლუბი, ან ნაკრები ჩრდილოეთ ამერიკაში გაემგზავრებოდა და მისი თამაში ტელევიზიით უნდა გადმოეცათ. რამდენიმე ძველი წიგნი და სრულიად მოულოდნელად გამოჩენილი თხზულება ლეგენდალური ბობი ორისა „ჩემი თამაში".

კანადელთა გულშემატკივრები სკოლაში კი ცოტანი იყვნენ, მაგრამ საზოგადოდ არცთუ ცოტანი გამოდგნენ. ცხადია, რომ ესენი კარგი ბიჭები იყვნენ და კანადელთა ქომაგობა მათთვის არ იყო მხოლოდ ჰოკეისტთა ამა თუ იმ სტილისადმი სიმპატია. ყველაზე კარგი, რაც საბჭოეთს ჰქონდა, ჰოკეი იყო და მძლავრი იდეოლოგიური დაწოლაც საგრძნობი იყო. ეს ცხადია, გააღიზიანებდა დაფიქრებულ კაცს.

ამ ფონზე შევიტყვეთ ახალი სახელი — უეინ გრეცკი.

გვენახა გი ლეფლერი და ათასი სხვა. თვალებს დახუჭავ და გაგახსენდება ზამთრობით ნანახი სამეულები: კლარკ-ლიჩ-ბარბერ, ბოსი-ტროტიეჟილ, გეინი-შატ-ლეფლერ, მარტინ-რობერ-პერო, ეს პოტვინიო, ის რობინსონიო, ბარი ბეკიო. ვინ აღარ.

გრეცკი არ გვენახა და გაგვეგონა, ბიჭია, რეკორდებს ხსნისო.

ამასობაში რუსები „ენჰეიჩელის" ნაკრებს უგებდნენ „ჩელინჯ ქაფს". გრეცკი კი არ ვიცით. იქ არ არის — ოციც არ შესრულებია. თამაშობს უსუსტეს „ედმონტონ ოილერზში". ლიგაში დაშლილი „ჰოკეის ასოციაციიდან" გადმობარგებულ გუნდში.

„ედმონტონი" რა უნდა ყოფილიყო ისეთი? საბჭოელები ჩემპიონ „აილენდერსს" უგებდნენ.

გრეცკის ფოტოგრაფია — ანუ მისი პირველად ხილვა ერთ-ერთ გერმანულ ჟურნალში, დამაბნეველი იყო ჩემთვის. ჰოკეის მძიმე ამუნიციაშიც კი ჩანდა, რომ ეს იყო ერთი კაფანდარა, გრძელცხვირა ბიჭი. ახოვან ვარსკვლავთა ცქერას დაჩვეული მართლაც გაოცდებოდი, ვინ არის ამისთანა, რომ მისმა ამბავმა თბილისამდეც კი ჩამოაღწიაო. თანაც, მაშინდელ ვარსკვლავებს ჩაფხუტები არ ეხურათ. თუკი ეხურა ვინმეს — დიდი, კანადური „C.C.M-ის" ფირმისა. გრეცკის კი შვედური „JOFA"-ს ძველმოდური, მსუბუქი ჩაფხუტი ეხურა და თეთრს მაისურს შიგნით შავი როლინგსტონი ეცვა. ნომერიც მეტად ეფექტური — 99, ჩვენთვის სრულიად უცხო და ეგზოტიკური.

იცით რა არის დასანანი?

ჩვენ არ გვინახავს მისი ზღაპრული სეზონები, სტენლის თასის ფლეიოფები და ფინალები. როდესაც საბჭოთა ეკრანზე ჩრდილოამერიკული ჰოკეი გამოჩნდა, გრეცკი უკვე „ლოს ანჯელეს კინგზის" ვალმოხდილი მოთამაშე (თუმცა, ამ სრულიად მაჩანჩალა გუნდითაც კი გავიდა ფინალში) და ლეგენდადქცეული კაცი იყო.

თუკი ვნახულობდით, კანადის თასზე. აქედან მისთვის პირველის ფინალში, რუსებმა 8:1 მოუგეს კანადელებს. ეს იყო რუსების ერთადერთი გამარჯვება კანადის თასზე, შემდეგ ორში გრეცკიმ იმარჯვა. იმ მისთვის პირველში კი უეინი იყო სრულიად ფანტასტიკურ შემტევ სამეულში — ლეფლერთან და მარსელ დიონთან ერთად. ასევე ვნახეთ, „რანდევუს თასზე", სადაც მწვრთნელებს შეეწყვილებინათ მარიო ლემიესთან და ასე იყო — გრეცკი მიაწვდიდა, ლემიე გაიტანდა. ერთადერთხელ იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე, როცა „ედმონტონი" სრულიად მოულოდნელად გავარდა და რუსებს არ ჰქონიათ ასეთი მძიმე ჩემპიონატი იმ წლებში. ერთხელ იყო ოლიმპიადაზე, სადაც უმედლოდ დარჩა და მორჩა, მეტი გრეცკი ჩვენ არ გვინახავს.

შთაბეჭდილება კი იყო სრულიად ფანტასტიკური. აი, როგორ ვთქვა — ფეხბურთს რომ თამაშობენ კრუიფი, მარადონა, პლატინი და ეგეთი ვინმეები, ეგრე თამაშობდა ჰოკეის. კარს უკან, ზონაში, თუ ცენტრში მისი ყოველი მოძრაობა იყო უნიკალური, წარმოუდგენელი. ჰოკეი ჯაჯგურის თამაშია — თან არც ისეთი კაფანდარა იყო, როგორიც სურათზე ჩანდა.

„ედმონტონი" კი გლენ საზერის თავკაცობით სტენლის მომგებ გუნდად იქცა. მთავარი, რა თქმა უნდა გრეცკი იყო. ჩვენ კი ის კვლავ არ გვენახა ხეირიანად, „ფუტბოლ-ხოკეიში" თუ ამოვიკითხავდით რამეს, ან მოულოდნელად გამოჩენილ ამერიკულ ჟურნალში.

ერთ ზამთარსაც საბჭოთა გუნდი ედმონტონს ეწვია, გრეცკი სამეულში იყო ფინელ იარი კურისთან და ჩეხ იაროსლავ პოუზართან ერთად (ძმებ პეტერ, მარიან და ანტონ შჩასნებთან ერთად, პოუზარს რაღაც ხერხებით კანადაში გაეღწია, ამიტომ ოზეროვი მის გვარს არ ამბობდა გრეცკის და კურის სამეულიო). იმავე თამაშიდან დაგახსომდებოდა უზარმაზარი დევიდ სემენკოც, რომელიც, როგორც მერე შევიტყვეთ, გრეცკის „პოლიციელი" იყო და უჯიგრესი კაცი.

„ედმონტონმა" 4-3 მოიგო. რუსებს არ ეყენათ ტრეტიაკი, არამედ მიშკინი. მაშინ ვეჭვობდით, განგებ არ დააყენეს, რომ მერე თავი გაემართლებინათო. გრეცკიმ ორი გაიტანა.

საბჭოთა კავშირში დუმდნენ მის გამო. უფრო დუმილი ეთქმოდა, აბა სხვა რა? პერესტროიკამდე, ჰოკეის კომენტატორები მხოლოდ იმას აღნიშნავდნენ, რომ ხუთეული მაკაროვ-ლარიონოვ-კრუტოვ-ფეტისოვ-კასატონოვი უძლიერესია მსოფლიოში. დიადმა მწვრთნელმა და ახირებულმა კომუნისტმა კაცმა, ანატოლი ტარასოვმა ისიც კი თქვა, ეგ თქვენი გრეცკი „ცეესკაში" ვერ ითამაშებს, თუნდაც იმიტომ, რომ კომკავშირელი არ არისო. გესმით? კომკავშირელიო. ეგ კი არა და „სოვეტსკი სპორტში", ბოლო გვერდზე სადაც კაპიტალისტური სპორტის საგინებელი კუთხე არსებობდა, ეწერა, გრეცკი მონააო. ოცდაორი წლის ბიჭია და „ედმონტონთან" იმგვარი კონტრაქტი აქვს, რომ სანამ ოცდათვრამეტისა არ გახდება, იქედან ფეხს ვერ მოიცვლისო. სისულელე. ოთხი კლუბი გამოიცვალა.

საკვირველი კი იყო, [illegible] ბის მთავარმა [illegible] ტიხონოვმა ამ[illegible] აზრზე თუ [illegible] ბთო. საგანგებო სტატიაც გამოაქვეყნა, სადაც სულ ჩამოთვლილი ჰქონდა თამაშის დროს რასაც აკეთებდა და იქვე პროცენტებიც ჰქონდა დათვლილი. ასეთი არ ყოფილაო, იგრძნობოდა. პირდაპირ ხომ ვერ იტყოდა?

კანადელები ხარლამოვს აღმერთებდნენ. საბჭოელებმა რომ კანადის თასი მოიგეს, ხალხმა ფული შეაგროვა, ასლი გააკეთებინა და ის გამოაგზავნა მოსკოვში (თავად თასი სამუზეუმო ექსპონატი იყო).

ესენი კი:

Нам такои хоккеи не нужен!

მერე კი, როცა ფანჯრები გაიღო და მივხვდით, რომ ბობი ჰალი და ტრეტიაკი სულაც არ ყოფილან ერთმანეთის მტრები და ტრეტიაკი იდეოლოგიის ფრონტის მუშაკთა ჩაგონებით წერდა თავის საზიზღარ წიგნს, როცა იგორ ლარიონოვმა ღია წერილი მისწერა მწვრთნელ ტიხონოვს, ხოლო სლავა ფეტისოვმა პოლკოვნიკის სამხრეები დაიგლიჯა და ამერიკაში გაიქცა, დასამალი აღარაფერი იყო.



სარბიელის არქივიდან

„დიადი" — კანადის სიამაყე



სარბიელის არქივიდან

უეინი და მისი ყველაზე ერთგული პარტნიორი, მეუღლე ჯანეტი

გრეცკი — განუმეორებელი სპორტსმენი, ბევრად მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ დიადი მოთამაშე. უბრალოდ, იგი, როგორც ყოველი თავმდაბალი კაცი ამ თამაშში ეტეოდა.

ის სამაგალითო კაცია და ამით, სპორტის მოღვაწე. ოთხი წლისა შედგა ციგურებზე და იცხოვრა ამ სწრაფ, ჯანიან, მძიმე თამაშში. იცხოვრა ისე, რომ სრულიად ახალგაზრდას ყველაფერი მოთავებული ჰქონდა და ოცდაორ წელიწადს იყო ამ თამაშში.

ჩვენ, საბჭოელი ბიჭები ველოდით მის გამოჩენას. ის არამარტო ჰოკეი იყო ჩვენს უეშმაკო ფიქრებში, ის იყო ყველაფერი, რაც გამოხატავდა მაშინ შორეულ, თავისუფალ და ჯადოსნურ სამყაროს. აჰ, როგორ მეწყინა, როცა 1984 წელს (კანადამ რომ რუსეთს მოუგო კანადის თასის ნახევარფინალში) ერთმა ჭკვიანმა (ჩემის ფიქრით) პროფესორმა მითხრა, ეგ გრეცკი ცარიელი რეკლამაა, კრუტოვის ჯობსო. როგორ შეიძლებოდა, უბრალოდ კრუტოვი სჯობნებოდა „ყველაფერს"?

მაინც ის არის საწყენი — მისი ბევრი არაფერი გვინახავს. თანაც იმ დროში, როცა ჰოკეი ძალიან გვიყვარდა. და არა მხოლოდ ჰოკეი. ისიც, რასაც ჰოკეის ვუკავშირებდით...

გრეცკი — თუნდაც თბილისურად, ძალიან დიდი და საინტერესო ამბავია. გაზეთში არ დაეტევა. იმიტომ, რომ ეს არ არის მხოლოდ საგაზეთო ამბავი. „დიადი ვინმე" კომკავშირელი არ ყოფილა, ხოლო მონები ვინც აღმოჩნდნენ, მალე გაირკვა.

**ირაკლი გამყრელიძე**



სარბიელის არქივიდან

გრეცკი ყმაწვილობისას თვით გორდი ჰოუმ წაახალისა



უეინ გრეცკი ორი ბიჭის მამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი. ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები. 20 აპრილი

UEFA CUP

**ბოლონია — მარსელი 1:1 (0:0)**

1:0 პარამატი (18), 1:1 ბლანი (86პ)
ბოლონია: ანტონიოლი, ბია, მანგონე, რინალდი, პარამატი, მაროკი, ინგესონი, ფონტოლანი (კაპიოლი 76), ბინოტო (ნერვო 76), სინიორი, ანდერსონი (კოლივანოვი 86)
მარსელი: პორატო, გალასი, ბლანი, და სილვა, დომორო, ლუკინი, ბრანდო (მორისი 46), ბრავო (გურვენეკი 76), პირესი, დიუგარი (კამარა 62), რავანელი
გაფრთხილება: რავანელი, ბრავო, ლუკინი, ანტონიოლი, ბრანდო, გალასი
გაძევება: მაროკი (88)

**პარმა — ატლეტიკო 2:1 (3:1)**

1:0 ბალბო (35), 1:1 რობერტო (63), 2:1 კიეზა (83)
პარმა: ბუფონი, სარტორი (მუსი 40), სენსინი, ტურამი, ფუზერი, ბაჯო (ბოგოსიანი 53), ფიორე, ბენარივო, ვერონი (ვანოლი 84), კიეზა, ბალბო
ატლეტიკო: მოლინა, ტონი, სანტი, შამოტი, ხელი, ვალერონი, მენა, რობერტო, ჟუნინიო, ტევემეტი (ტორისი 67), ლარდინი (სერენა 46)
გაფრთხილება: სანტი

## ინგლისი

**ჩარლტონი 1:4 ტოტენჰემი**

1:0 კინსელა (5), 1:1 ივერსენი (58), 1:2 კემპბელი (78), 1:3 დომინგუში (69), 1:4 ჟინოლა (90)

I დივიზიონი

ბირმინგემი 1:0 ქუინზ პარკი

გრიმსბი 1:2 შეფილდ იუნაიტედი

იფსვიჩი 1:0 სტოკპორტი

ნორვიჩი 2:2 ბოლტონი

პორტ ვეილი — უოტფორდი

*გადაიდო*

## ბელგია

ლიგის თასის ნახევარფინალი

გენკი 1:1 (4:5) *სტ. ტრუიდენი*

## შოტლანდია

დანდი იუნ. 0:1 სენტ ჯონსტონი

0:1 გრიფინი (41)

## ჰოლანდია

ვიტესი 3:3 ეინდჰოვენი

0:1 ვან ნისტელროოი (7), 1:1 კრეეკი (9), 2:1 როისერი (25), 2:2, 2:3 ნილისი (68, 85), 3:3 როისერი (90)

## შვედეთი

მალმიო 2:1 აიკ

## კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი". ნახევარფინალი

**ჟალგირისი 87:71 ოლიმპიაკოსი**

ჟალგირისი: ადომაიტისი (15), ბოუი (19), ედნი (13), მასიულისი (2), მასკოლიუნასი (4), შესტოკასი (3), შტომბერგასი (10), ზიდეკი (9), ე. ჟუკაუსკასი (5), მ. ჟუკაუსკასი (7)
ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (12), ფასულასი, გოლდვაიერი (7), კომაზეცი (7), ობერტო (2), პაპანიკოლაუ (12), როჯერსი (8), ტარლაკი (15), ტომიჩი (2), ცალიკისი (6)

**ტიმსისტემი 57:62 კინდერი**

ტიმსისტემი: ბეტსი (5), დამიაო (3), ფუჩკა, გაი (2), კარნიშოვასი (2), ლაცის-იარიჩი (17), მულაომეროვიჩი (5), მაიერსი (18), პილუტი (5)
კინდერი: აბიო (7), ბინელი (2), კრიპა (3), დანილოვიჩი (12), ფროზინი (3), მაკრის-ნესტეროვიჩი (16), ოსალივანი, რიგოდო (7), სკონოჩინი (12)

**ფინალი. 22 აპრილი. კინდერი — ჟალგირისი**



REUTERS მიუნხენიდან

ჟალგირისი — ოლიმპიაკოსი. ჟალგირისელი მინდაუგას ჟუკაუსკასი (მარცხნივ) დრაგან ტარლაკის წინააღმდეგობას წააწყდა



REUTERS

პარმა — ატლეტიკო. პარმელმა ენრიკო კიეზამ (მარჯვნივ) სანტისთან ეს ორთაბრძოლა ვერ მოიგო, მაგრამ მოგვიანებით მადრიდელთა კარი მაინც დალაშქრა

## ჯიბის პარლამენტარი?!

მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი, თურქი ძალოსანი ნაიმ სულეიმან ოღლუ, რომელსაც მეტსახელად „ჯიბის ჰერაკლესაც" ეძახიან, კვირა დღეს თურქეთის პარლამენტში მოხვედრას ლამობდა... მოხვდა თუ არა ნაიმ-ეფენდი მოსახვედრელში, ჩვენ ეგ ჯერჯერობით არ ვიცით. თუმც კი როგორღაც მაგრად გვეიმედება, რომ ქალაქ ბურსის მცხოვრებლები პარლამენტში სწორედ მისებრ გონიერი და მიზანდასახული წარმომადგენლის ყოლას არჩევდნენ.



ლონდონის საკვირაო მარათონში მონაწილეობა 30000 ადამიანმა მიიღო. აქედან დიდი უმრავლესობა ფინიშის ხაზთან, აი ეგეთ, არაადამიანურ მდგომარეობაში იმყოფებოდა...



REUTERS ლონდონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29